პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 14, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ოთხშაბათი, 21 მაისი 1930 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 116 (2764)

თბილისი

დ ღ ი უ რ ი

— ინგლისის კონსერვატორებმა განაახლეს ანტისაბჭოთა კამპანია.
— ბერლინში გაიხსნა პან-ევროპიული კონფერენცია.
— ბრძოლა ფინ იუ-სიანისა და ჩან კაი-შის ჯარებს შორის ჩინეთში.
— დასავლეთ უკრაინაში სეიმის დამატებითი არჩევნებში გაიმარჯვა ნაც. უმცირესობის ბლოკმა.
— რეინის ოლქის ევაკუაცია 30 ივნისს დამთავრდება.
— საფრანგეთის საგარეო ვაჭრობა 1,6 მილიარდი ფრანკით შემცირდა.
— დამთავრდა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ყველა ორგანიზაციების საყურადღებოდ

საქ. კომპ. (ბ) მე-VII ყრილობა

შესდგება 27 მაისს ქ. თბილისში

დღის წესრიგი:

1. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება—ამხ. **ლ. ლოლობერიძე;**
2. სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება —ამხ. **ი. ჟღენტი;**
3. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის საანგარიშო მოხსენება—ამხ. **ვლ. ივანოვ-კავკასკი.**
4. საკოლმეურნეო მოძრაობის შედეგები და პერსპექტივები და გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის გეგმის შესრულება საქართველოში— ამხ. **ფ. მახარაძე;**
5. არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: პარტიის 100 წევრზე 1 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, პარტიის 100 კანდიდატზე 1 დელეგატი სათათბირო ხმით.

ამ ნორმის ზევით გამოგზავნილი ამხანაგები უკან გაიგზავნებიან.

მანდატების გაცემა იწარმოებს ცენტრალურ კომიტეტში 25 მაისიდან 9 საათიდან დღის სამ საათამდე.

ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ლოლობერიძე.

მეტი ყურადღება პარტიულ მუშაობას სოფლად

სოფლის მეურნეობა დღეს უდიდესი გარდატეხის პერიოდს განიცდის, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებში დიდი ცვლილებები ხდება, მწვავდება კლასიური ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ. მით უფრო უნდა იპყრობდეს ამჟამად ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას პარტიული მუშაობის გაუმჯობესება სოფლად.

საკოლმეურნეო მშენებლობის გამოცდილებამ გასული თვეების განმავლობაში ცხადჰყო, რომ პარტიული მუშაობა სოფლად არ არის შეფარდებული სოციალისტური მშენებლობის სწრაფ ტემპთან და საბჭოები არ მიბრუნებულან „პირით კოლმეურნეობებისაკენ“. იყო მთელი რიგი შემთხვევები, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებს საბჭოები უკანა რიგში აყენებდნენ და ამიტომ მთელ ამ საქმეს უშუალოდ პარტიული უჯრედი აწარმოებდა. ამნაირად მოხდა საბჭოების შეცვლა პარტუჯრედებით. საბჭოები ჩამორჩნენ კოლმეურნეობათა მოძრაობას, მათ ვერ შესძლეს სოფლად გაჩაღებულ კლასიური ბრძოლის სათანადოთ ხელმძღვანელობა, უმეტეს ნაწილად ვერ დაიჭირეს გამოცდა ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში. ეს, რასაკვირველია, არანორმალური მდგომარეობაა და ამიტომ საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება, ამ მუშაობის ახალ ნიადაგზე გადაყვანა და მათ მიერ სოფლის სოციალისტური გარდაქმნის აქტიური ხელმძღვანელობა პარტიის გადაუდებელი, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საბჭოების მუშაობის გაუმჯობესება, საბჭოების მიერ საკოლმეურნეო მშენებლობისაკენ პირით მობრუნება და კლასიური მტრის წინააღმდეგ სწორი ბრძოლის წარმართვა უპირველესად ყოვლისა დამოკიდებულია თვით პარტიული ორგანიზაციის სიძლიერეზე, იმაზე, თუ რამდენად ანხორციელებს პარტია თავის ხელმძღვანელობას საბჭოებზე მოჯამაგირეთა და ღარიბთა ჯგუფების მეოხებით.

სწორედ საკოლმეურნეო მოძრაობამ დაამტკიცა, რომ ღარიბთა ჯგუფების მუშაობა სუსტად მიმდინარეობს, რის გამო მთელ რიგ ადგილებში სათანადოთ ვერ გაიშალა ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ და არ აღმოჩნდა მტკიცე კავშირი ღარიბ და საშუალო გლეხობას შორის, მიუხედავათ უმაღლეს ორგანოების მრავალი დადგენილებებისა, ღარიბთა შორის მუშაობის მნიშვნელობა ჯერ კიდევ არაა გაგებული ისე, როგორც ეს საჭიროა. ეს მუშაობა არის სოფლის პარტუჯრედების უაღრესად სერიოზული, უაღრესად საპასუხისმგებლო ფრონტი. პარტიული მუშაობა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ გარეშე ღარიბთა ჯგუფების ხელმძღვანელებისა, და ყოველივე ამის გამო სოფლის თვითეულმა კომუნისტმა უნდა იცოდეს, რომ ღარიბთა ჯგუფებში მუშაობა პარტიული მუშაობის განუყოფელი, ორგანიული ნაწილია.

სუსტია მოჯამაგირეთა და ღარიბთა შორის მუშაობა, მაშასადამე სუსტია საერთოდ მთელი ჩვენი მუშაობა სოფლად, სუსტია ჩვენი ფრონტი კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, სუსტია კავშირი საშუალო გლეხობასთან, და ყოველივე ამის გამო შეუძლებელია წარმატებითი სოციალისტური მშენებლობა. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, რომელიც სოფლის თვითეულმა კომუნისტმა უნდა იცოდეს და გაატაროს ცხოვრებაში.

მიუხედავათ მრავალი შეცდომებისა, ჩვენ საყურადღებო შედეგებს მივაღწიეთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში. კულაკობის წინააღმდეგ ახალ შეტევის წარმატებით დაგვირგვინებისათვის და საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულ შეცდომების თავიდან აცილებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ღარიბთა ჯგუფების სიძლიერეს და საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირს ენიჭება. ამიტომ არ შეიძლება კულაკობის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლის წამოწყება და კოლმეურნეობათა მშენებლობის გაშლა, თუ მუშაობის ეს მხარე მოგვარებული არ არის.

იმავე საკოლმეურნეო მშენებლობამ გამოამჟღავნა გლეხ - ქალთა შორის პარტიული მუშაობის სისუსტე. ფაქტია, რომ კულაკობამ შესძლო არა მარტო საშუალო, არამედ ღარიბ გლეხ-ქალთა ნაწილისაც თავის გავლენის ქვეშ მოქცევა და ბრმა იარაღათ გამოყენება მთელ რიგ ადგილებში კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. გადაჭრით უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ქალთა შორის მუშაობაზე, მაგრამ საქმით ჯერ მეტად ცოტა გვაქვს გაკეთებული და ამის გამო განავითარა „კულაკურმა აგიტპროპმა“ ზოგან ნაყოფიერი მუშაობა. უკანასკნელ დრომდე, — ამბობს ამხ. **სტალინი**,— საკმაო ყურადღებას არ ვაქცევდით გლეხ-ქალთა მუშაობას. განვლილმა დრომ კი ცხადჰყო, რომ **გლეხ-ქალთა შორის მუშაობა წარმოადგენს ჩვენი საქმიანობის ყველაზე მეტად სუსტ ადგილს.** ეხლა ეს ნაკლი გადაჭრით და განუხრელად უნდა აღმოიფხვრას“.

პარტიული ორგანიზაცია სოფლად ნელის ტემპით იზრდება, მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა საუკეთესო ელემენტების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ პროლეტარული პარტიის გარეშე იმყოფება. ამიტომ აუცილებელია, რათა პარტია სოფლად უმთავრესად მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ხარჯზე იზრდებოდეს. ასევე საჭიროა პარტიის რიგებში მოწინავე კოლმეურნეთა და პირველ რიგში ისეთ კოლმეურნეთა მიღება, რომელთაც დაამტკიცეს თავისი ერთგულება საკოლმეურნეო მშენებლობისადმი, რომელნიც კოლმეურნეთა აქტიური წევრები არიან. პარტიის ხაზის სწორად გატარება და ბრძოლა კლასიური მტრის (კულაკობის) წინააღმდეგ მოითხოვს პარტიის წევრთა პოლიტიკური თვითშეგნების ზრდას, პარტიული მასის პოლიტიკურ მომზადების დონის ამაღლებას.

პარტიის მთავარი ამოცანაა მომავალ პერიოდში, არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცება, კოლმეურნეობათა მოძრაობის ორგანიზაციულ საკითხების მოწესრიგება და სათანადო პირობების მომზადება კოლმეურნეობათა მშენებლობის ფართოდ გაშლისათვის. ეს კი მოითხოვს პარტიული მუშაობის გამოცოცხლებას, სოფლის პარტუჯრედთა მიერ საწარმოო პარტორგანიზაციების უდიდესი გამოცდილების გამოყენებას, მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლას. მიმდინარე პარტიული კონფერენციების მთელი ყურადღებაც აქეთკენ უნდა იქნეს მიპყრობილი და მათ უნდა უზრუნველჰყონ პარტიული მუშაობის გარდაქმნა სოფლად.

უდიდესი გარდატეხის შესახებ

„კომუნისტებს შეუძლიათ თავიანთი თეორია გამოხატონ ერთი დებულებით: კერძო საკუთრების მოსპობა“ (კომუნისტური მანიფესტი).

კერძო საკუთრების მოსპობა ბოლოს უღებს ადამიანის ექსპლოატაციას ადამიანის მიერ, სპობს წარმოების ძველ პირობებს, კლასთა ანტაგონიზმის პირობებს, ჰქმნის ძირითად წინასწარ პირობებს კლასთა სრული მოსპობისათვის.

ოქტომბრის რევოლიუციის სათავეში მდგომი პარტია ხელმძღვანელობს იმ რევოლიუციონური თეორიით, რომლის საფუძვლებიც კომუნისტურ მანიფესტშია მოცემული.

მრეწველობის ნაციონალიზაცია და მიწის ნაციონალიზაცია ნიშნავდა მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულეების ძალდატანებით დამხობას და მათ, როგორც კლასის, მოსპობას.

წარმოების ძირითად საშუალებათა განთავისუფლება კერძო საკუთრების ბორკილებისაგან პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალური მშენებლობა და განვითარება ჯერ არ ნახული ტემპებით და გაქანებით, ჩვენი ქვეყნის მშრომელი მოსახლეობის ყოველმხრივი გაერთიანება კოოპერაციაში და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია — ნამდვილ გარანტიას ჰქმნიან ბურჟუაზიის კლასის აღორძინებისა და განვითარების წინააღმდეგ. ყოველი ნაბიჯი, — და ეს ხომ ბუმბერაზული ნაბიჯებია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაში, — არის ნაბიჯი, გადადგმული კომუნისტების თეორიის — „კერძო საკუთრების მოსპობა“ — ნამდვილი პრაქტიკული რევოლიუციონური განხორციელებისაკენ.

„თუ მემამულეთა მიწების კონფისკაცია იყო ოქტომბრის რევოლიუციის პირველი ნაბიჯი სოფლად, კოლმეურნეობებზე გადასვლა წარმოადგენს მეორე და ამასთან გადამწყვეტ ნაბიჯს, რომელიც საბჭოთა კავშირის სოციალისტური საზოგადოების საძირკვლის ჩაყრის საქმეში უმნიშვნელოვანეს ეტაპს განსაზღვრავს“.

ასე ახასიათებენ „სოფლის მეურნეობის განვითარებაში მომხდარ უდიდეს გარდატეხას“ ამხ. იაკოვლევის მიერ საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-16 ყრილობისათვის შედგენილი იმ მოხსენების გუშინ გამოქვეყნებული თეზისები, რომელიც საკოლმეურნეო მოძრაობას და სოფლის მეურნეობის განვითარებას შეეხება.

თეზისები ეხებიან სოფლის მეურნეობის გარდაქმნის მრავალ საჭირბოროტო და უდიდესი მნიშვნელობის პრობლემას. ჩვენ აქ იძულებულნი ვართ შევჩერდეთ მხოლოდ იმ ძირითადი საკითხების განსაზღვრულ ჯგუფებზე, რომლებიც საკოლმეურნეო მოძრაობასთან და სოფლის მეურნეობის განვითარებასთან არიან დაკავშირებულნი.

საშუალო გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილის გადასვლამ სოფლის მეურნეობის კოლექტიურ და მაღალნაყოფიერ ფორმებში განვითარების სოციალისტურ გზაზე შექმნა კლასობრივ ძალთა ახალი განწყობილება და საშუალება მისცა პარტიას, მთლიანი კოლექტივიზაციის გაშლის საფუძველზე, გადასულიყო „სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვისა და შევიწროების პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ახალ პოლიტიკაზე“.

ძირითადი და ახალი, რაც ჩვენ ამჟამად გვაქვს, არის კაპიტალისტური ელემენტების მკვებავი გარემოსა და ბაზის — წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ მრავალ მილიონ ინდივიდუალურ წვრილ საქონლურ გლეხურ მეურნეობათა მასების გადასვლა არა მარტო მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალ ფორმებზე, არამედ წარმოების ძირითად საშუალებათა საკუთრების სხვაგვარ ფორმებზედაც.

გლეხური წარმოების ძირითად საშუალებათა განსაზოგადოება წარმოების ამ საშუალებათა კერძო საკუთრებას აქცევს (მაშასადამე, სპობს) კოლექტივის საკუთრებად. განსაზოგადოებული მეურნეობის დამატებით არსებული კერძო ქონება (ძროხა, ცხვარი, ფრინველი, ბოსტანი ეზოსთან) არა სცვლის საკუთრების კოლექტიური ფორმის განვითარების ტენდენციას წარმოების განსაზოგადოებულ საშუალებათა უფრო და უფრო გაზრდილი ნაწილის მიმართ და წარმოების იმ საშუალებათა შედარებით შემცირებას, რომლებიც კოლმეურნეთა კერძო საკუთრებაში რჩება

სხვათა შორის, აქედან გამომდინარეობს კოლმეურნეობათა სოციალისტური ბუნება ამიტომ სავსებით სწორია თეზისი იმის შესახებ, რომ „კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მასიური განვითარების და კულაკობის დაწყებული ლიკვიდაციის შედეგად იცვლება საბჭოთა კავშირის მეურნეობის სხვადასხვა ეკონომიურ წყობათა ურთიერთობაც, იცვლება იმდენად, რამდენადაც იზრდება, როგორც მრეწველობის მიერ წარმოდგენილი სოციალისტური წყობის დამატება, სოციალისტური წყობა საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაშიც; ამ სოციალისტური წყობის მიერ იდევნება კაპიტალისტური წყობა“. მაშასადამე, სოციალისტური ურთიერთობა სოფლის მეურნეობის მოზარდ სოციალისტურ „ამიერიდან იწყებს დაყრდნობას აგრეთვე სექტორზედაც (მსხვილი წარმოება კოლექტიური მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის სახით“).

სოფლად სოციალისტური ურთიერთობა თავისი განვითარების ფორმას საკოლმეურნეო მოძრაობაში პოულობს. ამით ნამდვილად იწყება ქალაქისა და სოფლის, მრეწველობისა და მიწადმოქმედების დაპირისპირების დაძლევის უდიდესი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა. კოლმეურნეობებში და მათ ძირითად ფორმებში — არტელებში იწყება წვრილი და უწვრილესი ინდივიდუალური მესაკუთრეების გარდაქმნა სოციალისტური ხასიათის მსხვილი მეურნეობის მუშაკებად. იქ იწყება იმ კერძო-მესაკუთრული დაგროვებისა და წვრილ-მესაკუთრული ფსიქოლოგიის აღმოფხვრა, რომელიც კერძო საკუთრების საუკუნოებრივმა ბატონობამ აღზარდა. კოლმეურნეობებში ფეხს იკიდებს ახალი საწარმოო ურთიერთობა — კოლექტიური ურთიერთობა.

სწორედ ამისათვისაა საჭირო იმ განსხვავების ნათლად დანახვა, რომელიც არსებობს, ერთის მხრით, კოლმეურნეობებს შორის, რომლებსაც, თავიანთი მეურნეობის კერძო-მესაკუთრული საფუძვლის გამო, თუ არ კაპიტალისტურის გზით, სხვანაირად არ შეუძლიათ განვითარდნენ, და, მეორეს მხრით, კოლმეურნეობებს შორის, რომელთა წინაშეც, წარმოების განსაზოგადოებული საშუალებებისადმი მათი დამოკიდებულების გამო, იხსნება განვითარების სოციალისტური გზა.

კოლმეურნე - საშუალო გლეხი მთლიანად განვითარების სოციალისტურ გზაზეა შემდგარი, მაშინ, როდესაც კოლმეურნეობის გარეთ დარჩენილი საშუალო გლეხი განაგრძობს დგომას თავისი განვითარების კაპიტალისტურ გზაზე. კოლმეურნე - ღარიბი გლეხიც ასევე განსხვავდება ინდივიდუალური საშუალო გლეხისაგან.

„ყოველივე ამასთან შეფარდებით, — ნათქვამია თეზისებში, — ამჟამად ახალი სახით ისმება საკითხი საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენის შესახებ სოფლად“.

ამიერიდან საბჭოთა კავშირის მარცვლეული კულტურების უმნიშვნელოვანეს რაიონებში სოფელი გაყოფილი იქნება ორ ძირითად ნაწილად: კოლმეურნეებად, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ მკვიდრ დასაყრდენს წარმოადგენენ, და არა კოლმეურნე ღარიბ და საშუალო გლეხებად, რომელთაც ჯერ კიდევ არა სურთ კოლმეურნეობებში შესვლა, მაგრამ კოლმეურნეობების მასიური გამოცდილება მოკლე ხნის განმავლობაში მათ უსათუოდ დაარწმუნებს, რომ საჭიროა ისინიც კოლექტივიზაციის გზას დაადგნენ.

სქოლასტიკოსები, რომლებისათვისაც მარქსიზმი წარმოადგენს მკვდარ დოქტრინას და არა შემოქმედებით მეთოდს, ერთბაშად ვერ გაიგებენ, თუ როგორ ხდება, რომ კოლმეურნეობაში შესული საშუალო გლეხი „ნამდვილ მკვიდრ დასაყრდენს“ წარმოადგენს, ხოლო ინდივიდუალური მეურნე ღარიბი გლეხი მარცვლეული კულტურების უმნიშვნელოვანეს რაიონებში თითქოს ასეთ დასაყრდენს არ წარმოადგენს.

მათთვის გაუგებარია უდიდესი გარდატეხა სოფლის განვითარებაში და, მაშასადამე, გაუგებარია მათთვის იმის პოლიტიკური საჭიროებაც, რომ ახლენაირად უნდა დაისვას საკითხი საშუალო გლეხთან კავშირის შესახებ.

ეხლანდელ ეტაპზე არის ორგვარი საშუალო გლეხი. ის საშუალო გლეხი, რომელიც მტკიცე შევიდა კოლმეურნეობაში, საბჭოთა ხელისუფლების უკვე ნამდვილი მკვიდრი დასაყრდენია, ხოლო ის საშუალო გლეხი, რომელიც ჯერ კიდევ არ შესულა კოლმეურნეობაში, მხოლოდ მოკავშირეა ჩვენი. ხვალ იგი შეიძლება კოლმეურნედ გახდეს. ჩვენ ამისათვის უნდა ვიბრძოლოთ.

თეზისები სწორად განსაზღვრავენ ასეთ განსხვავებას და აღნიშნავენ, რომ „ინდივიდუალური მეურნეობიდან კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის საშუალო გლეხთან კავშირის საფუძველზე“.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა კოლმეურნეობათა და ინდივიდუალურ მეურნეთა ურთიერთ დამოკიდებულების პრობლემას. თეზისები „აფრთხილებენ პარტიულ ორგანიზაციებს — არ გამოიჩინონ რაიმე უყურადღებობა ინდივიდუალური მეურნეობის მიმართ, რომელიც მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ შედარებით დიდ ხანს იარსებებს“.

ინდივიდუალურ მეურნეებთან ურთიერთობა თითქმის იგივეა, რაც ურთიერთდამოკიდებულება კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა შორის. სოფლის ორ ძირითად ნაწილს — კოლმეურნეებსა და ინდივიდუალურ მეურნეებს შორის კოლმეურნეობათა შენარჩუნებისათვის წარმოებული ბრძოლის შედეგად, გამწვავებული ურთიერთობა დამყარდა. თეზისებს ასეთი ურთიერთობა მიაჩნიათ „შემაფერხებელ გარემოებად შემდგომი კოლექტივიზაციის საქმეში“. ამიტომ სავსებით აუცილებელია თეზისებით გათვალისწინებული წესი: კოლმეურნენი „არა თუ არ უნდა სდევნიდნენ ინდივიდუალურ მეურნეთ, არამედ დახმარებას უნდა უწევდნენ მათ და ყოველნაირად იზიდავდნენ კოლმეურნეობისაკენ“.

დღევანდელი ინდივიდუალური მეურნენი, თუ პარტიის პოლიტიკა სისწორით იქნება გატარებული და თუ მათ და კოლმეურნეთა შორის სწორი ურთიერთდამოკიდებულება დამყარდება, ხვალ გადიქცევიან კოლმეურნეებად, ე. ი. ჩვენს „ნამდვილ მკვიდრ დასაყრდენად“.

თეზისები ანალიზს უკეთებენ იმ შეცდომებსა და დამახინჯებებს, რასაც ადგილი ჰქონდა საკოლმეურნეო მოძრაობაში, და აღნიშნავენ, რომ „პარტიული და საბჭოთა ორგანოების შეცდომების გამოსწორების შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მარცვლეულ კულტურათა გადამწყვეტ რაიონებში თესვის ძირითადი ნაწილი კოლმეურნეობებმა ჩაატარეს, ხოლო არამარცვლეულ კულტურათა რაიონებში ინდივიდუალური მეურნენი ენერგიულად აწარმოებენ თესვას, ამავე დროს შენარჩუნებულ იქნა განსაზღვრული რიცხვი ყველაზე უფრო მტკიცე კოლმეურნეობებისა, რომლებიც შეიძლება გადაიქცნენ საკოლმეურნეო მოძრაობის დასაყრდენად ამ რაიონების ძირითადი გლეხური მასებისათვის“.

თეზისები ყურადღებას რაზმავენ იმ კლასობრივი ბრძოლის გამწვავების საკითხებს ირგვლივ, რომელიც სრულიად აუცილებელია იმ პერიოდში, როდესაც რამდენიმე ათი მილიონი წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა ერთი საზოგადოებრივი და სამეურნეო წყობიდან გადადის მეორე, შეუდარებლად უფრო მაღალ წყობაში.

„ამიტომ მხოლოდ ბიუროკრატებსა და ჩინოვნიკებს და არა რევოლიუციონერებს, შეუძლიათ იფიქრონ, რომ ასეთი მნიშვნელობის გადატრიალება, რომელიც უდიდესი მასების მეურნეობის წყობისა და ცხოვრების თვით საფუძვლებს ეხება, შეიძლება განხორციელებული იქნას სიძნელეთა გარეშე, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა და, ამასთან დაკავშირებით, საშუალო გლეხის მერყეობის გარეშე“ (თეზისები).

უდიდესი გარდატეხა სოფლის განვითარებაში მიღწეულ იქნა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპისა საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობის, კოოპერატიული გაერთიანების მასიურად გაშლის შედეგად, იმ გადამჭრელი შეტევის შედეგად, რომელიც სწარმოებს კულაკობის წინააღმდეგ საშუალო გლეხობასთან კავშირის საფუძველზე, იმის შედეგად, რომ განადგურებულ იქნენ როგორც კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმი, რომლის პოლიტიკაც აუცილებლად იწვევდა კავშირის გაწყვეტას გლეხობის ძირითად მასებთან, ისე „მემარჯვენე უკლონისტები, რომელთა პოლიტიკაც იყო ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე ხელის აღება, საბჭოთა მეურნეობების შექმნაზე და კოლმეურნეობების განვითარებაზე ხელის აღება და კაპიტულიაცია კულაკობის წინაშე“.

პარტია უძნელესი ბრძოლიდან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საფუძვლების გარდაქმნისათვის თავის მე-16 ყრილობაზე მიდის ისეთი მიღწევებით და პერსპექტივებით, რომელნიც უეჭველს ხდიან იმას, რომ ჩვენი ქვეყნის კოლექტივიზაციის საქმე დამთავრებული იქნება და ამით საძირკველი ჩაეყრება სოციალისტურ საზოგადოებას.

„პრავდა“, 20 მაისი.

ანტი-იმპერიალისტური მოძრაობა მთელს აღმოსავლეთს ედება

ინდოეთის ჯარისკაცები უარს ამბობენ აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაზე

გერმანიაში ღრმავდება ეკონომიური კრიზისი.—მეტალურგიული, სამთომადნო და საფეიქრო მრეწველობაში მასიურად ითხოვენ მუშებს

რევოლიუციონური მოძრაობა ინდოეთში

აჯანყება ფართოვდება

ლონდონი, 20 მაისი. ჩრდილოეთ-დასავლეთ ინდოეთში, სანაპირო ოლქებში, აჯანყება ფართოვდება. მთავრობა ამ რაიონში თავს უყრის დიდძალ ჯარს. განუწყვეტლივ მოქმედებენ საჰაერო ძალები. დაიმსხვრა 3 აეროპლანი, დაიღუპა 5 მფრინავი. (ადს).

ბრძოლა პოლიციასა და მოხალისეებს შორის

ლონდონი, 20 მაისი. ვადალში (ბომბეის პროვინცია) 400 მოხალისემ 10 ათასიან ბრბოს დახმარებით ბრძოლა გაუმართა 500 პოლიციელს და საგადასახადო მოხელეს. მოხალისეებმა გაარღვიეს პოლიციის ალყა, გაიფანტნენ 6 კვადრატიულ მილის ტერიტორიაზე და დაიწყეს მარილის შეგროვება ტომრებით. პოლიციამ ვერ შეაკავა ხალხი. დააპატიმრეს 400 კაცი. დხარსანში დააპატიმრეს მოხალისენი, რომელნიც მარილის საწყობებზე თავდასხმას აპირებდნენ; ისინი საბარგო ავტომობილებით წაიყვანეს საპყრობილეებში. (ადს).

შეტაკება ბრიტანეთის ჯარსა და ადგილობრივ ნაწილებს შორის

ქაბული, 20 მაისი. ინდოეთიდან ჩამოსულთა ცნობებით, რავალპინდიში (ქალაქი პეშავარის მახლობლად მოხდა შეიარაღებული შეტაკება ბრიტანეთის ჯარსა და ადგილობრივ ნაწილებს შორის. შეტაკება გამოიწვია იმან, რომ ადგილობრივმა ჯარისკაცებმა უარი სთქვეს ესროლათ დემონსტრაციისათვის. ორივე მხრიდან მოკლულია რამდენიმე ათი კაცი. (ადს).

თავდასხმა მარილის საწყობებზე

ლონდონი, 20 მაისი. მოხალისენი, რომლებიც თავს დაესხნენ ვატალას მარილის საწყობებს, პოლიციამ გაჰფანტა. დააპატიმრეს 69 კაცი, მძიმედ დასჭრეს 9. (ადს).

მარილის კამპანია მასიურ ხასიათს ღებულობს

ლონდონი, 20 მაისი. მარილის ახალი კამპანია ინდოეთში მასიურ მოძრაობის ხასიათს ღებულობს. მარილის საწყობებს თავს ესხმიან რამდენიმე ათას მოხალისესაგან შემდგარი რაზმები სრულიად ინდოეთის ნაციონალური კონგრესის სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელობით. მარილის მაღაროებთან მისულ მოხალისეთა ჯგუფებს ჩვეულებრივად ალყას არტყამს პოლიცია. ზოგიერთ შემთხვევაში მოხალისენი აპატიმრებინებენ თავს პოლიციას. მაგრამ ხშირად პოლიციის ალყასაც არღვევენ და მოსახლეობასთან ერთად აგროვებენ მარილს. პოლიცია დღე და ღამე მოქმედებს და ახობით აპატიმრებს ხალხს. ყველა საპატიმრო ადგილები გაჭედილია. დაპატიმრებულებს ათავსებენ საკონცენტრაციო ბანაკებში. ბანაკებს შემოვლებული აქვს [illegible] ელექტრონის დენი. ნაციონალურმა კონგრესმა გამოაცხადა კიდევ 100 ათას მოხალისის მობილიზაცია მარილის კამპანიის განსაგრძობად. (ადს).

ანტიიმპერიალისტური მოძრაობა მთელ აღმოსავლეთს ედება

ლონდონი, 20 მაისი. ანტიიმპერიალისტური მოძრაობა ინდოეთში, რომელიც თვით ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ლოზუნგით მიმდინარეობდა, ამ უკანასკნელ დღეებში სხვა კოლონიალურ ხალხებისათვის მხარის დაჭერის ხასიათსაც ღებულობს. ბომბეის მაჰმადიანთა დემონსტრაციის შემდეგ, რომლითაც პალესტინის არაბებს თანაგრძნობა გამოეცხადათ და რომელსაც ასი ათასი კაცი დაესწრო, მადრასში გაიმართა მიტინგი ეგვიპტისადმი თანაგრძნობის ნიშნად ინგლის - ეგვიპტის მოლაპარაკების ჩაშლასთან დაკავშირებით. მიტინგს მრავალი ათასი კაცი დაესწრო. აკრძალვის მიუხედავად, მიტინგი ღია ცის ქვეშ გაიმართა. პოლიციამ სცადა კრების გაფანტვა, მაგრამ ხალხმა მას ქვები დაუშინა. განმეორებულ იერიშების დროს პოლიციელებს ექვსი ყუმბარა ესროლეს. დაიჭრა ბევრი პოლიციელი. ბევრს აპატიმრებენ. (ადს).

განაჩენი შოლაპურში

ლონდონი, 20 მაისი. სამხედრო სასამართლომ შოლაპურში 7 კაცს მიუსაჯა საკატორღო მუშაობა 2-დან 10 წლამდე და ჯარიმა 1.000-დან 10.000 რუპიამდე. 3 ბავში ფიზიკურად დასაჯეს. (ადს).

დაპატიმრებულთა შიმშილობა

ლონდონი, 20 მაისი. მარილის ლაშქრობის მონაწილე 480 დაპატიმრებულმა მოხალისემ შიმშილობა გამოაცხადა პროტესტის ნიშნად იმის წინააღმდეგ, რომ მათ არ ეძლევათ სარეცხი წყალი და საჭმელიც ცუდი აქვთ. (ადს).

განახლდა ლაგორის შეთქმულების მეთაურთა გასამართლება

ლონდონი, 20 მაისი. როგორც ბომბეიდან იუწყებიან, განახლდა ლაგორის შეთქმულების მეთაურთა გასამართლება. როდესაც პოლიციამ ბრალდებულებს ხელბორკილების დადება მოინდომა, მათ წინააღმდეგობა გასწიეს და ასტეხეს ყვირილი: „ძირს ინგლისის იმპერიალიზმი!“ „გაუმარჯოს პროლეტარიატს“! პოლიცია იძულებული გახდა ხელბორკილების დასადებად ძალისათვის მიემართა. შემდეგ ბრალდებულები საკნებში დააბრუნეს. ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ აღარ წავლენ სასამართლოში. საქმე მათ დაუსწრებლად გაირჩევა. (ადს).

ინდოეთის რევოლიუციისათვის — მაკდონალდის მთავრობის წინააღმდეგ

ლონდონი, 20 მაისი. მუშათა მასიურ კრებაზე ტაილორსტიუნში ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმულია ინდოეთის რევოლიუციის მხარის დასაჭერად მზად ყოფნა და „უდიდესი ზიზღი“ მთავრობის მიმართ, რომელიც აწყობს ინდოეთის მუშათა მასიურ მჟლეტელობას. (ადს).

კონსერვატორების მორიგი ანტისაბჭოთა კამპანია

ლონდონი, 19 მაისი. კონსერვატორებმა ახალი ანტი-საბჭოთა კამპანია გააჩაღეს. მათ მთავრობას წარუდგინეს სხვადასხვა შეკითხვები საბჭოთა პროპაგანდის, რელიგიის დევნის და საექსპორტო კრედიტების შესახებ. მთავრობა ამ შეკითხვებზე პასუხს გასცემს ამ კვირის განმავლობაში.

კონსერვატიული პრესა განაგრძობს მოგონილი ამბების ყოველდღიურად ბეჭდვას ინდოეთში კომუნისტური პროპაგანდის შესახებ და სხვა.

„მორნინგ პოსტ“-მა დაიწყო ანტისაბჭოთა წერილების სერიის ბეჭდვა (ადს).

ბრიანის უნაყოფო ცდები

ევროპის ფედერაციის შესაქმნელად

გაიხსნა პან-ევროპის კონფერენცია ბერლინში

ბერლინი, 20 მაისი. გაიხსნა პან-ევროპის კონფერენცია, რომელიც პან-ევროპის ლიგამ მოიწვია. კონფერენცია მთავარ მიზნად ისახავს მხარის დაჭერას ბრიანის იმ გეგმისათვის, რომელიც ევროპის შეერთებული შტატების შექმნას გულისხმობს. გერმანიის გავლენიანი პოლიტიკური წრეები ჯერჯერობით სდუმან და არაფერს ამბობენ კონფერენციის შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრი კურციუსი სრულებით არ დასწრებია კონფერენციას. ტრადიციული მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვირტმა. გერმანიის არც ერთი სხვა პოლიტიკურ მოღვაწეს სიტყვა არ წარმოუთქვამს.

ინგლისის კოლონიების ყოფილმა მინისტრმა ემერიმ განაცხადა, რომ ბრიტანეთის მსოფლიო იმპერიის ინტერესების თვალსაზრისით ინგლისისათვის ხელსაყრელ არ არის შეუერთდეს ევროპის ქვეყნების გაერთიანებას, ამას არც პან-ევროპის ინტერესები მოითხოვენ. მაგრამ ემერიმ იქვე შენიშნა, რომ შესაძლებელია ინგლისის თანამშრომლობა პან-ევროპასთან მსოფლიო ხასიათის დიდ საკითხებში

კონფერენციამ წერილობითი მისალმება მიიღო ბრიანისაგან, რომელიც პან-ევროპის ლიგის საპატიო თავმჯდომარედ ითვლება. ლიგის თავმჯდომარეა გრაფი კუდენგოვ კალერტი (ადს).

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვა

პარიზი, 20 მაისი. როგორც „ლუმანიტე“ იუწყება, საფრანგეთის ფოსტა - ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვის დათხოვნილ მონაწილეთა შორის ირიცხება უნიტარული პროფკავშირების 12 აქტიური მუშაკი. ფოსტა-ტელეგრაფის 1.500 მოსამსახურის საზოგადო კრებამ მარსელში აირჩია ბრძოლის კომიტეტი. კომიტეტის შექმნის წინააღმდეგ გამოსულმა რეფორმისტებმა შეკრიბეს 40 ხმა. კრების შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია ქუჩაში.

პარიზში არჩეულ იქნა ფოსტა - ტელეგრაფის მუშაკთა ბრძოლის ცენტრალური კომიტეტი. (ადს).

ეკონომიური კრიზისი გერმანიაში ღრმავდება

ბერლინი, 19 მაისი. გერმანიის ეკონომიური კონიუნქტურა ისევ უარესდება. საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობის სეზონური გამოცოცხლებაც კი შესწყდა და უკვე მოდის ცნობები მუშათა ახალი მასიური დათხოვნების შესახებ. უფრო მეტად გაუარესდა მდგომარეობა მეტალურგიულ და სამთამადნო მრეწველობაში. რურში ქვანახშირის მოპოვებამ აპრილში, წინა თვესთან შედარებით, 10 პროცენტით დაიკლო, ხოლო 1929 წლის აპრილთან შედარებით—18,6 პროცენტით. მრეწველები ყოველდღე აძლიერებენ შეტევას მუშების წინააღმდეგ.

დღეს გამოქვეყნებულია ცნობა, რომ რეინის ოლქში იხურება სამი მაღარო, რომლებშიც 1500 კაცი მუშაობს. მუშების დათხოვნა გრძელდება რურის სამთამადნო მრეწველობაშიც. დიუსელდორფში, ფენიქსის ქარხანაში, ადმინისტრაციამ გაუფრთხილებლად და ლოკაუტის მუქარით გამოუცხადა მუშებს ხელფასის 20 პროცენტით შემცირება.

დამქირავებლები მუშათა წინააღმდეგ შეერთებული ფრონტით გამოდიან. მათ მეტალურგიული და სამთამადნო მრეწველობაში დასდეს ურთიერთთან შეთანხმება, რომლითაც ლოკაუტებისა და გაფიცვების დროს მხარი უნდა დაუჭირონ ერთმანეთს. რეფორმისტული და ქრისტიანული პროფესიონალური კავშირები არავითარ ზომებს არ ღებულობენ მრეწველთა შეტევის წინააღმდეგ. თავდაცვა და კონტრშეტევა ეწყობა რევოლიუციონური საპროფკავშირო ოპოზიციის ხელმძღვანელობით (ადს).

გენერლების ბრძოლა ჩინეთში

ლონდონი, 20 მაისი. როგორც „ტაიმს“-ის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, ლუნხაის რკინის გზაზე სერიოზული ბრძოლაა ერთის მხრით ნანკინის, ხოლო მეორეს მხრით, ენ-სი-შანისა და ფინ-იუ-სიანის ჯარებს შორის. ფინ-იუ-სიანის ჯარის რიცხვი 300 ათას კაცს უდრის, ენ-სი-შანის—200 ათას კაცს. ნანკინის ჯარის რიცხვი ტიანძინ-პუკოუს რკინის გზაზე 50 ათას კაცს შეადგენს, მაგრამ ამ ჯარის ბევრი ნაწილი სანდო არ არის. (ადს).

ქალები ჩინეთის აჯანყებულთა არმიაში

შანხაი, 20 მაისი. სვატოუდან მიღებული ცნობით, ჩინეთის აჯანყებულთა არმიაში აქტიურად მუშაობენ გლეხი ქალები, რომელნიც აკრავენ და სოფლებში ავრცელებენ საგიტაციო ფურცლებს, ამზადებენ ჯარისკაცებისათვის საჭმელს და ეწევიან პროპაგანდას მუშათა და გლეხთა შორის (ადს).

მისიონერი ჩინეთის წითელი არმიის წარმატების შესახებ

შანხაი, 20 მაისი. „ნორტ ჩაინა დეილი ნიუს“-მა დაბეჭდა იმ მისიონერთა წერილები, რომელნიც ტყვედ ჰყავდათ წითლებს. ერთ-ერთი მისიონერი სწერს: „წითლების ხელისუფლება განუწყვეტლივ ფართოვდება. ჩუ-დე ძიანსის პროვინციაში მომქმედი კომუნისტური ორგანიზაციის სამხედრო გენიოსია. მაო ძე-დუნი ხელმძღვანელობს ორგანიზაციის ყველა სამოქალაქო საქმეებს. წითლები მრავალ შემთხვევაში უთუოდ უკეთ განაგებენ დაპყრობილ რაიონებს, ვიდრე მუდმივი მთავრობა“ (ადს).

საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობა

ტარდიე ურთიერთობის შესახებ

პარიზი, 20 მაისი. რესპუბლიკანური ფედერაციის ყრილობაზე მარსელში მემარჯვენე დეპუტატმა **საულმა** თავის სიტყვაში, სხვათა შორის, განაცხადა, რომ მას **ტარდიესთან ჰქონდა** საუბარი საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ. საულის სიტყვით, ტარდიემ განაცხადა: **„მე ეს საკითხი მიმაჩნია არა ნაციონალურ, არამედ საერთაშორისო საკითხად, რომელსაც აქვს არა მარტო ევროპიული, არამედ მსოფლიო მნიშვნელობა“** (ადს).

დამატებითი არჩევნები დასავლეთ უკრაინაში

ვარშავა, 20 მაისი. მოხდა სეიმის დამატებითი არჩევნები ლუცკის ოლქში (დასავლეთი უკრაინა). არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 35 პროცენტმა. პილსუდსკის მომხრენი, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას არ იღებდნენ, სპეკულიაციას ეწევიან ამ გარემოებით და თითქმის ყველა ამომრჩეველს, ვინც თავი შეიკავა, თავიანთ მომხრედ სთვლიან, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეეფერება. უკრაინელმა მოსახლეობამ იმიტომ შეიკავა თავი, რომ მას სრულებით გაუცრუვდა იმედი პოლონეთის სეიმზე. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა ერთადერთი პოლონური პარტია, „ვიზვოლენიე“, რომელმაც სულ 10.000 ხმა შეკრიბა და ვერც [illegible] „სელრობ“-მა, რომელმაც წინა არჩევნებზე 40 ათასი ხმა შეაგროვა, ეხლა სულ 348 ხმა მიიღო. მემარცხენე „სელრობ“-მა მიიღო 16 ათასი ხმა და 1 მანდატი. **ყველაზე მეტი ხმა შეკრიბა ნაციონალურ უმცირესობათა ბლოკმა, რომელმაც მიიღო 40 ათასი ხმა და 3 მანდატი; უკრაინელმა რადიკალებმა მიიღეს 29 ათასი ხმა და 2 მანდატი** (ადს).

კლასობრივი მტრის შურისძიება

პოლიტპატიმართა ცემა ლატვიაში

რიგა, 20 მაისი. ლატვიის საპყრობილეებში სცემეს პოლიტპატიმრებს, რომელნიც პირველ მაისს „ინტერნაციონალის“ სიმღერით შეხვდნენ.

დვინსკის საპყრობილეში სცემეს ყველა პოლიტპატიმრებს, ხოლო შემდეგ ისინი კარცერში ჩასვეს. ვინც პროტესტს აცხადებდა, მას პირში კირს ასხამდნენ. ცემებულთა ყვირილი რომ გალავანს გარედ არ გაეგონათ, ეზოში ორკესტრი უკრავდა. რიგაში, მიტავაში, ლიბავაში და სხვაგან ასეთივე ამბები მოხდა.

სეიმის მუშურ - გლეხურმა ფრაქციამ სასტიკი პროტესტი განაცხადა პოლიტპატიმართა ცემის წინააღმდეგ და მოითხოვა, რომ სეიმმა დანიშნოს კომისია საქმის გამოსაძიებლად. სეიმმა უარჰყო მუშურ - გლეხური ფრაქციის პროტესტიც და წინადადებაც. მუშურ-გლეხურ გაზეთ „ბედრის“, ამ ამბების შესახებ ცნობის მოთავსებისათვის, კონფისკაცია უყეს (ადს).

განაჩენი ფრანგი კომუნისტების წინააღმდეგ

პარიზი, 20 მაისი. ნანსიში ერთი წლის პატიმრობა და ათას-ათასი ფრანკი ჯარიმის გადახდა მიესაჯა ოთხ კომუნისტს, რომლებიც ერთი-მეორის შემდეგ იყვნენ დასავლეთის ოლქის კომუნისტური ორგანოს რედაქტორებად. მათ ჰბრალდებოდათ ანარქისტული პროპაგანდა და ჯარისკაცების წაქეზება. კომუნისტ მორეს მიესაჯა ოთხი თვის პატიმრობა იმის გამო, რომ მან ჯარისკაცებს პროკლამაციები დაურიგა (ადს).

თეთრი ტერორი ფინლანდიაში

ჰელსინგფორსი, 20 მაისი. ფინლანდიაში ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფო ღალატისათვის დაისაჯა 195 კაცი. საზოგადოებათა შესახებ ახალი კანონის ძალით, უნდა დაიხუროს ორასზე მეტი საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელთაგან 146 უკვე დაიხურა. პასუხისგებაში მიცემულია 12 გაზეთი. ზოგიერთი მათგანი დროებითაც შეაჩერეს. (ადს).

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

რიგაში პოლიციამ გარეკა მემარცხენე მუშების მიერ მიერ მაიაკოვსკის ხსოვნის აღსანიშნავად გამართული კრება (ადს).

ვარშავაში დახურეს მემარცხენე პროფკავშირთა 14 ორგანიზაცია, რომლებსაც ჩამოართვეს ბინები, ავეჯი და ფული. დააპატიმრეს 40 აქტივისტი (ადს).

საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 1930 წლის პირველ 4 თვეს 1,6 მილიარდი ფრანკით შემცირდა. გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით, ეს შემცირება 4 პროცენტს უდრის (ადს).

საფრანგეთის ჯარის მიერ რეინის ზონის ევაკუაცია 30 ივნისს დამთავრდება (ადს).

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის შესახებ

(საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საკონტროლო კომისის 1930 წლის 18 მაისის დადგენილება)

1. რადგან საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ამხ. **ნაზარეტიანი** ამიერ-კავკასიიდან გაწვეულ იქნა ურალის საოლქო საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხელმძღვანელ ხამუშაოზე,—განთავისუფლებულ იქნას იგი საკ. კომპ. (ბ) ა.-კ. საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

2. მოწვეულ იქნას კოოპტაციის წესით ამხ. **იაკოვლევი** საკ. კომპ. (ბ) ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის შემადგენლობაში და შეყვანილ იქნას იგი საკ. კომპ. (ბ) ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმში.

3. საკ. კომპ. (ბ) ამიერკავკასიის საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ამხ. **იაკოვლევი.**

ავტოკეფალური ეკლესია—კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია

არქიეპისკოპოს კონსტანტინე კროტევიჩის წერილი

მოსკოვი, 20 მაისი. „კომუნისტ“-ში დაბეჭდილია უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის არქიეპისკოპოს კონსტანტინე კროტევიჩის წერილი. კროტევიჩი სწერს:

„ავწონ-დავწონე რა ჩემი ცხოვრებისა და 8 წლის საეკლესიო მოღვაწეობის ყველა გარემოება და ის მოვლენები, რომლებიც მოხდა ჩემს ცხოვრებაში „უკრაინის განთავისუფლების კავშირის“ პროცესთან და უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის 1930 წლის საგანგებო საეკლესიო კრების დადგენილებასთან დაკავშირებით, გადავსწყვიტე ხელი ავიღო არქიეპისკოპოსის თანამდებობაზე და თავი დავანებო საეპისკოპოსო მსახურებას.

„უკრაინის განთავისუფლების კავშირის“ პროცესმა თვალსაჩინოდ დაამტკიცა, რომ უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია იყო მთავარი ინსტანცია, სადაც ხორციელდებოდა ეფრემოვის, ჩეხოვსკის და „უკრაინის განთავისუფლების კავშირის“ სხვა წევრების კონტრრევოლიუციონური იდეები. ეკლესიის მოღვაწეობა მიმართული იყო იქეთკენ, რომ დაემხო საბჭოთა ხელისუფლება. მე თავს ვანებებ უკრაინის ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიაში მსახურებას და ხელს ვიღებ ეპისკოპოსის თანამდებობაზე. მსურს დავუბრუნდე ჩემს თავდაპირველ კულტურულ მუშაობას, რათა ჩემი ძალღონე მოვახმარო ახალ სოციალისტურ მშენებლობას“. (ადს).

„ლენა-გოლდფილდს“-ის კონცესიის უყაირათობამ

საშიში მდგომარეობა შექმნა

მოსკოვი, 20 მაისი. „ლენა-გოლდფილდს“-ის კონცესიის მიერ თავისი საწარმოების ბოროტად ჩაშლა უკვე იძლევა უარყოფით შედეგებს. პოლევის სპილენძის ჩამომსხმელ ქარხანაში საცაა მუშაობა შეჩერდება. ელექტრო-სადგურის მუშების დეზორგანიზაციის გამო, გაჩერება მოელის მრავალ ქარხანას. სისერტის ქარხანაში ყველა გასავლელი მაგრაა ჩაკეტილი. კონცესიამ არ განაახლა იჯარა რკინის გზის შემადგენლობა, რის გამოც პერმის რკინის გზის გამგეობა იძულებულია შესწყვიტოს ყოველგვარი მოძრაობა დეგტიარის ხაზზე. კონცესიის ბოროტმოქმედებით შექმნილი მდგომარეობა საერთო აღშფოთებას იწვევს.

„ლენა-გოლდფილდს“-ის კონცესიის ლენინგრადის განყოფილება სასწრაფოდ ჰყიდის სხვადასხვა საქონლის მარაგს, რომელიც მის საწყობებშია, ამასთან კონცესია მოითხოვს ანგარიშის დაუყოვნებლივ გასწორებას ნაღდ ფულზე. გლუბსკიდან „ლენა-გოლდფილდს“-ის გამგეობის მიერ ტელეგრაფით გადმოცემული განკარგულებით, სასწრაფოდ გაიწვიეს ის უცხოელნი, რომელნიც კონცესიის საწარმოებში მუშაობენ, მათ შორის კონცესიის დირექტორი დევი, რაც კონცესიის საწარმოების შემდგომ მუშაობას აუცილებელ გართულებას უქმნის, რადგან საწარმონი უპატრონოდ არიან მიტოვებულნი. საწარმონი სრულიად უსახსროდ დარჩნენ.

როგორც ალმა-ატადან იუწყებიან, კონცესიის საწარმოებმა მუშებს ხელფასი არ მისცეს. ამან მუშები ძალზე აღაშფოთა. უცხოელი სპეციალისტები გაიწვიეს და მთლიანად შეაჩერეს მუშაობა კონცესიის საწარმოებში. (ადს).

მეცნიერების მუშაკები პარტიაში

კიევი, 20 მაისი. ცნობილმა აკადემიკოსმა **გოლდმანმა** და კიევის პროფესორებმა—ქიმიკოსმა **ნიკიფოროვმა**, არქიტექტორმა იავოროვსკიმ, [illegible] კოვმა და **რავჩენკომ** შეიტანეს განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. პროფესორი ნიკიფოროვი 60 წლისაა, რიკოვი—56 წლის და იავოროვსკი—54 წლის (ადს).

სამრეწველო მეღორეობის განვითარება

ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობებში

მოსკოვი, 20 მაისი. საკავშირო მიწსახკომმა დაადგინ—მოეწყოს სამრეწველო მეღორეობა ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობებში მიმდინარე წლის გაზაფხულსა და ზაფხულში კოლმეურნეობებისათვის გადასაცემ ნეზვების, გოჭებისა და ბურვაკების რაოდენობა განსაზღვრულია 12 ათასით. აქედან ნეზვი იქნება 1000 გოჭი და ბურვაკი—11.000

ამასთან ერთად ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობებმა 1932 წლის 1 იანვრამდე უნდა ჩააბარონ მეღორეობის პროდუქცია 203.000 სულის რაოდენობით, აქედან 1930—31 წელს —41.500 სული, დანარჩენი 1932 წლის 1 იანვრამდე.

ამ საქმისთვის 922.400 მან. გადაიდო (ადს).

ღონისძიებები მესაქონლეობის განვითარებისათვის

საქონლის საკვების დასამზადებელი კოშკები

მოსკოვი, 20 მაისი. საკავშირო მიწსახკომმა გამოჰყო ამიერ-კავკასიის საჭიროებისათვის საქონლის საკვების (სილოსის) დასამზადებელი 10 სტანდარტული ხის კოშკი. 3 ცალი კინგის სისტემისაა, 4 პოპკოვის და 3 ლიბისა. თვითეული კოშკი ღირს 5.500—6000 მან. კოშკი იტევს 300 ტონას (ადს).

ჯიშიანი საქონელი საბჭოთა მეურნეობებს

მოსკოვი, 20 მაისი. სააქციო საზოგადოებამ „სკოტოიმპორტ“-მა ამიერ-კავკასიაში ბაშკიჩეთისა და ლესოფორის საბჭოთა მეურნეობებს სანაშენოდ გაუგზავნა 42 „სიმენტალის“ ჯიშის საიმპორტო საქონელი. ახლო მომავალში განზრახულია გაიგზავნოს კიდევ 200 ძროხა და 12 ხარი. გარდა ამისა განზრახულია საიმპორტო ძროხები და ხარები გაიგზავნოს იანიხსკის, აზიზბეკის და დერმონბილის საბჭოთა მეურნეობებში (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პოლონეთის მთავრობა აყოვნებს გამოძიებას

პრესა პროვოკაციულ ხმებს ავრცელებს

მოსკოვი, 20 მაისი. ვარშავიდან მიღებული ცნობით, პოლონეთის საგამომძიებლო ხელისუფლება არ იჩქარის საბჭოთა საელჩოში აღმოჩენილ ჯოჯოხეთის მანქანის დამდგმელთა გამოაშკარავებას. კვლევა-ძიება შეწყვეტილია. არ არის გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, თუ რა შედეგი გამოიღო უკვე ჩატარებულ გამოძიებამ.

ამავე დროს ვარშავის მთელ რიგ გაზეთებში დროგამოშვებით იბეჭდება პროვოკაციული წერილები, რომლების მიზანიც არის დამტკიცონ, რომ ჯოჯოხეთის მანქანის დადგმა საბჭოთა საელჩოში სახელმწიფო პოლიტსამმართველოს აგენტების საქმეა. ეს უტიფარი ინსუნუაციები საჭიროა იმისათვის, რომ დაფარულ იქნას ნამდვილ ბოროტმოქმედთა კვალი.

„იზვესტია“ ეხება ამ ცნობას და სწერს: საბჭოთა საზოგადოებრიობა დიდ მოთმინებას იჩენს. პროვოკაცია, რომელსაც ეწევა ვარშავის პრესა, თეთრი ძაფით არის ნაკერი. პოლონეთის პოლიტიკოსებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ასეთ საქმეებში ხუმრობა დასაშვები არაა.

ეკლესიებს ბერლინში პოლიცია სდარაჯობს

მთავრობამ აკრძალა ამხ. ბუხარინის ბროშურის გაყიდვა

მოსკოვი, 20 მაისი. ანტირელიგიური მოძრაობა გერმანიაში ფართოვდება. ამას ხელი შეუწყო უკმაყოფილებამ, რომელიც გამოიწვია გერმანიის მუშათა კლასში რომის პაპისა და საეკლესიო ორგანიზაციების ანტისაბჭოთა კამპანიამ.

კათოლიკეთა სამღვდელოება აწყობს მთელ რიგ მოხსენებებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მოხსენებით გამოვიდნენ ბოლშევიკთა სიძულვილით ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები. მომხსენებელთა შორის არიან თეთრგვარდიელი ემიგრანტებიც.

პოლიციამ წიგნის ყველა მაღაზიებში **კონფისკაცია უყო ამხ. ბუხარინის პამფლეტს**, დაწერილს ვატიკანის წინააღმდეგ.

ამ დღეებში ბერლინის ერთ-ერთ ახალი ეკლესიის ზარზე, რომელიც ზეიმის უნდა აეტანათ სამრეკლოზე, უცნობ პირებმა ამოსჭრეს ფრაზა: **„რელიგია მშრომელი ხალხის დამაბრმავებელია“.**

300 უმუშევარი წითელი დროშებით, ანტირელიგიური პლაკატებით და რევოლიუციონური სიმღერით გამოცხადდა ბერლინის მუნიციპალიტეტის შენობაში და თავიანთი თავი ეკლესიის „სამწყსოსაგან“ გამოსულად გამოაცხადა.

სამღვდელოება შეშფოთებულია იმის გამო, რომ მუშები სტოვებენ ეკლესიას მასიურად და დემონსტრატიულად, რასაც დიდი სააგიტაციო მნიშვნელობა აქვს. უკანასკნელ კვირეებში ეკლესიებს პოლიციის პიკეტები სდარაჯობენ.

ა. წ. მაისის 21-ს, დღის სრულ 12 საათზე,

შ ე ს დ გ ე ბ ა

საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. ცაკის მდივანი—ს. თოდრია.

ტეხნიკური კულტურების თესვა ბრკოლდება

კოლმეურნეობათა მშენებლობაში დაშვებული შეცდომების დროზე გამოსწორებით მაგრდებიან კოლექტივები კახეთში

ახალი შეღავათები ბამბის მთესველ კოლმეურნეობებს

ტეხნიკური კულტურების თესვა ფერხდება

ტეხნიკური კულტურების კონტრაქტაციის და თესვის დარგში ჯერ კიდევ არ მომხდარა საფუძვლიანი გარდატეხა.

მთელს საქართველოში გეგმით გათვალისწინებულია ბამბის დათესვა 13.000 ჰექტარზე; მიმდინარე წლის პირველ მაისამდე ბამბის ქვეშ დათესილია მხოლოდ 3.300 ჰექტარი. იმავე გეგმით სოიას კულტურის ნათესები უნდა ასულიყო 20.460 ჰექტარამდე—სინამდვილეში სოია დღემდე დათესილია 13.000 ჰექტარზე.

ყველაზე უფრო ცუდი მდგომარეობაა თამბაქოს თესვის დარგში. მთელს საქართველოში გეგმით გათვალისწინებულია 21.000 ჰექტარი თამბაქოს დათესვა, დღემდე კი არავითარი ცნობები არ მოიპოვება თამბაქოს ნათესი ფართობის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ.

არც ვენახების აღდგენის დარგშია ნორმალური მდგომარეობა. გეგმით წელს მთელს საქართველოში უნდა ჩაყრილიყო ნამყენი 900 ჰექტარზე—სინამდვილეში კი ჩაყრილია მხოლოდ 400 ჰექტარზე და სხვ.

ამგვარად, ბამბის, თამბაქოს და სოიას დარგში კონტრაქტაციის გატარება ფერხდება და ამ სფეროში საზაფხულო კამპანიის გეგმის განხორციელებას ჩაშლა მოელის.

რაც შეეხება კენაფს, ჭარხალს და არახისს, ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა და ამ კულტურების კონტრაქტაციის გეგმის რეალურად განხორციელება ყოველ მხრივ უზრუნველყოფილია.

უმთავრესად კი სერიოზული ყურადღება ბამბას უნდა მიექცეს.

საჭიროა, მუშა საქონლის კოლონებმა, სატრაქტორო რაზმებმა და სატრაქტორო სადგურებმა პირველ რიგში მოხნან იმ გლეხების და კოლექტივების მიწები, რომელნიც ბამბის თესვას აწარმოებენ.

მეთამბაქოების დარგში დაუყოვნებლივ უნდა მოწესრიგდეს ავანსების გაცემის საქმე. ხშირად ავანსები ადგილობრივ სალაროებში უწყვია და მის გაცემას ბიუროკრატიულ-ფორმალური დაუდევრობით აჭიანურებენ.

ამ უპასუხისმგებლობის დაუშვებლობასთან ერთად, საჭიროა იმ შეღავათების რეალურად გატარება ცხოვრებაში, რომელიც მთავრობის **დადგენილებით ტეხნიკური და სპეციალური კულტურის მხვნელ-მთესველებს ენიჭებათ.**

სინამდვილეში აღნიშნული შეღავათები არა თუ ტარდება, არამედ ამ შეღავათების არსებობა არც კი იცის ზოგიერთი რაიონის მოსახლეობამ.

საფუძვლიან **ახსნა-განმარტებასთან** ერთად, ხელისუფლების მიერ მინიჭებული **შეღავათების ნამდვილად გატარება ცხოვრებაში** — აი რა უზრუნველჰყოფს ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურების ნაყოფიერ კონტრაქტაციას, როგორც კოლექტივებში და საბჭოთა მეურნეობაში, ისე კერძო სექტორში.

კარტოფილის და ბოსტნეულის თესვის მხრივაც მეტად ჩამორჩენილი მდგომარეობა გვაქვს. **ქუთაისის და კახეთის** რამოდენიმე რაიონებში კარტოფილის თესვის საგეგმო დავალებათა შესრულებას ხელოვნურად აფერხებენ და მის თესლს კი **სასურსათო მიზნისათვის ხმარობენ:** სენაკის მაზრის აღმასკომი კატეგორიულად მოითხოვდა ორი ვაგონი კარტოფილის თესლის მიცემას, თესვის გამტარებელ ცენტრალურმა კომისიამ მათ დაუთმო კარტოფილის თესლის მოთხოვნილი რაოდენობა, რამოდენიმე დღის შემდეგ კი სენაკელ ამხანაგებმა მოითხოვეს კარტოფილის აღნიშნული თესლის **სურსათად** გამოყენება.

ასეთივე მდგომარეობა იყო კახეთის ოლქის **სიღნაღის რაიონშიც.** გარდა ამისა, კახეთში მოითხოვეს ბოსტნეულის თესლი, ცენტრალურმა დამთეს კომისიამ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნილება და რამოდენიმე დღის შემდეგ კახეთში გაგზავნილი ბოსტნეულის თესლი უკვე გადმოგზავნეს და სხვ.

ამგვარად, თესვის და განსაკუთრებით კონტრაქტაციის დარგში ზოგიერთი მუშაკების უპასუხისმგებლობა აფერხებს საგაზაფხულო თესვის გეგმის წარმატებით შესრულებას.

ბიუროკრატების ჩამოშორებით, სამეურნეო შეღავათების განმარტება-გატარებით, გამწევი ძალის რაციონალურად გამოყენებით, ავანსების ადრე განაწილებით, თესლის დროზე მიწოდებით, ღარიბი გლეხობის დარაზმვით და კულაკების ცილისწამება-მავნებლობის აღმოფხვრით—უზრუნველვყოთ ტეხნიკურ კულტურების თესვის გეგმის შესრულება.

ა. კ—ი.

შეღავათები ბამბის მთესველ კოლმეურნეობებს

ამიერ-კავკასიაში ბამბის მეურნეობის განვითარების მიზნით, ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ტეხნიკურ კულტურების მეურნე კოლექტივებზე შემოღებული შეღავათები გავრცელებულ იქნეს მებამბეობის კოლმეურნეობებზედაც.

ამ დადგენილების მიხედვით მებამბეობის კოლმეურნეობებს ენიჭებათ შემდეგი შეღავათები:

სასოფლო - სამეურნეო გადასახადით დაბეგრის მიზნით ამა თუ იმ რაიონისათვის დაწესებული საშემოსავლო **ნორმა** კოლმეურნეობებისათვის **შემცირებული იქნება ორჯერ.**

იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც ნაკისრ ვალდებულებებს ფაქტიურად ბამბის დათესვის საქმეში შეასრულებენ გადაჭარბებით, ყოველ ზედმეტად ბამბით დათესილ ჰექტარზე მიეცემათ ორი წილი ავანსი.

ეს შეღავათები ვრცელდება ყველა ბამბის მთესველ კომუნებზე, კოლექტივებზე, არტელებზე და მიწის ერთად დამმუშავებელ იმ ამხანაგობებზე, რომლებსაც განსაზოგადოებული აქვთ მუშა-საქონელი და ინვენტარი.

ქართველ ებრაელების კოლექტივები

ყველასათვის ცხადია, რომ წარსულში ებრაელები მძიმე პირობებში იყვნენ, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ეხლანდელ პირობებში კოლმეურნეობათა ორგანიზაციის გზით ღარიბი ებრაელობა სულ მალე დააღწევს თავს სიღარიბეს და ჩამორჩენილობას.

საქართველოს მთავრობამ გაუწია ანგარიში საქ. ებრაელთა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას და იგი ყოველმხრივ ხელს უწყობს მათ მიწაზე გადასახლებას.

ამ მიზნით უკვე საკმაო ნაბიჯებია გადადგმული: კახეთში წითელ გორაზე დიდი ხანია დაარსებულია ებრაელთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი, სადაც გაერთიანებულია 96 ოჯახი. მათ განკარგულებაში არის 600 ჰექტარი მიწა. მთავრობამ მათ 44.000 მანეთი სესხი მისცა შენობების ასაგებათ და სხვა საჭირო მანქანა-იარაღების შესაძენათ. ამჟამად მათ უკვე დათესილი აქვთ 15 ჰექტარი სიმინდი, 10 დესეტინა თამბაქო, 3 დესეტინა მიწის თხილი და სხვ.

ქობულეთის მახლობლად მოეწყო ებრაელებისათვის მეფრინველე-მესაქონლეობის კოლექტივი „აქაროზეტი"-ს სახელწოდებით; ახალციხეში მოეწყო მებაღეობის კოლექტივი 48 ოჯახის შემადგენლობით; საგარეჯოში 18 ოჯახი გადასახლდა მიწაზე სამუშაოთ; სუჯუნაში 35 ოჯახი ამუშავებს მიწას და ამ უკანასკნელად ახალ გორში ტირიფონის ველზე მოეწყო 25 ოჯახის კოლექტივი.

ყოველივე ეს ნათელყოფს იმას, რომ მშრომელი ებრაელები აღარ დაუბრუნდებიან ძველს და ისინი ხელს მოჰკიდებენ კულტურულ შრომას სოფლის მეურნეობაში.

სრულიად ახალ და უჩვეულო პირობებში—ახლად ჩასახლებულ ებრაელებმა ხელუხლებელი და ხშირად გამოუსადეგარი მიწები ნოყიერ ყანებად აქციეს.

საქართველოს მშრომელი ებრაელების მიწად-მომწყობ საზოგადოებაში აურიცხელი განცხადებები შემოდის სხვადასხვა ქალაქების ებრაელებიდან მათი მიწაზე მოწყობის შესახებ. „საქმესი" მომავლისათვის ზრუნავს, რათა მშრომელი ებრაელების ფართო მასა გადაყვანილ იქნას სოფლის მეურნეობაში კოლექტიურ წესზე სამუშაოთ.

ისაკო ციციაშვილი.

კოლექტივიზაცია კახეთის ოლქში

კოლმეურნეობათა მშენებლობაში დაშვებულ შეცდომების გამოსწორების და ამ დარგში პარტიის და ხელისუფლების დირექტივების გატარების საფუძველზე კახეთის ოლქში კოლექტივიზაცია თანდათან დგება ჯანსაღ ნიადაგზე.

ამჟამად კოლმეურნეობათა მშენებლობას კახეთში ახასიათებს არსებული კოლექტივების ორგანიზაციული განმტკიცება და გამაგრება.

გარდა ამისა მთელ რიგ სოფლებში და რაიონებში ადგილი აქვს ღარიბ - საშუალო გლეხების მასიურ ლტოლვას კოლექტივებისაკენ. ღარიბ - საშუალო გლეხები და მოჯამაგირენი თვით იღებენ ინიციატივას და აწყობენ სამაგალითო კოლექტივებს.

ამგვარად, საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიულ პოლიტიკის დამახინჯებათა და ცალკე გადახვევათა გამოსწორებამ უზრუნველჰყო კოლმეურნეობათა შემდგომი ზრდა და მშრომელი გლეხობის ახალი ტალღები აქტიურად ისწრაფიან კოლექტივებისაკენ.

კოლმეურნეობათა ზრდის პროცენტებით გატაცების ნაცვლად, რასაც ადგილი ჰქონდა წინად, ჩვენ მოწმენი ვართ დღეს კახეთის ოლქის კოლმეურნეობათა გამსხვილების და თანდათანობით ზრდის.

თუ როგორია დღეს სურათი კოლმეურნეობათა მშენებლობისა კახეთის ოლქში,—ამას ნათელყოფს ქვემოდ მოყვანილი ცნობები,რომელიც დამყარებულია ოლქში ჩატარებულ უკანასკნელ აღწერების მასალებზე.

ა.-წ. 10 მაისისათვის ოლქში იყო სულ **145** სხვადასხვა ტიპის კოლექტიურ მეურნეობათა ერთეული. აქედან — კომუნა—10; არტელი—122 და მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა (სოზი)—13.

აღნიშნული კოლექტივები აერთიანებენ—6.243 გლეხთა მეურნეობას. წევრთა საერთო რიცხვი უდრის 13.012-ს, ხოლო მჭამელთა რიცხვი — 25.053 სულს. კოლექტივებში გაერთიანებულ კომლთა რიცხვი უდრის მთელი ოლქის კომლთა საერთო რიცხვის (54,140)—11,5 პროც.-ს, ხოლო მჭამელთა რიცხვი კი—სოფლის მცხოვრებთა (241,306) — 10,4 პროც.-ს.

სოციალურ შემადგენლობის მიხედვით კოლმეურნეობებში გაერთიანებულნი არიან: მოჯამაგირეები — 667, ღარიბები — 4.418, საშუალო გლეხები — 858, მოსამსახურენი—213 და სხვ. სოც. ჯგუფებისა — 87. ამგვარად მოჯამაგირენი და ღარიბი გლეხები შეადგენენ კოლექტივებში გაერთიანებულ მეურნეობათა 81,4 პროც.-ს.

მჭამელთა საერთო რიცხვიდან შრომისუნარიანია 14.758 სული, ე. ი. 58,8 პროც., დანარჩენი, ე. ი. 10.295 სული (41,2 პროც.) შესდგება — ბავშვების (12 წ-დე) და შრომის უნარ დაკარგულ სრულწლოვანთაგან. შრომის უნარ არმქონეთა 41,2 პროც. არ ჩაითვლება დიდ პროცენტად, როგორც ეს პირველ შეხედვით სჩანს, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ რიცხვში შედის 8.091 ბავშვი 12 წლის ასაკამდე, ასე რომ შრომის უნარ დაკარგულთა რეალური პროც. არ აღემატება 3,3 პროც.-ს.

კოლმეურნეობათა მფლობელობაში მყოფ მიწების საერთო ფართობი, მიწადმოწყობის უკანასკნელ ცნობების მიხედვით, უდრის სულ 17,683 ნახევ. ჰექტარს — რაც დაყოფილია—1025 ნაკვეთად — თითო ნაკვეთის ფართობი საშუალოდ უდრის — 17,2 ჰექტარს. მიწების მთლიან ფართობებიდან სახნავი შეადგენს—12,470 ჰექტარს, ვენახი—712½ ჰექტარს, ბაღ ბოსტანი — 169 ჰექტ. საძოვრები და სხვა მიწები—3.864 ჰექტარს.

მანქანა - იარაღების მხრივ კოლექტივები არ არიან უზრუნველყოფილნი. ასე მაგალითად,—145 კოლექტივს აქვს სულ **55 ტრაქტორი** და 56 ტრაქტორის გუთანი, ხოლო დანარჩენ მექანიკურ ინვენტარს შეადგენს — სათესები, სამკალები, სალეწები, — სულ 153. ცოცხალ გამწევ ძალით მამოძრავებელი ინვენტარი (გუთანი, მათოხი, ფარცხი, სამკელი, ტრიერი, სათესი, ურემი და სხვ.) უდრის—2.166.

კოლექტივებს აქვთ თავისი საკუთარი წარმოებები — საწრტი ქარხნები, წისქვილები, ზეთის სახდელი ქარხნები და სხვა, რომელთა საერთო რიცხვი უდრის **26-ს, ხოლო მუშა** და პროდუქტიულ საქონლის რიცხვი,—52.647, აქედან მარტო მუშა საქონელი — 4.064 სული.

დამტკიცებულ გეგმების მიხედვით შემოდგომის და გაზაფხულის თესვის ფართობი მემინდვრეობის დარგში უნდა უდრიდეს 12.120 ჰექტარს. ხოლო 1930 წლის განმავლობაში განზრახულია 128 ჰექტ. ახალი ვენახების გაშენება.

კოლმეურნეობათა საერთო პროდუქცია გეგმის მიხედვით იძლევა შემდეგ სურათს:

ხორბლეული (პური, სიმინდი, ქერი და სხვა მარცვლეული) — 703.650 ფუთი;

ტეხნიკური კულტურები (თამბაქო, ბამბა, სოია, მზესუმზირა) — 42.768 ფუთი;

ბოსტანი — (კარტოფილი, ლობიო და სხვა) —169.729 ფ.;

ხილი (ვაშლი, მსხალი, თხილი და სხვ. 772 ფ.;

ღვინო — 158.513 ვედრო;

მესაქონლეობა (რძის ნაწარმი, ხორცი, მატყლი, ყველი და სხვა) — 9.762 ფუთი;

და სხვა პროდუქტები, რომელთა საერთო ღირებულება მაგარ ფასების საშუალო გამოანგარიშების მიხედვით შეადგენს დაახლოებით 4.000.000 მანეთამდე. ე. ი. თითო კოლმეურნეობის პროდუქციის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 25-27 ათას მანეთს, რაც შეადგენს თითო მჭამელზე [illegible] — 150-160 მანეთს.

გეგმებით დასახული კონტრაქტაცია კოლექტივების მიერ მთლიანად შესრულებულია, რასაც ხელს უწყობდა ერთის მხრივ კრედიტების დროზე განაწილება კოლმეურნეობათა შორის, ხოლო მეორე მხრივ, — ამ საქმის ორგანიზაციული მხარის უკეთესად დაყენება, ვიდრე წარსულ წლებში.

ამგვარად საკოლმეურნეო მოძრაობა კახეთის ოლქში გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ გამაგრება - განმტკიცების გზაზეა დამდგარი.

შ. ტ.

ჩაის კრეფას საფრთხე მოელის

(ჩაქვი)

წელს ჩაის მოსავლიანობა ჩვეულებრივზე დიდია. ჩაის პირველი კრეფა დაიწყო 3 აპრილს. გეგმით პირველ კრეფაზე უნდა შეგროვდეს 280.000 კილოგრამი ჩაი; ცამეტი მაისისთვის კი შეგროვილია მხოლოდ 98.700 კილოგრამი. ჩაის შეგროვების გეგმა საფრთხეშია.

მუშახელის — უმთავრესად კვალიფიციური მკრეფავების სიმცირის გამო ვერ უზრუნველყოფენ გეგმის შესრულებას.

მიღებულია ზომები მახლობელ რაიონებიდან კვალიფიციური მკრეფავების მობილიზაციისათვის. ცუდათ არის დაყენებული მუშების პირველი მოთხოვნილების საგნებით მომარაგება — [illegible] კვების საკითხი.

შექმნილია ნებაყოფლობით მკრეფავთა რაზმი მუშა - მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრებისაგან, რომლებიც მთლიანად ჩაბმულნი არიან ინდივიდუალურ შეჯიბრში.

ნიჟარაძე

თესვა კახეთში

გურჯაანი, 20 მაისი. გეგმით,მიმდინარე გაზაფხულზე კახეთის ოლქში სხვადასხვა კულტურით უნდა დათესილიყო სულ 48.653 ჰექტარი. 10 მაისისათვის არსებული ცნობებით, დაითესა სულ 34.194 ჰექტარი. ცალკე კულტურების მიხედვით, პურის თესვის გეგმა შესრულებულ იქნა 104,8 პროც. (დაითესა 3.282 ჰექტარი; ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 3.137 ჰექტარისა). ქერი—109 პროც., სიმინდი —67 პროც. (20.880 ჰექტარი, ნაცვლად 31.000 ჰექტარისა), ბამბა—71 პროც. (1.068 ჰექტარი, ნაცვლად 1.500 ჰექტარისა) და თამბაქო 18 პროც. (420 ჰექტარი, ნაცვლად 2.300 ჰექტარისა). (ადს).

7 საათის სამუშაო დღის შედეგები

1927 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასმა ბრწყინვალედ იდღესასწაულა დიდი ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავი.

საკავშირო კომუნისტურ პარტიამ, რომელიც ითვალისწინებდა სოციალისტური მშენებლობის უდიდეს მიღწევებს განვლილი 10 წლის მანძილზე, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე დაავალა საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—გამოსცეს 7 საათის სამუშაო დღის კანონი. და აი საკავშირო ცაკმა გამოსცა მანიფესტი საბჭოთა კავშირის საწარმოების 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის შესახებ (რასაკვირველია, მათ გარდა, რომლებისთვისაც მავნებლობის გამო უფრო ნაკლები სამუშაო დროა დაწესებული). ცხადია, ამ მანიფესტის გამოცემამ და ჩვენს მრეწველობაში 7 საათის სამუშაოს შემოღებამ, კაპიტალისტურ ქვეყნებში მოსალოდნელი შეშფოთება გამოიწვია. ბურჟუაზია ავრცელებდა ათასგვარ ჭორებს საბჭოთა კავშირში 7 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი კი ენერგიულად შეუდგა ამ ახალ და დიდმნიშვნელოვან ღონისძიების გატარებას ცხოვრებაში.

ბურჟუაზიას არ ჩამორჩნენ ტროცკისტები, რომელნიც ყოველნაირად ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ შვიდი საათის სამუშაო დღისათვის. ცხოვრებამ აქაც გააბათილა ტროცკისტების კონტრრევოლიუციონური წინასწარმეტყველებანი.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი და მისი პარტია — 7 საათის სამუშაო დღის გატარებაში ხედავს მუშათა კლასის კულტურულ და მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების ერთერთ მთავარ პირობას და შრომის ნაყოფიერების გადიდების მძლავრ საშუალებას. პარტიის მე-8 ყრილობაზე ამხ. ლენინი ამბობდა, რომ კომუნისტურმა პარტიამ შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებასთან ერთად თავის ამოცანად უნდა დაისახოს 6 საათის სამუშაო დღის დაწესება, ისე, რომ მან არ შეამციროს მუშის ხელფასი. ლენინის ეს ანდერძი მტკიცედ იქნება შესრულებული. 7 საათის სამუშაო დღე დიდი ნაბიჯია ამ მიმართულებით.

საკავშირო ცაკის ზემოხსენებულ მანიფესტის გამოცემის შემდეგ განვლილ ერთი წლის მუშაობამ დაგვანახა, რომ პარტიის დავალება დიდი ნაყოფიერებით იქნა ჩატარებული. კერძოდ, საქართველოშიაც ჩატარებულმა მუშაობამ მეტად დადებითი შედეგი გამოიღო.

მაგრამ დადებით მუშაობასთან ერთად ადგილი ჰქონდა შეცდომებსაც. ზოგიერთმა საწარმომ 7 საათის სამუშაო დღის მანიფესტი სწორად ვერ გაიგო. ისინი მანიფესტის გამოქვეყნებისთანავე ერთი ხელის დაკვრით გადავიდნენ 7 საათის დღეზე. განსაკუთრებით საგულისხმო ისაა, რომ ასეთი მოუთმენლობა გამოიჩინეს ეკონომიურად ჩამორჩენილ საწარმოებმაც.

იმ საწარმოთა შორის, რომელთაც დაამახინჯეს ცაკის დადგენილება 7 საათის სამუშაო დღის შესახებ, აღსანიშნავია თბილისის ტრამვაი. აქ დირექციამ ქარხკომთან შეთანხმებით 7 საათის სამუშაო დღე შემოიღო ყოველგვარ წინასწარი მუშაობის ჩაუტარებლად; ასეთი შეცდომები დაუყოვნებლივ იქნა გამოსწორებული ზემდგომ ორგანიზაციების მიერ.

7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლამ არას შემთხვევაში არ უნდა გააუარესოს მუშის ეკონომიური მდგომარეობა, და შრომის პირობები, პირიქით, 7 საათის სამუშაოზე გადასვლით ჩვენ უნდა შევქმნათ საწარმოების უფრო მტკიცე ბაზა, უნდა ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება, გავადიდოთ რეალური ხელფასი და გავაუმჯობესოთ მუშის კულტურული და მატერიალური ყოფა - ცხოვრება.

როგორია კონკრეტულად საქ. მრეწველობის მიღწევები 7 საათის დღეზე გადასვლის დარგში? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა შემდეგი ცნობები:

1928-29 და 29-30 წლებში 7 საათის დღეზე გადავიდნენ:

პოლიგრაფიულ ტრესტის ლიტოგრაფია	127 კაცით
თუჯ. - სასხმელი ქარხანა	37 „
ბარიტის წისქვილი	62 „
თელავის აბრეშუმის საქსოვი ქარხანა	276 „
პოლიგრაფტრესტის მეხუთე სტამბა	126 „
ქუთაისის აბრეშუმის სართავი ფაბრიკა	1160 „
ხონის აბრეშუმის ფაბრიკა	466 „
ქსანის აგურ - კრამიტის ქარხანა	175 „
თბილისის მაუდის ქარხანა	1150 „
ნავთსადენის ქარხანა ბათომში	85 „
კონიაკ-არყის ქარხანა	41 „
ცეკავშირის სტამბა — — —	28 „
კალინინის ქარხანა	96 „
ტყავის ქარხანა	134 „
მცხეთის სახერხი ქარხანა	475 „
ბორჯომის ნახშირმჟავის, მუშის, გაზის, პრობკის, მინერალური წყლების ქარხნები თავის საამქროებით.	800 „

გარდა ამისა ხუთწლიანი გეგმის ოთხწლედში შესრულების გამო 29-30 წლის განმავლობაში 7 საათის სამუშაოზე განზრახულია შემდეგი წარმოებების გადაყვანა:

თბილისის ტრამვაის	1718 კ.
თბილისის აღმასკომის წყალსადენის და აუზის	1137 „
სასტამბო ქვის სახელოსნოს	35 „
საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბის	24 „
საბჭოთა მამულების ღვინის საწყობის	85 „
საჭილაოს ხე-ტყის ქარხნის	120 „
სამტრედიის აბრეშუმის ქარხნის	503 „
ოზურგეთის აბრეშუმის ქარხნის	860 „
„მკერავი"-ს ქარხანა № 2-ის	305 „
ბათომის ბიდონის ქარხნის	24 „
ბათომის თუთიის ქარხნის	32 „

გარდა აღნიშნულისა მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს ჭიათურის შავი ქვის იმ მუშების გადასაყვანად 7 საათის სამუშაოზე, რომლებიც მადნებს ზედა ფენებზე მუშაობენ და რომელთა სამუშაო დღე უდრის 8 საათს. ასეთივე მუშაობა სწარმოებს ბათომის ნავთ-სინდიკატის — 1450 კ., ავტო-ტრანსპორტის —840 კ. და ამხ. სტალინის ავტო - სახელოსნოების 265 კ. 7 საათის სამუშაოზე გადასაყვანად. ამასთანავე ახლო მომავალში 7 საათის დღეზე გადადის „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა და „მკერავი"-ს პირველი ქარხანა.

ამრიგად, 1928—29 და 1929—30 წლის განმავლობაში 7 საათიან სამუშაოზე გადაყვანილ ცენზიან საწარმოთა რიცხვი შეადგენს 29, რომლების მუშათა რაოდენობა 5105 კაცს უდრის. ამავე წელში აუცილებლად გადასასვლელია 14 საწარმო, სადაც მუშათა რიცხვი 4479 აღწევს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გეგმის მიხედვით 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილ უნდა ყოფილიყო ცენზიან საწარმოებში ჩაბმულ მუშების 18 პროცენტი, ფაქტიურად კი დღეის რიცხვისათვის გადაყვანილია 38,4 პროც.

მსხვილ საწარმოო ერთეულების გადაყვანა 7 საათის დღეზე მოხდება პირველი ორი წლის განმავლობაში, რაც ჩვენს სინამდვილეში უაღრეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

რა ეფექტი მოგვცა ამ მიმართულებით ჩატარებულმა მუშაობამ, როგორი მდგომარეობაა იმ საწარმოებში, სადაც 7 საათიანი სამუშაო დღეა შემოღებული? წინასწარი ცნობები მოწმობენ, რომ 7 საათიან სამუშაოზე გადასულ საწარმოებში შრომის ნაყოფიერება და დისციპლინა განმტკიცდა, შემცირებულია უბედურ შემთხვევათა და ნაცდურ დღეების რიცხვი, პროდუქციის გამომუშავებამ იმატა და სხვ. მაგალითად, თელავის აბრეშუმის ქარხანაში 7 საათის სამუშაოზე გადასვლამდე ერთი კაცი იძლეოდა 13 მან. 41 კაპ. ღირებულების პროდუქციას, ხოლო გადასვლის შემდეგ ერთი კაცი იძლევა 15 მან 14 კ. პროდუქციას, გამომუშავების რაოდენობა — გადასვლამდე უდრიდა 604 კ., ხოლო გადასვლის შემდეგ — 743 კ. დღიური ხელფასი გადასვლამდე უდრიდა 1 მან. 72 კაპ., გადასვლის შემდეგ — 1 მან. 82 კაპ. პოლიგრაფტრესტის მეხუთე სტამბაში გამომუშავებული პროდუქცია 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლამდე უდრიდა 8 მან. 60 კაპ., გადასვლის შემდეგ — 9 მან. 60 კაპ., უბედური შემთხვევა გადასვლამდე იყო 2 ან 3, გადასვლის შემდეგ უბედურ შემთხვევას ადგილი არ ქონია.

აქ მოყვანილი რამოდენიმე ფაქტიც მოწმობს, რომ 7 საათიან სამუშაო დღეზე გადასვლით, განმტკიცდა შრომის დისციპლინა, გაიზარდა შრომის ინტენსივობა, ამაღლდა მუშის მატერიალური მდგომარეობა. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ საწარმოების 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლას დაუკავშირდა ახალი ამოცანა.

7 საათის სამუშაოზე გადამყვან კომისიამ, რომელიც მთავრობასთან არსებობს, ამა წლის 20 თებერვალს გამოსცა დამატებითი დადგენილება. დადგენილების თანახმად მიზანშეუწონლად არის ცნობილი იმ საწარმოთა გადაყვანა 7 საათიან დღეზე, რომელთაც სოციალისტურ შეჯიბრების წესით საფინანსო - სამრეწველო გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.

მაშასადამე, ახალი კანონი შესაძლებლობას გვაძლევს 7 საათის დღეზე გადავიყვანოთ ის საწარმოები, რომელნიც არ მოხვდნენ გეგმაში.

ტრესტებმა თუ ქარხნებმა გადაუდებელ ამოცანად უნდა დაისახონ იმ საწარმოთა 7 საათის სამუშაოზე გადაყვანისათვის მოსამზადებელ მუშაობის დაწყება, რომელნიც შეეფარდებიან მთავრობის კომისიის ახალ კანონს. რასაკვირველია, ამ მუშაობაში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფესიონალურმა და შრომის ორგანოებმა.

შვიდი საათის სამუშაო დღეს წინ უნდა უძღოდეს საქარხნო მოწყობილების გადაკეთება — გაუმჯობესება და პირველ რიგში შრომის მოწყობა, ნაყოფიერების გაზრდა და სხვ.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი მშენებლობის ცამეტი წლის გამოცდილება და კომუნისტური პარტიის სწორი ხელმძღვანელობა იმის მტკიცე გარანტიას წარმოადგენს, რომ ეს ახალი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა წარმატებით იქნება გადაწყვეტილი ჩვენი მრეწველობისათვის.

ვ. მზარეულაშვილი.

საქ. კომპარტიის (ბ) მე-VII ყრილობისათვის

ლენინის რაიონის მე-12 პარტიული კონფერენცია

მეხუთე სხდომა

ამხ. დ. ფანცულაიას მოხსენების დასასრული

კონფერენციის მეხუთე სხდომაზე რაიკომის საანგარიშო მოხსენების დამთავრება ამხ. დ. ფანცულაიას ავადმყოფობის გამო მოუხდა ამხ. ო. წითლიძეს.

საბჭოთა აპარატის საქმიანობა

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდი,—ამბობს ამხ. წითლიძე, — საბჭოთა აპარატის წინაშე აყენებს ამოცანას აპარატის მთელი მუშაობის გარდაქმნის შესახებ. საბჭოთა აპარატი უნდა ემსახურებოდეს სოციალისტური მშენებლობის და მშრომელთა ფართო მასების ინტერესებს. მიუხედავად მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა, საბჭოთა აპარატის მუშაობას ჯერ კიდევ საგრძნობი დეფექტები ახასიათებს. ბიუროკრატიზმი, საქმის გაჭიანურება და ნათლიმამობა იშვიათი მოვლენა არ არის ჩვენს აპარატში. წმენდამ ბევრი მავნე და გადაგვარებული ელემენტი მოაშორა საბჭოთა აპარატს, მაგრამ აპარატის სრული და საბოლოო გაჯანსაღებისათვის საჭიროა მისი გამუშერება, აპარატში მუშათა ახალი კადრების ჩაბმა.

მუშათა დაწინაურება

მუშათა დაწინაურების საქმეში ლენინის რაიკომს საანგარიშო პერიოდში თვალსაჩინო მიღწევები აქვს. წინა კონფერენციის დროს ჩვენ გვყავდა 33 დაწინაურებული მუშა, ამჟამად გვყავს 179 დაწინაურებული, რომლებიც იკავებენ ხელმძღვანელ სამუშაოებზე სამეურნეო ორგანიზაციებში და საბჭოთა დაწესებულებებში. დაწინაურებულებს შორის დიდი უმრავლესობა კომპარტიის წევრებია, კომკავშირელები შეადგენენ დაწინაურებულთა 9,4 პროც.-ს. მიუხედავად მიღწევებისა, დაწინაურების საქმეში საგრძნობი ნაკლიც გვაქვს. უმთავრესი ამ ნაკლთაგანი ის არის, რომ მცირე რაოდენობით არის დაწინაურებული უპარტიო მუშები. უმრავლეს შემთხვევაში დაწინაურების საქმეში არ იცავენ იმ წესებს, რომელიც დირექტივით არის გათვალისწინებული. დასაწინაურებელთა კანდიდატურებს არ არჩევენ მუშათა საერთო კრებებზე და პროფკავშირები დაწინაურების საქმეში ვერ იჩენენ საკმაო აქტივობას. სუსტია კავშირი დაწინაურებულებსა და მასებს შორის. სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები ცუდათ ეპყრობიან დაწინაურებულებს და არ უქმნიან მათ მუშაობის სათანადო პირობებს. არის შემთხვევა დაწინაურებულთა დევნისაც, მაგალითად, „ზაგლოპკომ"-ში დაწინაურებული მუშის ამხ. **უზნაძის** ისტორია და სხვ. ჩვენი მორიგი ამოცანაა ყველა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და მუშათა დაწინაურების საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

კადრების მომზადება

ჩვენს რაიონში გვაქვს საქ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, რომელმაც ათასობით უნდა მოამზადოს საბჭოთა წითელი სპეციალისტები. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი პრაქტიკულად შეუდგა კადრების მომზადების საქმეში პარტიის დირექტივის შესრულებას. ინსტიტუტში თანდათანობით იზრდება მუშათა რიცხვი. გასული წლის ოქტომბერში, ინსტიტუტში მიღებულ სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან მუშები შეადგენდნენ 55,6 პროცენტს, იანვარში — 87 პროც.-ს, ხოლო თებერვალში 84 პროც. გასულ წელში პოლიტეხნიკურმა ინსტიტუტმა გამოუშვა 170 ინჟინერი, მიმდინარე წელში გათვალისწინებულია 329 ინჟ. გამოშვება, ხოლო ხუთწლედის ბოლოსათვის 1.694 ინჟინერის. სტუდენტთა 32,5 პროცენტი უზრუნველყოფილია სტიპენდიით, 200 კაცამდე აყვანილია კონტრაქტაციაზე სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციების მიერ. რაიონში გვაქვს აგრეთვე ინდუსტრიალური ტეხნიკუმი 700 მსმენელით. აქაც 63,4 პროც. მუშები შეადგენენ. კადრების მომზადების ერთ-ერთ შემაფერხებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ლექტორთა სიმცირე.

მასიური მუშაობა

რაიონულ კომიტეტს საგრძნობი მიღწევები აქვს მასიურ მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. რკინის გზის კავშირებიდან სოც. შეჯიბრებაში ჩაბმულია მუშების 71 პროცენტი, დამკვრელთა რიგებში 76 პროც., მეღვინეობის კავშირიდან სოც.-შეჯიბრებაში — 60 პროცენტი, დამკვრელობაში 82 პროც. ფეიქართა კავშირიდან შეჯიბრებაში 100 პროცენტია, ხოლო დამკვრელობაში კი 2 პროც. სულ 24 კაცი. გაუმჯობესდა სოც.-შეჯიბრების შტაბის მუშაობა, გაჯანსაღდა საწარმოო კომისიების და თათბირების საქმიანობა, მუშათა მასები აქტიურად არიან ჩაბმული საბჭოთა აპარატის გაჯანსაღების და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. რაიკომში შემოვიდა 1600 მუშის განცხადება თავიანთი მიწების კოლექტივებზე გადაცემის შესახებ. ეს დიდი მიღწევაა, მაგრამ პარტუჯრედებს და პროფორგანიზაციებს მართებს კიდევ უფრო მეტი უნარის გამოჩენა, მეტი აქტივობა მასიური მუშაობის გასაძლიერებლად.

რაიონის პარტორგანიზაციის მდგომარეობა

წინა კონფერენციის დროს რაიონში ითვლებოდა პარტიის 4436 წევრი და კანდიდატი, ამჟამად არის 5.801 კაცი. წელიწად ნახევარში პარტია გაიზარდა 30,8 პროცენტით. გასულ საანგარიშო პერიოდთან შედარებით პარტიის რიგების ზრდა 19 პროცენტითაა მეტი. პარტიის წევრ-კანდიდატთა შორის, 85,9 პროც. მუშები შეადგენენ, აქედან 71,8 პროც. დაზგის მუშაა. პარტწმენდის დროს პარტიიდან გარიცხა წევრ-კანდიდატთა 10,5 პროც. გარიცხულთა შორის 80,7 პროც. მუშებია, რაც ერთი შეხედვით არა ნორმალურად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ 450 გამორიცხული მუშის ნაცვლად, ჩვენს პარტიაში მივიღეთ რამოდენიმე ათასი მუშა. პარტგანათლების ქსელში ჩაბმულია პარტიის წევრ-კანდიდატთა 71 პროც.

რაც შეეხება კომკავშირის ორგანიზაციაზე ხელმძღვანელობას, ხელმძღვანელობა კვლავ სუსტია. ამ დარგში ჩვენ ისევ ძველებურად ვმუშაობთ და გაუმჯობესებას ადგილი არა აქვს. კომკავშირზე ხელმძღვანელობის საქმე რაიკომის სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს,

თვითკრიტიკა

თვითკრიტიკის გასაშლელად რაიკომმა თავის დროზე ჩაატარა ფართე ახსნა-განმარტებითი კამპანია. მიუხედავად ამისა, ამ ერთი წლის წინედ ჩვენ გვქონდა თვითკრიტიკის ჩახშობის მთელი რიგი მაგალითები, ამ დარგში პარტიის ხაზის გაყალბება, მუშკორთა დევნა, სამუშაოდან დათხოვნა, კედლის გაზეთების ჩამოხსნა. ასეთი არა ნორმალური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად რაიკომმა გადასდგა პრაქტიკული ნაბიჯი და უნდა ითქვას, რომ თვითკრიტიკის საქმე ამჟამად წინანდელთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია.

ორ ფრონტზე ბრძოლა

ორ ფრონტზე ბრძოლის საქმეში ჩვენმა ორგანიზაციამ დიდი გამარჯვება მოიპოვა, ჩვენს ორგანიზაციაში იყვნენ ტროცკისტები, თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ თითო-ოროლა მუშა მაინც თანაუგრძნობდა ტროცკიზმს. რაიკომმა მიიღო გადამჭრელი ზომები და მიაღწია ტროცკიზმის სრულ განადგურებას. თქვენ იცით, რომ უკანასკნელ ხანებში თავი იჩინა მემარჯვენე გადახრამ. ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ ერთსულოვნად დაგმო მემარჯვენე გადახრა, რაიონის პარტორგანიზაციამ სრული სოლიდარობა გამოუცხადა პარტიის გენერალურ ხაზს და ამჟამად მემარჯვენე გადახრა უკვე დაძლეულია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მემარჯვენე განწყობილება სრულიად იყოს აღმოფხვრილი პარტიის წევრებს, ან უპარტიო მუშებს შორის. იყო შემთხვევა, რომ ზოგიერთი მუშა წინააღმდეგი იყო კულაკებთან ბრძოლის, სოფლის კოლექტივიზაციის, უარყოფდა სოც-შეჯიბრებას და სხვ. მაგ. მეღვინეობის კავშირის ცენტრალურ გამგეობის წევრმა აშკარად გაილაშქრა სოც.-შეჯიბრების წინააღმდეგ. ასეთი მემარჯვენე განწყობილების წინააღმდეგ კვლავ გადამჭრელი ბრძოლაა საჭირო და ჩვენმა პარტორგანიზაციამ მომავალშიაც მთელი სისასტიკით უნდა იბრძოლოს როგორც „მემარცხენე" — ტროცკიზმის ნაშთების, ისე მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, შეამჭიდროვოს თავისი რიგები და წარმატებით შეასრულოს ის ამოცანები, რომლებიც პარტიის წინაშე სდგას გადასაჭრელად.

ამხ. პ. ტატანაშვილის თანამოხსენება

კომკავშირის რაიკომის მუშაობის შესახებ თანამოხსენება გააკეთა კომკავშირის რაიკომის მდივანმა ამხ. **პ. ტატანაშვილმა.** მომხსენებლის განცხადებით ლენრაიონის კომკავშირის ორგანიზაციაში მიმდინარე წლის პირველ აპრილისათვის ირიცხებოდა 5051 წევრი, რომელთა შორის 75,6 პროც. მუშაა. უკანასკნელ ხანებში (გასული წლის დეკემბრიდან მიმდინარე წლის მარტამდე) მუშათა რიცხვი 1,1 პროცენტით შემცირდა, რაც უნდა მიეწეროს კომკავშირის უჯრედების სუსტ მუშაობას კომკავშირში მუშა-ახალგაზრდობის ჩასაბმელად. რაიკომის პლენუმის შემადგენლობაში მუშები შეადგენენ 92,4 პროცენტს, ბიუროების შემადგენლობაში 100 პროცენტს. კომკავშირს საგრძნობი მიღწევები აქვს მიმდინარე წლის სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულების საქმეში. ახალგაზრდობა ფართოდ არის ჩაბმული სოც. - შეჯიბრებაში, დამკვრელ ბრიგადებში, მაგრამ ეს მიღწევა არ არის საკმაო და ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს პარტ. ხელმძღვანელობის სისუსტე. ამ გარემოებაზე თავის დროზე მიუთითა რაიონულმა კომიტეტმა, მაგრამ გარდატეხა კომკავშირზე პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საქმეში ჯერ კიდევ არ მომხდარა.

სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ კონფერენციამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის ამხ. **ხუბოვის** მოხსენება.

უპარტიო მუშების მისალმება

კონფერენციის მე-5 სხდომას იმ უპარტიო მუშების სახელით, რომლებსაც კოლექტიური განცხადებები აქვთ შეტანილი კომპარტიაში მიღების შესახებ, მიესალმენ უპარტიო მუშები: თბილისის დეპოდან ამხ. **სპექტორი, 26—**კომუნარების ქარხნიდან ამხ. **ზალესკი** და საქონლის სადგურიდან ამხ. **გიორგაძე.** კონფერენციის სახელით საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **გოცირიძემ.**

მეექვსე სხდომა

კამათი ამხ. დ. ფანცულაიას მოხსენების გარშემო

რაიკომის საანგარიშო მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობის მისაღებათ ჩაეწერა 80-მდე ამხანაგი. გუშინ, კონფერენციის დილის სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. **სიტნიკოვმა, ხარატაშვილმა, ახაბარდიამ, საყვარელიძემ, ანანოვმა, ალანიამ, საველიევმა, ორჯონიკიძემ, სელიხანოვმა, ბაბუციძემ, ჯანიაშვილმა, რუხაძემ, სამოხვალოვმა, ჯავშვერდაშვილმა, ფუტკარაძემ, მეშველიანმა, ბარანოვმა, სიობილაძემ, მაიელიანმა, ზუბკოვმა, არეშიძემ, ხოდიკიანმა და სხვ..**

ფართე გზა თვითკრიტიკას

კამათში გამოსული ამხანაგები უმთავრესად ეხებოდნენ თვითკრიტიკის სათანადოთ გაუშლელობას, როგორც ამის შესახებ პარტიის დირექტივებშია მითითებული. თბილისის დეპოში თვითკრიტიკა ჩახშულია. ადგილობრივ საქარხნო გაზეთში მამხილებელ წერილებს არ ათავსებენ. ასეთი შემთხვევა უკანასკნელ ხანებში ექვსჯერ იყო. თვითკრიტიკა რაიონის სხვა წარმოება - დაწესებულებებში არის დახშული. ამის წინააღმდეგ რაიონულმა კომიტეტმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს.

მეტი ყურადღება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას

სოციალისტური მრეწველობის განვითარებაში უდიდესი მიღწევები გვაქვს, გიგანტური ნაბიჯით სწარმოებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. მაგრამ იგივე არ ითქმის სოფლის მეურნეობაზე. უკანასკნელ წლებში სასოფლო მეურნეობის განვითარება საგრძნობლად ჩამორჩა ინდუსტრიალიზაციის ტემპს და სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი, რომ ჩვენ დღეს სასოფლო მეურნეობის პროდუქტების სიმცირეს განვიცდით. მიმდინარე სამეურნეო წელი სასოფლო მეურნეობის დარგში ერთგვარ გარდატეხის წელს წარმოადგენს, პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით საფუძველი ეყრება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, იქმნება საბჭოთა მეურნეობები და ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები სასოფლო-მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის. მუშათა კლასის მოვალეობაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ამ დაწყებულ მუშაობას და ჩვენ მოკლე დროში მოწმენი გავხდებით სოფლის მეურნეობის აყვავებისა, მისი სოციალისტურად გარდაქმნის.

მუშათა მომარაგება უნდა გაუმჯობესდეს

კამათის ერთ-ერთ მთავარ საგანს შეადგენს მუშათა მომარაგების და კოოპერაციის მუშაობის საკითხი. ორატორების უმრავლესობა უსაყვედურებს სამომხმარებლო კოოპერაციას უგეგმო მუშაობას, საქონლის არა თანაბრად განაწილებას, მუშათა მომარაგების მოუწყობლობას და სხვა.

კოოპერაციის საქმიანობაზე აქ ბევრი საყვედური გვესმის,—ამბობს ამხ. **ალანია,**—მაგრამ ეს ამხ.-ები მხედველობიდან უშვებენ იმ გარემოებას, რომ კოოპერაციაში საერთოთ სანოვაგე მცირე რაოდენობით მოიპოვება. ამის უმთავრესი მიზეზი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა, მისი ნაკლები საქონლიანობაა. მაგრამ არის მეორე გარემოებაც, ესაა საქონლის არა სწორად განაწილება მომხმარებელთა შორის. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევისწავლეთ წესიერი ვაჭრობა. და ამ საკითხს დღემდე ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ.

ნუ შევანელებთ ყურადღებას თავდაცვაზე

თავდაცვის საკითხი ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს, ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი საკითხია სამხედრო სკოლების შევსება მუშათა წრიდან გამოსულ ახალგაზრდობით. ჩვენ სამხედრო სკოლებში, რომლებიც წითელი არმიისათვის ამზადებენ კადრებს, 80 პროცენტს მუშები უნდა შეადგენდნენ. ისინი უნდა გავგზავნოთ ფაბრიკა-ქარხნებიდან, მაგრამ პარტუჯრედები ადგილებზე ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. ისინი არ აწარმოებენ სათანადო აგიტაციას სამხედრო სკოლებში მუშათა გაგზავნისათვის. გარდა ამისა უკანასკნელ ხანებში შესუსტდა კავშირი მუშებსა და წითელ არმიას შორის, რაიც ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

შევქმნათ სათანადო პირობები კადრების მოსამზადებლად

მომავალი კადრები მუშათა წრიდან უნდა აღიზარდოს. როგორი მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ? რაიკომი ამ საკითხს დიდ ყურადღებას აქცევს, მაგრამ ადგილობრივი ორგანიზაციები და სამეურნეო მუშაკები კადრების მომზადების საქმეს ძალზე ნაკლებ ანგარიშს უწევენ. მუშათა მასებში სწავლისადმი დიდი მისწრაფებაა, ეს მისწრაფება ჩვენ ყოველ მხრივ უნდა წავახალისოთ, მაგრამ ამის ნაცვლად წინააღმდეგს ვხედავთ. არსებობს საკავშირო და რესპუბლიკანური მთავრობების სათანადო დეკრეტი სტუდენტებისა და მუშფაკელებისათვის 6 საათის სამუშაო დღის დაწესების შესახებ. ამ დეკრეტის განხორციელებას სამეურნეო მუშაკები აფერხებენ. სტუდენტები ძალზე დატვირთულნი არიან აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობით, რაც ხელს უშლის ნორმალურ მეცადინეობას. ყველა ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული და შეიქმნას სათანადო პირობები კადრების მოსამზადებლად.

საშვებულო კამპანიისათვის არაფერი კეთდება

ამჟამად იწყება შვებულებების პერიოდი, რამდენიმე ათასი მუშა გაემგზავრება სოფლად დასასვენებლად. ეს მუშები პროფორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ საკოლმეურნეო მუშაობის ორგანიზატორებად, ქალაქისა და სოფლის დასაკავშირებლად, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა, გასულ წელს ჩატარდა სათანადო კამპანია შვებულებებში მიმავალთა კოოპერირებისათვის, მუშებს დაურიგდათ სათანადო ლიტერატურა და სხვ. საჭიროა წელსაც მოგვარდეს ეს საკითხი და შვებულებაში მიმავალი მუშები ჯეროვნად გამოვიყენოთ.

მოვამზადოთ კვალიფიციური მუშა-ხელი

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ კადრებზე, მაღალი კვალიფიკაციის სპეცების მომზადებაზე და ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯებიც არის გადადგმული. მაგრამ ძალიან ცოტას ვაკეთებთ კვალიფიციური მუშა-ხელის მოსამზადებლად. მთელი რიგი წარმოებები კვალიფიციური მუშების ნაკლებობას განიცდიან, უმუშევართა შორის ასეთი ძალზე ცოტა მოიპოვება. სამაგიეროდ ბევრი გვყავს სათანადო კვალიფიკაციას მოკლებული მუშები და საჭიროა მათი მომზადება. ეს საკითხი უნდა დაისვას, როგორც პარტიული, ისე სამეურნეო და პროფორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

გავაუმჯობესოთ კომკავშირზე ხელმძღვანელობა

ორივე მოხსენებაში აღინიშნა კომკავშირზე ხელმძღვანელობის სისუსტე და ამის უმთავრესი მიზეზი ადგილობრივი პარტუჯრედების გულგრილობაში უნდა ვეძიოთ. ხშირად პარტუჯრედები კომკავშირის უჯრედებზე ხელმძღვანელებად ამაგრებენ ისეთ ამხანაგებს, რომლებიც სათანადოდ მომზადებული არ არიან. ასეთი ამხანაგები კომკავშირის ორგანიზაციაზე პარტიული გავლენის გაძლიერებას ხელს ვერ შეუწყობენ.

მავნებლობა არ არის აღმოფხვრილი

ჩვენს წარმოებებში მავნებლობის ფარული ფორმები ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი — ამბობს ამხ. მეშველიანი. მაგალითისათვის ავიღებ თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკას, ამ ფაბრიკას, რომლის აგება რვა მილიონი მანეთი დაჯდა, უნდა მოეცა წელიწადში 10 მილიონი მანეთის პროდუქცია, მაგრამ ირკვევა, რომ მანქანების ერთი ნაწილი არ არის გამოსადეგი ჩვენი პირობებისათვის. თვით ქარხნის მშენებლობაც უგეგმოდ სწარმოებდა. ააგეს მთავარი კორპუსი, დადგეს მანქანები, მაგრამ არავის უფიქრია დამხმარე შენობების საჭიროებაზე. განა ეს მავნებლობის ერთ-ერთი მაგალითი არ არის?

აღმასკომი ნაკლებ ყურადღებას აქცევს გარე-უბნებს

ჯერ კიდევ ვერ ექცევა სათანადო ყურადღება ქალაქის განაპირა უბნებს. თითქმის სრულებით უყურადღებოდაა მიტოვებული დიდუბის რაიონი. მაუდის ფაბრიკაში მიმავალი გზა იმდენად ცუდია, რომ ავდარში ტრამვაის მოძრაობაც კი ძალზე ფერხდება. იგივე უნდა ითქვას მუშათა საბინაო მშენებლობაზე. დაპირებები საკმაოა აღმასკომის მიერ, მაგრამ საქმე ჯერ მეტად ცოტა სჩანს.

საწარმოო გეგმას თვითეული საამქრო უნდა იცნობდეს

საწარმოო - საფინანსო გეგმის შესასრულებლად დიდი მნიშვნელობა აქვს გეგმის მუშებისათვის ფართოდ გაცნობას. ამის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ სამეურნეო ორგანოებმა და საწარმოების ხელმძღვანელებმა ვერ შესძლეს პარტიისა და ხელისუფლების ამ საყურადღებო დირექტივის ცხოვრებაში გატარება. საწარმოო გეგმის მუშებისათვის გაუცნობლობა სოც-შეჯიბრების და დამკვრელობის ერთ-ერთი შემაფერხებელია. აუცილებელია ამიტომ საწარმოო გეგმების თავის დროზე დამუშავება და მისი ფართოდ გაცნობა მუშათა მასებისათვის. საწარმოო გეგმების შედგენაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ თვით მუშათა მასებმა საწარმოო თათბირების საშუალებით.

განუწყვეტელმა საწარმოო კვირამ არ უნდა შეამციროს მუშების ხელფასი

არსებობს სათანადო დირექტივა, რომ განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლით არ უნდა შემცირდეს მუშების წინანდელი ხელფასი, მაგრამ ყველგან ეს ასე არ ტარდება. მაგალითისათვის ავიღოთ ტრამვაი, რომელიც თბილისში საკმაოდ დიდი წარმოებაა. ტრამვაი გადავიდა განუწყვეტელ ხუთდღიან კვირაზე და მუშა, რომელიც წინად საშუალოდ თვეში იღებდა 105-დან 115 მანეთამდე, მას დაუნიშნეს მტკიცე ხელფასი 95 მანეთი. ამან მუშებში უკმაყოფილება გამოიწვია.

დამოკიდებულება ძველსა და ახალ სპეციალისტებს შორის

ძველსა და ახალ სპეცებს შორის დამოკიდებულება ყველგან არ არის ნორმალური. ზოგიერთი ძველი სპეცები მტრულის თვალით უცქერიან წარმოებაში ახლად მისულ სპეცებს და არ ქმნიან პირობებს შეთანხმებულ მუშაობისათვის. ძველი სპეციალისტების ცალკე ელემენტები ვერ შეეგუებიან იმ აზრს, რომ ეს საჭიროა საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობისათვის. პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ სპეცებს შორის დამოკიდებულების მოგვარებაზე და შეუქმნან ახალ სპეცებს მუშაობის სათანადო პირობები.

ქალაქის რაიონის პარტკონფერენცია

კამათი ამხ. ლ. ლომიძის მოხსენების გარშემო

კონფერენციის მერვე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ქალაქის რაიკომის საანგარიშო მოხსენების ირგვლივ. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **სარუხანოვმა, მიცკევიჩმა, ლებანიძემ, მდივანმა, მელქაძემ, თხილავამ, გამრაშვილმა და ბახტაძემ.**

„პირით წარმოებისაკენ"

ამხ. ლ. ლომიძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ორატორები შეეხენ პარტიული მუშაობის ძველი ფორმების და მეთოდების უვარგისობას და აღნიშნავდენ, რომ ზოგიერთ პარტიულ უჯრედებს ჯერ კიდევ არ გადაუდგამთ პრაქტიკული ნაბიჯი პარტიული მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გარდაქმნისათვის. ქალაქის რაიონის ბევრი უჯრედები ჯერ კიდევ კანცელარიული წესით მუშაობენ. ამის [illegible] კომუჯრედები მოწყვეტილი არიან წარმოებას, არ იციან თუ როგორ სრულდება საწარმოო-საფინანსო გეგმა, შემცირდა თუ არა პროდუქციის თვითღირებულება, რამდენად იმატა შრომის ნაყოფიერებამ და სხვა. გარდა ამისა პარტიული უჯრედების მუშაობის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ერთიმანეთს არ უზიარებენ გამოცდილებებს; არ იციან თუ როგორ მუშაობს მეზობელ წარმოების თუ დაწესებულების კომუჯრედი, ეს ნაკლი უსათუოდ უნდა აღმოიფხვრას. სხვადასხვა წარმოების და დაწესებულებათა კომუჯრედებმა ურთიერთშორის მჭიდრო კავშირი უნდა დაიჭირონ. ეს კი ხელს შეუწყობს პარტიულ მუშაობის გაუმჯობესებას.

პარტ - განათლებისადმი ყურადღება უნდა აღმოიფხვრას

პარტგანათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა მასების პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. წელს ქალაქის რაიონში პარტ. განათლების ქსელი ფართოდ იყო გაშლილი. ჩამოყალიბებული იყო რამოდენიმე ერთიანი პოლიტსკოლა. მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრეები, საღამოს საბჭოთა პარტიული სკოლები და სხვ. იყო შემთხვევები, რომ პარტიის წევრები სტოვებდნენ პოლიტსკოლებს და წრეებს, პარტიის ზოგიერთი წევრები ვერ აფასებენ პოლიტსკოლების უდიდეს მნიშვნელობას; პოლიტსკოლებში სწავლების ნებაყოფლობა ისე გაიგეს, რომ თითქოს მათთვის სავალდებულო არ იყოს პოლიტსკოლებში მეცადინეობა.

მუშა დაწინაურებულებს უნდა დავეხმაროთ

მუშათა დაწინაურება საბჭოთა აპარატში ნელი ტემპით მიმდინარეობს. რაიონში არის ისეთი დაწესებულებები, სადაც არც ერთი დაწინაურებული მუშა არ მუშაობს. არის აქეთი შემთხვევები: წარმოებიდან მუშებს აწინაურებენ, დაწინაურებულ მუშების სიის ამტკიცებს საერთო კრება და სათანადო ორგანიზაციები, მაგრამ გადის დრო და მუშები ისევ წარმოებაში მუშაობენ—დაწინაურების მოლოდინში. მუშათა ასეთ „დაწინაურებას" სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოთ, რადგან ის სახელს უტეხს პარტიის ამ დირექტივას. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები არ ეხმარებიან დაწინაურებულ მუშებს. ამის მაგალითი გვაქვს ჩვენ თბილისის აღმასკომში, სადაც დაწინაურებულთათვის მუშაობის მეტად ცუდი პირობებია შექმნილი.

მივხედოთ ნაბეჭდ კედლის გაზეთებს

ნაბეჭდ კედლის გაზეთების გამოცემას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს; ნაბეჭდ კედლის გაზეთები ხელს უწყობენ საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებას; ისინი ამხელენ წარმოების ნაკლოვანებებს და იერიშები მიაქვთ ყოველგვარი უმსგავსოების წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ ნაბეჭდ კედლის გაზეთებზე პარტხელმძღვანელობა საგრძნობლად მოისუსტებს. პარტუჯრედები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კედლის გაზეთებს, რის გამო ხშირად კედლის გაზეთებში იბეჭდება ჩვენთვის იდეოლოგიურად მიუღებელი მასალაა. კომუჯრედების სუსტ ხელმძღვანელობით სარგებლობენ შოვინისტურად განწყობილი ელემენტები და ნაბეჭდ კედლის გაზეთებში საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ნაბეჭდ კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიაში გაპარული არიან მავნე ელემენტები, რომლებიც კედლის გაზეთებს პირადი სარგებლობისათვის იყენებენ. კომუჯრედებმა მეტი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ნაბეჭდ კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს.

—:—

ამავე სხდომაზე დამთავრდა კამათი რაიკომის საანგარიშო მოხსენების გარშემო. კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. **ლ. ლომიძე.** მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა კამათში გამოსულ ორატორების მიერ აღძრულ საკითხებს.

კონფერენციის უკანასკნელი სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე, [illegible] მუშათა კლუბში. კონფერენცია მიიღებს რეზოლიუციას რაიკომის საანგარიშო მოხსენების ირგვლივ და აირჩევს რაიკომის ახალ შემადგენლობას და დელეგატებს თბილისის ოლქის პარტკონფერენციისათვის.

პარტიული კონფერენციები

გორი

დამთავრდა გორის მე-11 საოლქო პარტკონფერენცია. საოლქო კომიტეტის ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნა 86 კაცი. საოლქო საკონტროლო კომისიაში არჩეულ იქნა 23 კაცი; სარევიზიო კომისიაში — 5 წევრი და ორი კანდიდატი. საქ. კომპარტიის (ბ) მე-7 ყრილობაზე დასასწრებლად კონფერენციამ აირჩია 32 ამხანაგი.

გორის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 15 წევრი და 4 კანდიდატი. ამხ. **შ. მათიკაშვილის** კახეთის ოლქში სამუშაოდ გადასვლის გამო, გორის ოლქის პ. მ. მდივნად არჩეულ იქნა ამხ. **გ. დევდარიანი;** საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ — ამხ. **ბერიაშვილი;** საორგანიზაციო - საინსტრუქციო განყოფილების გამგედ— ამხ. **ხ. აკოპოვი** და კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ — ამხ. **იობიძე.**

—:—

ახალციხე

ახალციხე, 18 მაისი. 17 მაისს გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) ახალციხის ორგანიზაციის მეათე პარტკონფერენცია. კონფერენციაზე მონაწილეობას იღებს 95 დელეგატი, აქედან 5 ქალია. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდა 10 კაცი. მიღწევებთან ერთად დელეგატებმა აღნიშნეს დეფექტებიც საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკაში და ახალციხის ორგანიზაციისათვის კადრების მომზადებაში (ადს).

კახეთი

გურჯაანი, 20 მაისი (საქ. კორ.) გუშინ, საღამოს 6 საათზე, გურჯაანის რკინის გზის მუშაკთა კლუბში გაიხსნა კახეთის ოლქის მესამე პარტკონფერენცია.

კონფერენციას ესწრებიან ამიერ - კავკ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **შ. ელიავა** და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის მდივანი ამხ. **სამსონ მამულია.**

კონფერენცია გახსნა საქ. კ. პ. (ბ) კახეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ბაქრაძემ.**

კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია 23 ამხანაგი. საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. **სტალინი, ორჯონიკიძე, მოლოტოვი, ვოროშილოვი, ტელმანი, მახარაძე, ლომინაძე, ცხაკაია, კახიანი, ლოლობერიძე და ელიავა.**

კონფერენციამ დღის წესრიგში დაამტკიცა შემდეგი საკითხები: საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კომიტეტის მოხსენება, კახეთის საოლქო კომიტეტის ანგარიში, კომკავშირის ორგანიზაციის თანამოხსენება, სარევიზიო კომისიის ანგარიში, საკონტროლო კომისიის მოხსენება პარტ. წმენდის შედეგებზე და არჩევნები.

ხელმძღვანელ ორგანოების არჩევის და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ კონფერენციას მიესალმენ კახეთის სახურავ ფიქალის წარმოების მუშათა წარმომადგენლები, რომლებმაც კონფერენციას უძღვნეს ფიქალით დახურული სახლის მოდელი.

მისალმების შემდეგ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის მუშაობაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. შ. ელიავა.

საქარ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის

მე-2 საოლქო (XI) კონფერენცია

გაიხსნება 22 მაისს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პრ. № 66)

თბილისის ქალაქის ორგანიზაციის დელეგატები მანდატებს მიიღებენ სარაიონო კომიტეტებში, იქვე გაიცემა სტუმართა ბილეთები.

ოლქიდან ჩამოსული დელეგატები მანდატებს მიიღებენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში 21 მაისიდან, დილის 10 საათიდან.

თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი სუხიშვილი.

საფ.-საქარხნო კომიტეტების გადარჩევა

ძირითადი პროფორგანოების გადარჩევა ჩავატაროთ ბოლშევიკურად, საფინანსო-სამრეწველო გეგმისათვის ბრძოლის ნიშნით

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების გადარჩევის ირგვლივ არ არის დარაზმული მუშათა ფართო მასები

ჩავაბათ მუშათა ფართო მასები ფაბქარხკომების გადარჩევაში

უკვე ორი კვირაა, რაც დაიწყო საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. ეს დრო სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ფაბქარხკომებს მობილიზაცია ექნათ მუშათა ფართო მასებისათვის პროფკავშირების მორიგ ამოცანების ირგვლივ და ფართოდ გაეშალათ პროლეტარული თვითკრიტიკა საკავშირო მუშაობაში.

მაგრამ ფაბქარხკომების უმრავლესობას არამც თუ არ ჩაუტარებია მასების მობილიზაცია პროფკავშირების მუშაობის გარდაქმნის ირგვლივ, არამედ არც კი შესდგომია სამზადისს მუშაობას. კავშირების ცენტრალურ გამგეობებს შედგენილი აქვთ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის გეგმა, ამ კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის ადგილებზე მიმაგრებული არიან პასუხისმგებელი ამხანაგებიც, მაგრამ სრულდება თუ არა ადგილებზე ეს გეგმა, აკეთებენ თუ არა ეს მიმაგრებული ამხანაგები რამეს, ამას კავშირების ცენტრალური გამგეობები კონტროლს არ უწევენ. ის ფაქტი, რომ ზოგიერთი პასუხისმგებელი ამხანაგი ჯერაც არ გამოცხადებულა მიმაგრებულ ადგილზე, მოწმობს იმას, რომ ზოგიერთი პროფკავშირები ფაბქარხკომების გადარჩევის კამპანიას არ სთვლიან დიდ პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიათ. ეს სხვათა შორის გამოირკვა და დადასტურდა პროფსაბჭოში ამ საკითხზე მოწვეულ თათბირზე.

ზოგიერთ პროფკავშირებმა თვითშემმოწმებელი ბრიგადები აირჩიეს საზოგადო კრებაზე წინასწარ შედგენილ სიის მიხედვით (საბჭოთა და სავაჭ. მუშაკ. კავშირი), ეს იმ დროს, როდესაც არსებობს პროფსაბჭოს მტკიცე დირექტივა აღნიშნულ ბრიგადების სრული ნებაყოფლობითი საფუძველზე გამოყოფის შესახებ. სურვილის მიხედვით შედგენილი ბრიგადები უფრო ფართოდ გაშლიდნენ თვითკრიტიკას, ვიდრე საზოგადო კრებაზე არჩეული ბრიგადები. სამწუხაროთ ამ გარემოებას ზოგიერთ კავშირებმა არ გაუწიეს ანგარიში.

ასეთივე უმოქმედობას იჩენენ აგრეთვე მუშათა კლუბებიც. თითქმის თბილისის არც ერთ მუშათა კლუბი ჯერ კიდევ არ შესდგომია ფაბქარხკომების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას: კლუბებში არ იმართება კითხვა-პასუხის საღამოები პროფკავშირების ამოცანების შესახებ, არ არის გამოკრული ცნობები ფაბკომის და ქარხკომის მუშაობის ნაკლისა და მიღწევის შესახებ, არ ტარდება საუბრები პროფკავშირის მუშაობის გარდაქმნაზე და საერთოდ არ არის დარაზმული მუშათა მასა პროფკავშირების ძირითად ამოცანების სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლის, დამკვრელობის გაფართოების, საფინანსო-სამრეწველო გეგმის შესრულების და მუშათა რეალურ ხელფასის გაზრდის ირგვლივ. აღნიშნული ნაკლოვანებანი ბადებს შიშს ფაბქარხკომების გადარჩევის კამპანიის ჩაშლისას. ამიტომ სანამ გვიან არ არის, უნდა მივიღოთ გადამწყვეტი ზომები იმისათვის, რომ ფართოდ გავშალოთ გადარჩევისათვის სამზადისი მუშაობა და უზრუნველვყოთ მუშათა ფართო მასების ჩაბმა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში.

პროფკავშირების ძირითად ორგანოების გადარჩევა უნდა ჩავატაროთ თვითკრიტიკის ფართო გაშლით. ჯამი უნდა გაუკეთოთ ფაბქარხკომების საქმიანობას და გამოვარკვიოთ ის, თუ რამდენად შეეფერებოდა მისი მუშაობა პროფკავშირების მორიგ ამოცანებს და რამდენად აკმაყოფილებდა იგი მრეწველობის მოთხოვნილებებს. კამპანიის პერიოდში გამორკვეული უნდა იქნეს როგორ ასრულებდა პროფორგანო ლოზუნგს: „პროფკავშირებო, პირი წარმოებისაკენ". როგორ სამსახურს უწევდა სოციალისტურ შეჯიბრებას და, რაც მთავარია, როგორ განახორციელა მან პარტიის დირექტივა ერთმმართველობის შესახებ.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმას, თუ როგორ ხელმძღვანელობას უწევდნენ ფაბქარხკომებს კავშირების ცენტრალური გამგეობები. იცნობენ თუ არა ც. გამგეობები წარმოების პირობებს და შეეფერებოდა თუ არა მათ მიერ მოცემული ცირკულიარები წარმოების ხასიათს. მუშათა შემმოწმებელ ბრიგადებმა დაუნდობლად უნდა ამხილონ პროფბიუროკრატობის შემთხვევები და სასტიკი ბრძოლა აწარმოონ მის წინააღმდეგ.

აი რა ამოცანების ირგვლივ უნდა დარაზმონ ფაბქარხკომებმა მუშათა ფართო მასები. დრო ცოტა დარჩა. არჩევნების ვადა მოახლოებულია. ამთავითვე უნდა მოახდინონ გარდატეხა ფაბქარხკომებმა თავიანთ მუშაობაში.

ოგლაური.

ნაკლი დროზე გამოვასწოროთ

ფაბქარხადგილკომების გადარჩევა დიდი პოლიტიკური კამპანიაა. კავშირის ცენტრალური გამგეობები უკვე შეუდგნენ წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას, მაგრამ რკინის გზელ პროფკავშირის თბილისის საუბნო კომიტეტს ამ მხრივ ჯერ არაფერი გაუკეთებია. საგზაო კომიტეტმა მოიწვია თათბირი და გაარჩია საკითხი ადგილკომების გადარჩევის კამპანიის შესახებ. ამის შემდეგ საუბნო კავშირი უნდა დაეწყო მოსამზადებელი მუშაობა ადგილებზე, უნდა მოეწყობილიყო შემმოწმებელი ბრიგადები და სხვ. მაგრამ უბნის კავშირს ჯერაც არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს ამ მიმართულებით. ის მხოლოდ გეგმის შედგენით დაკმაყოფილდა. ამ გეგმის განხორციელებაზე კი საუბნო კომიტეტი თავს არ იწუხებს.

დრო არ ითმენს. საჭიროა უბნის კავშირმა აქედანვე დარაზმოს უფასო ინსტრუქტორთა კადრები და ფართოთ გაშალოს თვიკრიტიკა პროფორგანიზაციების მუშაობაში.

თ.

როგორ ტარდება მოსამზადებელი მუშაობა

(ხელოვნების მუშაკთა კავშირი)

ხელოვნების მუშაკთა კავშირი, ადგილკომების და ჯგუფკომის საგადარჩევო კამპანიას შეუდგა 16 მაისიდან. კავშირის ცენტრ. გამგეობამ გამოჰყო ბრიგადები მოსამზადებელ მუშაობის ხელმძღვანელობის გასაწევად. ბრიგადები ჩამოყალიბებულია აგრეთვე ადგილებზეც. ადგილკომების გადარჩევა ჩატარდება მხოლოდ თბილისში. პროვინციაში ამას წინად კავშირის მუშაობის ახალ მეთოდზე გადასვლის გამო, ჩატარდა გადახალისება. ამიტომ ქუთაისის, ბათომის და სოხუმის განყოფილებებში ხელახალი გადარჩევები აღარ ჩატარდება.

კინო.

სამზადისი მუშაობა დავიწყეთ

(ქუთაისი)

ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ქუთაისის მუშკომის გადარჩევის კამპანია დაიწყო 5 მაისიდან. კავშირის წევრთა კრებაზე დამუშავდა საკითხი პროფკავშირის მუშაობის ახალ მეთოდების შესახებ და ძირითად პროფორგანიზაციების გადარჩევებზე. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა ქუთაისის ოლქის პროფსაბჭოს წარმომადგენელმა ამხ. ბაგატურიამ.

მუშკომის მუშაობას შესამოწმებლად ნებაყოფლობის საფუძველზე ჩამოყალიბდა 7 ბრიგადა 45 კაცის შემადგენლობით. ბრიგადების თათბირი პროფაქტივთან ერთად ჩატარებულია, სადაც განაწილებულ იქნა ცალცალკე დავალებები საერთო კრების დადგენილებით. გადარჩევების საუკეთესოდ ჩატარებაზე სოცშეჯიბრებაში გამოწვეულია ადგილობრივ კოოპერაციის ადგილკომი. საერთოდ სამზადისი მუშაობა მიმდინარეობს გეგმიანად.

ლიპარტიანი.

გავაცხოველოთ მუშაობა

ფაბქარხადგილკომების გადარჩევის კამპანია კომუნალურ მუშაკთა კავშირის ხაზით დაიწყო პირველ მაისიდან. მოწვეულ იქნა ცენტრ. გამგეობის გაფართოებული თათბირი პროფაქტივის თანადასწრებით, სადაც შემუშავდა საგადარჩევო კამპანიის ჩასატარებელი გეგმა.

გეგმის მიხედვით წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა გასტანს მაისის ბოლო რიცხვამდე. პირველ ივნისიდან კი დაიწყება წარმოება-დაწესებულებებში საგადარჩევო კრებები. კავშირმა, ფაბქარხადგილკომების გადარჩევასთან დაკავშირებით, მოუწოდა ინჟ. ტეხნ. ძალებს 100 პროცენტით მიიღონ მონაწილეობა, როგორც წინასწარ მოსამზადებელ მუშაობაში, ისე ფაბქარხადგილკომების გადარჩევაშიც. ადგილკომებში უკვე სწარმოებს მუშათა ნებაყოფლობითი ბრიგადების ჩამოყალიბება პროფორგანოების მუშაობის შესამოწმებლად, მაგრამ ამ დარგში ზოგიერთი ადგილკომები მოისუსტებენ. საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გაიშალოს მოსამზადებელი მუშაობა.

ნოე.

თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით

(ზესტაფონი)

ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო და ტყის მუშაკთა პროფკავშირის გაერთიანებული მუშკომი უკვე შეუდგა წინასწარ სამზადისს მუშათა კომიტეტების გადარჩევებისათვის. 11 მაისს მოწვეულ იქნა პროფაქტივის თათბირი მუშკომთან ერთად, სადაც დამუშავდა ინსტრუქცია მუშკომის გადარჩევების შესახებ, თათბირმა შეიმუშავა გეგმა. არჩევნებისათვის მზადება ფართოთ გაიშალა. კავშირის აქტივი ჩაბმულია მუშაობის თვითშემოწმებაში. 13 მაისს მოწვეულ იყო წევრთა საერთო კრება, სადაც დაიმუშავდა ცენტრალური გამგეობის ინსტრუქტორ გველესიანის მოხსენება.

კრებამ მიიღო თათბირის მიერ გამომუშავებული გეგმა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებებით. გეგმის მიხედვით, 25 მაისს, მოეწყობა კითხვა-პასუხის საღამო პროფმოძრაობის და სხვა საკითხებზე. გამოშვებულია კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი. ამ დღეებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა წარმოებებში მასების აქტიური მონაწილეობის გაზრდის და პროლეტარული თვითკრიტიკის გატარების მიზნით გამოყოფილ იქნა საკავშირო მუშაობის ცალკე დარგების შემმოწმებელი ჯგუფები საუკეთესო დამკვრელების და „მსუბუქი კავალერიის" წევრთა მონაწილეობით. გამოყოფილია 3 ჯგუფი: კულტურული და კადრების მომზადების დარგში, ყოფა-ცხოვრების დარგში და მასიურ-ეკონომიურ დარგში. ჯგუფები უკვე შეუდგნენ მუშაობას და ამ დღეებში ჩატარდება მოხსენება საბჭოთა მეურნეობის მუშაობის და მდგომარეობის შესახებ. მოსმენილ იქნება აგრეთვე ჯგუფების დასკვნა. ამავე კრებაზე არჩეული იქნება საარჩევნო კომისია და მოხდება კანდიდატურების დასახელება. კანდიდატთა სია გამოიკვრება წარმოებებში. 27 მაისს, შესდგება კრება, სადაც დაისმება საკითხი არჩევნებზე.

კრებამ გადარჩევებში საკავშირო მასის ჩაბმის მიზნით და უკეთ ჩატარებისათვის შეჯიბრში გამოიწვია სამტრედიის, ვარციხის, აჯამეთ-ბაღდათის და ხარაგოულის მუშათა კომიტეტები.

შაშიაშვილი

ვიწვევთ შეჯიბრებაში

მეოთხე აფთიაქის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება ადგილკომის გადარჩევის და პროფმუშაობის ახალ მეთოდებზე გარდაქმნის შესახებ. მომხსენებელმა ამხ. თოიძემ დაწვრილებით გააცნო კრებას ადგილკომების ახალ მეთოდით გადარჩევის ამოცანები და მოუწოდა ყველას მთელი ასი პროცენტით ჩაიბან გადარჩევის კამპანიაში. მოხსენების შემდეგ მოხდა თვითშემმოწმებელ ბრიგადების გამოყოფა. გამოიყო ხუთი ბრიგადა, რომელიც შეამოწმებს ადგილკომის მიერ ჩატარებულ მუშაობას. შემმოწმებელ ბრიგადებში დამსწრეთა 50 პროცენტზე მეტი ჩაეწერა.

დაბოლოს კრებამ შეჯიბრებაში გამოიწვია მე-14 და მე-19 აფთიაქის თანამშრომლები საგადარჩევო კამპანიის უკეთ ჩასატარებლად.

მოსამზადებელი მუშაობა

(ვემო.-კვების კავშირი)

15 მაისიდან, როგორც ქალაქში, ისე პროვინციებშიც დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც გასტანს მაისის ბოლო რიცხვამდე. რაც შეეხება საგადარჩევო კრებების მოწვევას, ასეთი დაიწყება 1-ლი ივნისიდან.

ყველა წარმოება-დაწესებულებებთან ჩამოყალიბდა თვითშემმოწმებელი ბრიგადები, რომლებშიაც შედიან ცენტრ. გამგეობიდან მიმაგრებული პასუხისმგებელი წევრები და აქტიური მონაწილეოსა ფაბქარხადგილ- გამოიყო შემდეგ წარმოება-დაწესებულებებში: 1 და 2 თამბაქოს ფაბრიკებში, „საქართ. ღვინო"-ში, კონფეტის და მაკარონის ფაბრიკაში, ძეხვეულობის ქარხანაში და მე-13 ჯგუფკომში. ბრიგადებს ევალებათ მიიღონ აქტიური მონაწილეობა ფაბქარხკომადგილკომების მიერ ჩატარებულ მუშაობის შემოწმებაში საგადარჩევო კრებებზე და გამოაჟღავნონ ყველა ის ნაკლი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ფაბქარხკომების მუშაობაში.

პროფკავშირელი.

პროფორგანოების გადარჩევის დეფექტები

ზოგიერთი კავშირები სრულ უმოქმედობას იჩენენ საარჩევნო კამპანიაში.—სატრანსპორტო კავშირს მოსამზადებელი მუშაობა არ ჩაუტარებია

საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების გადარჩევა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიაა, მაგრამ ზოგიერთი პროფესიონალური კავშირების ც. გამგეობებს ეს არა აქვთ შეგნებული. ისინი არ აქცევენ შესაფერ ყურადღებას ამ კამპანიას, რის გამო კომიტეტების გადარჩევის საქმე დღემდე სათანადოთ არ არის გაშლილი.

თუ როგორ ზერელეთ ეკიდებიან კომიტეტების გადარჩევის კამპანიას ზოგიერთი კავშირები, ეს ჩანს შემდეგიდან:

პროფსაბჭოს საორგანიზაციო სექტორმა 16 მაისს მოიწვია თათბირი კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით პრაქტიკული ღონისძიებების გამოსამუშავებლად და შემჩნეულ დეფექტების თავის დროზე გამოსწორების მიზნით.

იმავე თათბირზე უნდა მოესმინათ ადგილების მოხსენებები, ბრიგადირების ინფორმაცია და სხ., მაგრამ ზოგიერთმა კავშირებმა წარმომადგენლებიც კი არ გამოგზავნეს თათბირზე. მაგალითად თათბირზე არ გამოცხადდენ ხეზე მომუშავეთა, ქიმიკოსების, მკერავების, სასოფლო-სამეურნეო კავშირების და ინჟინერ-ტეხნიკოსთა ბიუროს წარმომადგენლები.

მიუხედავათ ამისა, თათბირი მაინც შესდგა. რა გამოირკვა თათბირზე?

გარდა იმისა, რომ სუსტია ადგილებზე კავშირების ხელმძღვანელობა, წარმოებებზე მიმაგრებული პასუხისმგებელი მუშაკებიც სრულ უმოქმედობას იჩენენ.

ასე, მაგალითად, მეტყავეთა კავშირის თავმჯდომარე გრიგორიანი, რომელიც მიმაგრებული იყო 1-ლ სტამბაზე კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, ერთხელაც არ შესულა სტამბაში.

მას არ ჩამორჩა არსენალის ქარხკომი ალაპოვიც და ამავე ქარხკომის მუშაკი გეგელია. ალაპოვი და გეგელია მიმაგრებული იყვნენ სტალინის სახ. ორთქლმავლების შემკეთებელ სახელოსნოზე, მაგრამ არც ერთ მათგანს ამ სახელოსნოსთან გზათაც არ გაუვლია. ეს იმ დროს, როცა მეღითონეებს დანარჩენ ორგანიზაციებზე უფრო ცხოველი მონაწილეობა უნდა მიეღოთ საქ. - საფაბრიკო კომიტეტების გადარჩევაში და ეხელმძღვანელათ იმ გამოცდილებით, რომელიც მათ მიიღეს მეღითონეთა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების გადარჩევიდან.

კავშირების და პასუხისმგებელ ამხანაგების ამგვარმა გულგრილობამ საქ.-საფაბრიკო გადარჩევის კამპანია საგრძნობლად შეანელა. თვითშემმოწმებელი ბრიგადები კამპანიაში სუსტ მონაწილეობას იღებენ, რაც საფრთხეს უქადის მის წარმატებით ჩატარებას.

კამპანია განსაკუთრებით სუსტად მიმდინარეობს სატრანსპორტო წარმოებებში, ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირს, თითქმის არავითარი წინასწარი მუშაობა არ ჩაუტარებია. კავშირი გვერდს უვლის პროფმუშაობის ახალ ფორმებს და მეთოდებს. კავშირი არ ცდილობს მასაში გადაიტანოს განსახილველად ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა საწარმოო-საფინანსო გეგმა, სოცშეჯიბრება, დამკვრელობა და სხ.

კავშირი იმდენათ ზერელეთ ეკიდება გადარჩევის კამპანიას, რომ მან ყოველგვარი წინასწარი მუშაობის ჩაუტარებლად კომიტეტების ახალი არჩევნებიც კი მოახდინა მუშკომში და სატრანსპორტო-სამომხმარებლო კოოპერაციაში, რაც პროფსაბჭოს მიერ უკანონოდ იქნა ცნობილი.

შედარებით კამპანია უკეთესათ მიმდინარეობს „მკერავის" პირველ და მეორე ფაბრიკაში, რაც უნდა მიეწეროს ამ ფაბრიკებზე მიმაგრებულ პასუხისმგებელ მუშაკების უნარიანობას.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კულტსამსახური ყველგან სუსტად სწარმოებს.

თათბირმა შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებები აღნიშნულ დეფექტების დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად და კამპანიის გასაცხოველებლად.

მსუბუქი კავალერიის ერთდროული „თავდასხმა" მრეწველობაზე

საკავშირო პროფსაბჭოს და ს. მ. უ. ს. გადაწყვეტილებით 15 აპრილისათვის არ უნდა ყოფილიყო დარჩენილი არც ერთი ცეხი, არც ერთი აგრეგატი, მაღარო, არც ერთი დამკვრელი ბრიგადა, რომელსაც არ ექნებოდა მტკიცე საგეგმო დავალება.

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშგლეხინი, საკავშირო პროფსაბჭო და საკ. ა. ლ. კ. კ. ც. კომიტეტი აწყობს მსუბუქი კავალერიის ერთდროულ საკავშირო „თავდასხმას" საწარმოებზე ამ დავალებათა შესრულების შესამოწმებლად.

თავდასხმა ეწყობა მთელ საქართველოში 23, 24 და 25 მაისს მსუბუქი კავალერიის რაზმების მიერ დამკვრელების, რაციონალიზატორების და თვითშემმოწმებელი ბრიგადების მონაწილეობით.

მსუბუქი კავალერიის რაზმებმა უნდა შეამოწმონ შემდეგი საკითხები:

1. განაწილებულია თუ არა წლიური სამრეწველო - საფინანსო გეგმა ცეხებზე, მაღაროებზე, ბრიგადებზე, აგრეგატებზე, დაზგებზე და ცალკე მუშებზე.

2. ყველა ცეხებს, ბრიგადებს და დაზგებს აქვთ თუ არა მტკიცე საგეგმო დავალებები (რომლებს არა აქვთ და რა მიზეზით).

3. ადგილი ხომ არა აქვს ქარხნის მმართველობის მიერ საკავშირო პროფსაბჭოს და ს.მ.უ.ს. დირექტივების დარღვევას საგეგმო დავალებათა მიყვანის შესახებ მხოლოდ ცეხამდე.

4. ადგილი ხომ არა აქვს საგეგმო დავალებათა განაწილებას ცეხებზე, ბრიგადებზე და დაზგებზე მხოლოდ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით.

განაწილებულია თუ არა ხარისხობრივი მაჩვენებლები (თვითღირებულება, პროდუქციის ხარისხი, წუნდადებული პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება და სხვ.). კერძოდ, განაწილებულია თუ არა თვითღირებულების დაკლების დავალება ცეხებს შორის (თვითღირებულება წარმოადგენს გეგმის ძირითად საკითხს).

5. ყველა მუშებმა იციან თუ არა თავისი დაზგის, ბრიგადის, ცეხის და ქარხნის დავალებები, გამოკიდულია თუ არა ეს დავალებები ცეხებში, ბრიგადებში და დაზგებთან. რამდენად გასაგებია თვითეული მუშისათვის ეს დავალებები და ადგილი ხომ არა აქვს ამ დავალებათა მუშებისათვის გაუგებარ ფორმაში გამოკიდვას (რთული მუხლები).

6. დაწესებულია თუ არა სისტემატიური კონტროლი და სწარმოებს თუ არა საგეგმო დავალებათა შესრულების აღრიცხვა დეკადების, თვეების და კვარტალების მიხედვით არა მარტო მთელ საწარმოში, არამედ ცალკე ცეხებში, ბრიგადებში და დაზგებზე. აცნობენ თუ არა მუშებს დაზგის, ბრიგადის, ცეხის საგეგმო დავალებათა შესრულების შედეგებს.

7. სწარმოებს თუ არა საგეგმო დავალებათა შესრულების დროული აღრიცხვა. კერძოდ, სრულდება თუ არა საკ. კ.პ. (ბ) ც. კ.-ის დირექტივა საწარმოს და ცეხის მუშაობის შედეგების შეჯამება საანგარიშო თვის შემდეგ 15 რიცხვისათვის, როგორც საწარმოო პროგრამის შესრულების მხრივ, ისე თვითღირებულების დაკლების მხრივ.

8. დანიშნულია თუ არა ქარხნის მმართველობის მიერ სპეციალური მუშაკები იმისათვის თვალყურის სადევნებლად, თუ რამდენად მიყვანილია საგეგმო დავალებები ცეხამდე, ბრიგადამდე და დაზგამდე.

9. ჩატარდა თუ არა ტრესტისა და ს.მ.უ.ს. მხრივ დირექტივის შესრულების შემოწმება საგეგმო დავალებათა მიყვანის შესახებ ცეხამდე და ბრიგადამდე.

10. განხორციელებულია თუ არა დირექტივა ცეხების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ.

11. რა მუშაობა სწარმოებს ამჟამად იმისათვის, რომ 30-31 წლის სამრეწველო - საფინანსო გეგმების შედგენაში მონაწილეობა მიიღოს საწარმოს ყველა მუშამ.

რამდენად არის გამოყენებული 30-31 წლისათვის საკონტროლო ციფრების შედგენის დროს ის დეფექტები, რომლებიც გამომჟღავნდა სამრეწველო - საფინანსო გეგმებში მათი მიყვანის დროს ცეხამდე და ბრიგადამდე.

შემოწმება უნდა ჩატარდეს მასიური წესით. მსუბუქი კავალერიის ჯგუფებმა უნდა შეამოწმონ საქ. პროფსაბჭოს და ს.მ.უ.ს. დადგენილებათა შესრულება არა მარტო სამეურნეო მუშაკების დაკითხვით, არამედ, აგრეთვე, გეგმიის შემოწმებით ცეხებში და ბრიგადებში და მუშების დაკითხვით.

მსუბუქი კავალერიის ჯგუფებმა უნდა გამოარკვიონ — რა მიზეზები უშლიდნენ ხელს ამ დავალებათა შესრულებას, რა ზომებს იღებდნენ ქარხნის მმართველობა, ქარხკომი და პარტუჯრედი, ვინ არის კონკრეტული დამნაშავე ამ დირექტივების გაუტარებლობაში.

შემოწმების შედეგები მსუბუქი კავალერიის ჯგუფებმა უნდა დასვან მუშების მფრინავ კრებებზე.

შემოწმების შედეგებს თვითეული რაზმი გზავნის სათანადო კომკავშირულ კომიტეტში, ხოლო თბილისის რაზმები გზავნიან საქართველოს ცენტრალურ საკ. კომისიის და მუშგლეხინის მსუბუქი კავალერიის რესპუბლიკანურ შტაბში არა უგვიანეს 27 მაისისა.

საქ. მუშგლეხინის სახ. კომისარი: **ივანოვ-კავკასკი.**

საქ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე **მაჩაიძე.**

ხა. ალ.კ.კ. ც. კ.-ის მდივანი: **ბუჩიაშვილი.**

საბავშვო ლიტერატურა

(საბავშვო ლიტერატურის სამდღიურისათვის)

უდაოა ის გარემოება, რომ ჩვენ საკმაოდ დიდი მიღწევები გვაქვს როგორც საგამომცემლო დარგში, აგრეთვე წიგნის გავრცელების საქმეშიაც. თუ წინა წლებში ქართული წიგნის საშუალო ტირაჟი იყო 2.000-3.000 ცალი, ეხლა მისი საშუალო ტირაჟი ავიდა 10.000 ცალამდე.

სამწუხაროდ ეს არ ითქმის საბავშვო ლიტერატურის შესახებ. იმ დროს, როდესაც ეს ლიტერატურა ყველაზე მეტი უნდა ვრცელდებოდეს სწორედ აქ მოვისუსტებთ. მოვისუსტებთ იმიტომ, რომ ეს საქმე არის მხოლოდ სახელგამის საქმედ მიჩნეული და ყოველი ცდა სკოლასთან მჭიდროთ დაკავშირების დღემდე უნაყოფოდ რჩება.

საჭიროა მივაჩვიოთ ჩვენი ნორჩი თაობა წიგნებით სარგებლობას, საჭიროა შევაყვაროთ მას ლიტერატურა, რომელიც აძლევს ბავშვს საერთო განვითარებას, უნერგავს კომუნისტურ პრინციპს და არის სკოლის უდიდესი დამხმარე საშუალება. საბავშვო ლიტერატურის საქმის გაუმჯობესებისათვის ჩვენ საჭიროთ მივაჩნია შემდეგ ღონისძიებათა გატარება:

1) განსახკომის ხაზით სისტემატიურად უნდა ეგზავნებოდეს სკოლებს რეკომენდაცია ქმნილ ლიტერატურის სია. სია მჭიდროთ უნდა იყოს დაკავშირებული სკოლის მუშაობასთან და ყოველმხრივ ავსებდეს სასწავლო მასალას. ის ხელს უნდა უწყობდეს იმ პრინციპების განმტკიცებას, რომელსაც სკოლა ახორციელებს.

2) ყველა სკოლას უნდა ჰქონდეს გამოწერილი საბავშვო ჟურნალები, „პიონერი" და „ოქტომბრელი", რომელიც თავისი შინაარსის ცვალებადობით და მომენტთან შეფარდებით საშუალებას მისცემს სკოლას შეავსოს ხელმძღვანელობის ნაკლი მომენტის შესაფერისი მასალით და საუკეთესო დამხმარე მასალა მისცეს სკოლას ყოველდღიური მუშაობისათვის.

3) სახელმძღვანელოების ავტორები თავის სახელმძღვანელოში უნდა აძლევდნენ მოწაფეებს დავალების სახით თემების დამუშავების დროს წასაკითხ ლიტერატურის სიას. ეს გარემოება ხელს შეუწყობს თემის გაშლა-დამუშავებას.

4) განსახკომის პროგრამებით აუცილებელია სკოლის საზოგადოებრივ - სასარგებლო შრომის ფართოდ დაყენება. ჩვენის აზრით ერთ ასეთ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომათ უნდა ჩაითვალოს მასიური წიგნის გავრცელების ორგანიზაცია. სკოლას აქვს ამისათვის ყოველგვარი საშუალებები: მას შეუძლია მოაწყოს კულტლაშქრობა და მიაწოდოს მშრომელი მოსახლეობის ფართო მასებს მათთვის საჭირო ლიტერატურა. გასულ წელს, გაზაფხულო ბაზრობის დროს თელავის პედაგოგიურმა ტეხნიკუმმა სახელგამის მაღაზიებთან ერთად მოაწყო კულტლაშქრობა და სამი დღის განმავლობაში სკოლამ გაჰყიდა 1.800 მანეთის ლიტერატურა. წელს ასეთივე კულტლაშქრობა მოეწყო კრწანისის კოლმეურნეობებში: წიგნის გავრცელება იკისრა ადგილობრივ სკოლის მოწაფეებმა. 150 კომლ მოსახლეში გაავრცელეს 1.000-მდე წიგნი. განა ეს მოსწავლეთათვის ნაკლებ მნიშვნელობის საქმეა, ვინემ სხვა რომელიმე საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა?

5) ყველა სასკოლო კოოპერატივი უშუალოთ უნდა დაუკავშირდეს სახელგამს და უზრუნველყოს სკოლები არა მარტო სახელმძღვანელოებით, არამედ საკითხავი და დამხმარე ლიტერატურითაც.

6) კომკავშირელთა ორგანო („ახალგაზრდა კომუნისტი") სისტემატიურად უნდა ათავსებდეს სიებს, განცხადებებს და ბიბლიოგრაფიებს ჩვენი საბავშვო (პიონერ - კომკავშირულ) ლიტერატურის შესახებ.

7) როგორც სკოლებს, ასევე მოწაფეთა შორისაც უნდა სწარმოებდეს სოცშეჯიბრება ლიტერატურის შეძენა - გავრცელების საქმეში. კომკავშირელები ამ საქმის ინიციატორები და მთავარი ხელმძღვანელები უნდა იყვნენ. კომკავშირელების მიერ თავის რიგებში საგანგებოდ ჩატარებულ კამპანიის შედეგად ჩვენ მივიღეთ ვ. ლენინის თხზულებებზე, კ. მარქსის კაპიტალზე ხელმოწერათა საკმაო დიდი რიცხვი. საჭიროა ამ მუშაობას მიეცეს არა კამპანიის, არამედ სისტემატიური ხასიათი.

8) საბავშვო ლიტერატურის სამდღიურები და ბაზრობები უნდა მოეწყოს ყველა ორგანიზაციების მონაწილეობით და სახელგამმა ამ საქმეში ყველაზე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს. განსახკომის ინსტრუქტორების ერთმა ჩამოვლამ და საბავშვო ჟურნალებზე ხელის მოწერის პოპულიარიზაციამ მარტო ახალ - ქალაქის მაზრაში მოგვცა 700 ხელმომწერი — სომხურ საბავშვო ჟურნალებზე. ნუთუ არ შეიძლება სხვა რაიონებშიაც ასეთი მუშაობის ჩატარება? ყველას უნდა ახსოვდეს, რომ მასიური წიგნის გავრცელების საქმე არის უაღრესად დიდი პოლიტიკურ - საზოგადოებრივ მნიშვნელობის საქმე (როგორც ეს არის აღნიშნული ს. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის დადგენილებაში). ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობას უნდა იღებდეს მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა და მხოლოდ მაშინ შევძლებთ პარტიისა და ხელისუფლების საპასუხისმგებლო დავალების შესრულებას: წიგნი — მასებს, მაშინ შევძლებთ წიგნის გაიაფებას, რადგან მცირეტირაჟიანობა წიგნის სიძვირის ერთი მთავარი მიზეზთაგანია.

გ. ბიბინეიშვილი

პროლეტარული სტუდენტობის „დახმარების სამდღიური"

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების სამდღიურის მოწყობის შესახებ

საქართველოს პროლეტარული სტუდენტობის მატერიალური სახსრების გაძლიერებისა და მისი მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით —სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს სპეციალურად ამ მიზნისათვის გამოყოფილ განსაკუთრებულ კომიტეტს მოაწყოს საქართველოს სრ ტერიტორიაზე პროლეტარული სტუდენტობის დახმარების სამდღიური 1930 წლის მაისის 23, 24 და 25 ამ დადგენილების ქვემოაღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებულ საფუძველზე.

2. აღნიშნულ ვადის (მაისის 23—25) განმავლობაში ნება დაერთოს:

ა) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

ბ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრის სადგომები, აგრეთვე რადიო გადაცემა.

3. შემოღებულ იქნეს სამდღიურის განმავლობაში დაბეგვრის სახით პროლეტარული სტუდენტობის სასარგებლოდ სპეციალური გამოსაღები ყველა გასართობ სანახაობაში (თეატრი, კინო, კონცერტი, ცირკი, საბილიარდო) შემსვლელებზე ბილეთის ღირებულების 10 პროც. რაოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდევინებულ იქნეს იმ გამოსაღების გარეშე, რაც საამისოდ დაწესებულია საკავშირო კანონმდებლობის წესით.

4. ამ დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციელებს ამ მიზნისათვის გამოყოფილი სამდღიურის ჩამტარებელი განსაკუთრებული რესპუბლიკანური კომიტეტი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი **ს. თოდრია.**
თბილისი—სასახლე.
1930 წ., მაისის 18.

საბჭოთა მეურნეობის მუშების და კოლმეურნეთა სურსათ-სანოვაგით მომარაგება

თათბირი „ზაკსოიუზ"-ში

გუშინ, საღამოს, „ზაკსოიუზ"-ში გაიხსნა სამომხმარებლო კოოპერაციის ა.-კ. რესპუბლიკათა ცენტრების, საბჭოთა მეურნეობების რესპუბლიკანური სამმართველოების, ამიერკავკასიის რესპუბლიკების კოლმეურნეობათა ცენტრების და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა მომარაგების საკითხის შესახებ.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ა.-კ. მიწათმოქმედების სახკომისარიატის წარმომადგენელ ამხ. ზურაბიანის მოხსენება ამიერკავკასიის საბჭოთა მეურნეობების მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს როგორც სამომხმარებლო კოოპერაციის, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების და მიწათმოქმედების სახკომისარიატის წარმომადგენლებმა. სხდომის ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

სოც. დაზღვევის კომიტეტში

პროფილაქტიური შეღავათები არავის მიეცემა

ა.-კ. შრომის კომისარიატთან არსებულმა სოცდაზღვევის მთავარმა სამმართველომ წინადადება მისცა ყველა დამზღვევ სალაროებს და სოც. დაზღვევის რესპუბლიკანურ კომიტეტებს, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში არც ერთ დაზღვეულს არ მისცენ ე. წ. პროფილაქტიური შეღავათები.

გასულ წლებში პროფილაქტიური შეღავათებით სარგებლობდნენ დაზღვეული მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც შეღავათები ეძლეოდათ ავადმყოფობის გამო და ეს შეღავათები უნდა გაეტარებიათ კურორტებზე, სანატორიუმებში, პანსიონატებში, ან დასასვენებელ სახლებში. ახალი განკარგულების თანახმად პროფილაქტიური შეღავათების გაცემა სავსებით აკრძალულია. ავადმყოფობის გამო დაზღვეულებს შეღავათები მიეცემათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხანგრძლივი სამკურნალო მეთვალყურეობის შემდეგ გამოირკვა, რომ ავადმყოფისათვის აუცილებელია კლიმატიური მკურნალობა ზაფხულის განმავლობაში. დაზღვეულს შეღავათი მიეცემა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამოწურულია მკურნალობის ყველა დანარჩენი საშუალებები.

ავადმყოფების გაგზავნა კურორტებზე

საქ. სოც. დაზღვევის კომიტეტმა უკვე გაგზავნა დაზღვეულ ავადმყოფების 1-ლი პარტია ქობულეთის სანატორიუმში. ამ დღეებში ავადმყოფები გაიგზავნებიან აბასთუმანის, კისლოვოდსკის, ესენტუკის და ჟელეზნოვოდსკის სანატორიუმებში.

ქობულეთში გაიგზავნილი იქნება ავადმყოფების ახალი ჯგუფი ერთი კვირის შემდეგ.

საწარმოების გამოკვლევა

საქ. სოც. დაზღვევის კომიტეტის მედიკო-პროფილაქტიური განყოფილება შეუდგა იმ საწარმოების გამოკვლევას, სადაც უფრო ხშირი მოვლენაა შრომის უნარის დროებითი დაკარგვა. გამოკვლევის მიზანია ყველა იმ მიზეზების შესწავლა, რომლებიც იწვევენ შრომის უნარის დროებით დაკარგვას და ხელს უწყობენ სამუშაო დღეების გაცდენის ზრდას.

საბჭოთა კანონის დამრღვევნი

თბ. ოლქის პროკურ. კალანდაძემ, მოსამართლე ქორჩილავამ და სასამართლოს მდივანმა მელაძემ შეგნებულად გასთელეს საბჭოთა კანონი და ხულიგნურად შეიჭრნენ აღმასკომის კომუნალურ, ახლად განთავისუფლებულ სახ. სასამართლოს სახლებში და იქ მოკალათდნენ „წმინდანი სამება". მათ არ მოინდომეს სრულებით უბრალო დაკითხვაც, რადგან დიდ ხალხად მოიჩვენათ თავი. მე, ოლქის პროკურორს კალანდაძეს, ვინ რას გამიბედავს, ვინ გაბედავს ჩემს სურვილს წინ აღუდგეს.

საქმის შინაარსი ასეთია: ტურგენევის ქ. № 4-ში მდებარე კომუნალური შენობა, სადაც მოთავსებული იყო სახალხო სასამართლო, მისი რეორგანიზაციის შემდეგ, თანახმად თბ. ოლქის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა, უნდა გამოეყენებიათ საბჭოთა სასტუმროების მუდმივ მობინადრეთა ჩასასახლებლად. მაგრამ ეს დადგენილება ჩაფუშეს „მართლმსაჯულებმა". მათ არ გაითვალისწინეს აღმასკომის ყოველდღიური ზარალი სასტუმროს მუდმივი მობინადრეებიდან. აბა რას დაგიდევდა პროკურორი კალანდაძე, განა მის ხელში არ არის კანონები?

ჩვენ შენობასთან დავაყენეთ მილიციის თანამშრომელი, რომ იქ არავინ შესულიყო. კალანდაძეს მაინც ვერ გაუმკლავდა, „მე ვარ თბილისის ოლქის პროკურორი, გიბრძანებ გააღე ეხლავე კარებიო". მილიციელი იცავს თავის მოვალეობას. მაგრამ კალანდაძე მუშტიკრივში სახელგანთქმული ყოფილა, მან ხელი კრა მილიციელს, ოთახს ააღლიჯა ბეჭედი და შეიჭრა. აი, პროკურორის მოქმედება. განა კალანდაძის იმედი უნდა გვქონდეს, რომ იგი თავის მოვალეობას და საბჭოთა კანონმდებლობას დაიცავს ისე, როგორც მოითხოვს პროლეტარიატი? განა დასაშვებია პროკურორის ასეთი ხულიგნური მოქმედება?

ეხლა შევეხოთ „მართლმსაჯულს" (მოსამართლეს) ქორჩილავას. მან ერთი პატიოსნება იხმარა. მივიდა კომუნალურ სახლთა სამმართველოში და განაცხადა: მე ერთმა პასუხისმგებელმა ამხანაგმა მითხრა, რომ შედი ძალით და შემდეგ ვერავინ გამოგასახლებსო. სამმართველოდან მან მიიღო უარყოფითი პასუხი, რომ ყოვლად დაუშვებელია აღნიშნულ სახლში მისი ჩასახლება. იგი ამას არ დაემორჩილა და თვითნებურად შეიჭრა კალანდაძესთან ერთად, რაც, რა თქმა უნდა, ყოვლად დაუშვებელია.

სასამართლოს მდივნის მოქმედება უფრო საგულისხმოა. მისი მოხერხება „საისტორიოა", იგი მიდის ღამით, უწევს წინააღმდეგობას მილიციას, ამტვრევს კარებს და შედის ოთახში. მოიგონა, თითქოს ბავში ყავდეს ავად, რაც ტყუილი გამოდგა. უძლური შეიქნა მის წინააღმდეგ ბრძოლაში ადმინისტრაცია.

საბჭოთა კანონმდებლობის ასეთ უხეშად დამრღვევი და ხელისუფლების სახელის გამტეხი სასამართლოს მუშაკები სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ.

ბ. ბ.

ინდოეთი ინგლისის იმპერიალიზმის უღელ ქვეშ

გლეხობის მდგომარეობა.— მრეწველობა.— მუშათა კლასი.—პოლიტიკური წყობილება. ბურჟუაზიული ნაციონალიზმი. —მშრომელთა ორგანიზაციები.

ამ ამბებთან დაკავშირებით, რომლებსაც ახლა ინდოეთში აქვთ ადგილი, საჭიროა მოვიყვანოთ უმთავრესი ცნობები ამ ქვეყნის შესახებ და გავეცნოთ ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკას ინდოეთში.

ინდოეთი წარმოადგენს ნახევარ კუნძულს სამხრეთ აზიაში. მისი ტერიტორია უდრის 4.735.440 კვად. კილომ. აქედან საკუთრივ ბრიტანეთის ინდოეთი შეიცავს 2,832.600 კილომ. (61 პროც.), ხოლო ადგილობრივი „სახელმწიფოთა" ტერიტორია—1.902.890 კილ. (39 პროც.).

უკანასკნელი აღწერის თანახმად (21 წ.), ინდოეთის მოსახლეობა შეადგენდა 319,646.585 კაცს. ამ რიცხვიდან საკუთრივ ბრიტანეთის ინდოეთში ცხოვრობდა 77 პროც., ხოლო დანარჩენი—„დამოუკიდებელ" სახელმწიფოებში (სამთავროებში). აქვე აღვნიშნავთ, რომ ინდოეთის მოსახლეობა 10 წლის განმავლობაში (1911—1921) გაზრდილა მხოლოდ 1,2 პროცენტით. ამასთან, მკვიდრთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უდრის 24 წელიწადს (ინგლისში—46 წ.). მარტო ეს ფაქტი ღაღადებს იმ უმძიმეს პირობებზე, რომლებშიც ინდოეთის მოსახლეობას უხდება არსებობა.

ინდოეთი აგრარული ქვეყანაა. საკუთრივ მიწათმოქმედებით ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 70 პროცენტი ანუ 221 მილ. სული. როგორია გლეხობის არსებობის პირობები? პირველ ყოვლისა უნდა ვიცოდეთ, რომ ინდოეთის მიწისმფლობელია ინგლისის მთავრობა. ამ მიწაზე მას დადებული აქვს უდიდესი გადასახადი; საკმარისია აღინიშნოს, რომ ინგლისის საბიუჯეტო შემოსავლის ერთი მეხუთედი ამ გადასახადისაგან შესდგება. შემდეგ: ინდოეთში არსებობს მიწათსარგებლობის ისეთი სისტემა, როცა ე.-წ. ზემინდარები (მემამულენი, რომელთაც ინგლისის მთავრობამ მიწა იჯარით გადასცა) მიწებს იჯარით აძლევენ გლეხობას. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ექსპლოატაციას განიცდის გლეხი ამ ორმაგი იჯარის წყალობით. გლეხობის მდგომარეობა არ არის უკეთესი მიწათსარგებლობის მეორე სისტემის დროსაც), რომელიც აგრეთვე ფართოდაა გავრცელებული ინდოეთში), როცა ის მიწას უშუალოდ მთავრობისაგან ღებულობს იჯარით; მთავრობიდან იჯარით აღებულ მიწის მთელი შემოსავლის 50 პროც. ხაზინის სასარგებლოთ მიდის.

მიწის შემოსავლიანობა თანდათან მცირდება. მემამულეს სახ. მეურნეობში არ შეაქვს რაიმე გაუმჯობესება. არც მთავრობა იწუხებს ამაზე თავს; ინდოეთის სოფლის მეურნეობის საჭიროებაზე წლიურად მხოლოდ 6.590 ათ. მან. იდება (8 კაპ. აკრზე). სარწყავ სისტემის ნაკლებობა და დაბალი ტეხნიკა სცემს ნაყოფიერებას. მაგ., უკანასკნელ წლებში ხორბლის პროდუქცია შემცირდა 13 პროცენტით, ბამბის—18 პროცენტით და სხვ.

ყოველივე ამის გამო ინდოეთის გლეხი უკიდურესად ღარიბია და ფიზიკური გადაშენების გზას ადგას. თვით ოფიციალური ცნობებით, ინდოეთის გლეხურ მეურნეობათა 88 პროცენტს მოსდის საცხოვრებელ მინიმუმად მიჩნეულ შემოსავლის მხოლოდ 51 პროცენტი. არის უამრავი მეურნეობა, რომელიც არსებობს 10 მანეთიანი წლიური შემოსავლით სულზე. სიმშილობა და უმუშევრობა მუსრს ავლებს ინდოეთის გლეხობას. აქედან გასაგებია, რომ გლეხთა აჯანყებები ხშირი მოვლენაა ინდოეთში და ახლა გაჩაღებული ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე გლეხობაა.

აქვე ორიოდე სიტყვა სოფლის პროლეტარიატზე. გლეხობის უმუშევართა მასა დგება მოჯამაგირეებათ მემამულეებთან და მუშებად პლანტაციებზე, მოჯამაგირეთა რიცხვი ინდოეთში უდრის 6.027 ათ. კაცს (21 წლის აღწერით), ხოლო სას.-სამეურნეო მუშებისა—31.898 ათ. კაცს. მათი მდგომარეობა აუტანელია. მრავალ შემთხვევაში ისინი მარტო ლუკმა პურისათვის მუშაობენ განუსაზღვრელ დროის განმავლობაში და მოკლებულნი არიან ელემენტარულ უფლებებს.

* *

ხსენებულ მიზეზთან ერთად ინდოეთის სოფლის მეურნეობის დაქვეითებაზე გავლენას ახდენს მრეწველობის დეპრესიაც, რის გამო მას ნაკლები სას.-სამ. ნედლეული სჭირდება, ამ თავიდანვე ინგლისის იმპერიალიზმი ყოველნაირად აფერხებდა ნაციონალური მრეწველობის განვითარებას ამ ქვეყანაში. ინგლისის კაპიტალისათვის ინდოეთი მარტოოდენ გამსაღებელ ბაზარს და ნედლეულის წყაროს წარმოადგენდა. მაგრამ, მიუხედავად ხელოვნური დაბრკოლებებისა, ვაჭრობის საშუალებით გამდიდრებულმა ადგილობრივმა ბურჟუაზიამ მაინც შესძლო საწარმოთა შექმნა (უმთავრესად საფეიქრო მრეწველობის). შემდეგ—ინგლისის ფინანსიურმა კაპიტალმა, რომელიც ეხარბებოდა ინდოეთის იაფ მუშა ხელსა და ნედლეულს, იქ მოაწყო სხვადასხვა სამრეწველო დარგები და ამასთან დაკავშირებით ინგლისის მთავრობა იძულებული შეიქნა რამოდენიმედ მაინც შეენელებინა ნაციონალური მრეწველობის შეზღუდვა, რომ ინდოეთის ბურჟუაზია ინგლისის წინააღმდეგ არ აემხედრებინა. გადამწყვეტი როლი ინდოეთის ინდუსტრიალიზაციაში ითამაშა მსოფლიო ომმა, რომელმაც აუცილებელი გახადა მეტალურგიის განვითარება. ეს კი ინგლისს მარტო შიგნით არ შეეძლო და საჭირო შეიქნა ინდოეთის კაპიტალისტებთან თანამშრომლობა. ამავე დროს ინდოეთის ბურჟუაზიამ, ინგლისისათვის ომის დროს მხარის დაჭერის სამაგიეროდ, მისგან მოითხოვა თავის ეკონომიურ საქმიანობის ფარგლების გაფართოება, რაზედაც ინგლისი კბილების ღრჭენით უნდა წასულიყო.

ინგლისის მთავრობის დათმობები ინდოეთსათვის უმთავრესად გამოიხატა ერთგვარი მფარველობითი სისტემის შემოღებაში, რომ ადგილობრივ მრეწველობას აეტანა შემოზიდულ საქონლის კონკურენცია. ასე, 1916 წ. ბამბის ნაწარმოებთა შემოტანაზე დაწესებულ იქნა ტარიფი 8 ნახ. პროცენტის რაოდენობით. უფრო საგრძნობი საბაჟო მფარველობა ეწეოდა ომის საჭიროებისათვის მომუშავე მრეწველობას. კერძოდ საიმპორტო ფოლადზე დაწესდა ტარიფი მისი ღირებულების 33,⅓ პროცენტის რაოდენობით. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ინდოეთის მრეწველობის განვითარებას. მაგ., თუ ომამდე რკინის და ფოლადის პროდუქცია ინდოეთში მხოლოდ 200 ათას ტონას უდრიდა და ეს საგნები მას მეტწილად გარედან შემოჰქონდა (500 ათ. ტონა წლიურად),—1925-26 წ. ინდოეთში დამუშავდა 1.250 ათ. ტონა, იმპორტი თითქმის მთლად შეწყდა, პირიქით, გაზიდულ იქნა 500 ათ. ტონა.

მაგრამ ბოლო წლებში მდგომარეობა არსებითად იცვლება. ინდოეთის მრეწველობის მიმართ ინგლისის იძულებითმა დათმობითმა პოლიტიკამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა საკუთრივ ინგლისის კაპიტალს. და ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისის მთავრობა არამც თუ ახალ დათმობებზე არ მიდის, არამედ უკან მიაქვს წინანდელი შეღავათებიც. საილიუსტრაციოთ ერთი ფაქტი: 1927 წ. გაუქმებულ იქნა ზევით აღნიშნული ტარიფი ფოლადის შემოზიდვაზე, რამაც ინდოეთის მეტალურგიაზე გამანადგურებელი გავლენა მოახდინა; 28-29 წ. გადადნობილ იქნა 200 ათ. ტონით ნაკლები, ვიდრე 25-26 წ. სამაგიეროთ გაძლიერდა იმპორტი, რომელიც 650 ათ. ტონას უდრიდა. ეს მაშინ, როცა ინდოეთის ქარხნებს ყოველწლიურად შეეძლოთ 2 მილ. ტონის დამზადება. ამნაირად, ინგლისის იმპერიალიზმი დაუბრუნდა თავის წინანდელ პოზიციას: იგი სცდილობს ჩაკლას ინდოეთის მრეწველობა და ეს ქვეყანა თავის საწველ ფურად დასტოვოს.

* *

მრეწველობასთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ ინდოეთის მუშათა კლასის მდგომარეობას. სამრეწველო პროლეტარიატი ინდოეთში, ინდუსტრიის საერთოდ სუსტი განვითარების გამო, მცირერიცხოვანია; მისი რაოდენობა დაახლოებით უდრის 2.558 ათასს. გარდა ამისა ტრანსპორტზე მუშაობს 826 ათ. მუშა, ხოლო ნავთსადგურში 53 ათასი.

ინდოეთის პროლეტარიატს აუწერლად მძიმე პირობებში უხდება მუშაობა. მისი ხელფასი გაცილებით დაბალია ინდოეთში მყოფ ევროპიელ მუშებისაზე. ეს ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ინდოეთის სოფლის მოსახლეობის სიღარიბისა და გაჭირვების გამო, ქალაქს ეტანება გაღატაკებული გლეხობის უამრავი მასები, რომელნიც იძულებულნი არიან დამონებელ პირობებს დასთანხმდნენ; გარდა ამისა, ადგილობრივი მუშები უმეტესად მოკლებულნი არიან კვალიფიკაციას. ინდოელი ფეიქარი—მამაკაცი 11 საათის მუშაობისათვის ღებულობს 1 მან., ქალი ასეთი მუშაობისათვის—50 კაპ., ბავშვი—5 საათიან მუშაობისათვის—15—20 კაპ., მაგრამ ასეთ ხელფასს მთლიანად იშვიათად ღებულობენ ფართოდ გავრცელებულ ჯარიმების წყალობით. ჯუტის ფაბრიკებში მუშები კვირაში ღებულობენ 1 მან. 50 კაპ.—6 მანეთამდე (კვალიფიკაციის მიხედვით). ამასთან, მათთვის სავალდებულოა ფაბრიკებთან არსებულ სასადილოებში სადილობა, და ამ გზითაც ადმინისტრაცია ზედმეტად აძრობს ტყავს მათ. ამავე დროს ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ მუშებს ხელფასს თვეობით უგვიანებენ.

სხვათა შორის, აღსანიშნავია მუშათა საშინელი საბინაო პირობები. ჩვეულებრივ მათთვის კერძო პირებს ქალაქ გარეთ იჯარით აქვთ აღებული ბარაკები საკუჭნაოს მზგავსი ბნელი საკანებით (სამ მეტრამდე მოედნით თითო). მაგრამ ასეთი საკანის დაქირავებაც ერთ მუშას უძნელდება და ხშირი შემთხვევაა, რომ ასეთ საკანში რამოდენიმე ოჯახია მოთავსებული, გასაგებია, თუ როგორ შეიძლება ასეთ „ბინებში" ცხოვრება და რანაირი ანტისანიტარია და დაავადებანი იქნება იქ გამეფებული. ქრონიკული სიმშილი იწვევს მცხოვრებთა შორის სხვადასხვა ავადმყოფობათა გავრცელებას. დადასტურებულია მაგ., რომ ბომბეიში მუშათა შვილების 80 პროც. ერთი წლის ასაკში იხოცება.

უმუშევრობა საფაბრიკო მუშებს შორის ინდოეთში ბოლო დროს დიდად გაიზარდა, რაც დაკავშირებულია მრეწველობის დაქვეითების და კაპიტალისტურ რაციონალიზაციასთან. ამასთან, ოფიციალური სტატისტიკა „გაურკვეველ ხელობის" და „არასაწარმოო ხელობის" რუბრიკებში აღნიშნავს 11 მილ. კაცს. ეს უმთავრესად შავი მუშებია, რომელნიც ლუკმა პურისათვის ქალაქის ქუჩებში ალამებენ შემთხვევითი სამუშაოს საშოვნელად. ამას უნდა დაუმატოთ სოფლიდან მასიურად მომდინარე უმუშევარი გლეხები.

ამგვარი მდგომარეობა, თავის თავად ცხადია, იწვევს მუშათა კლასის გამწვავებულ ბრძოლას, რაც პირველ ყოვლისა გაფიცვებში იხატება. 1919 წ. ბომბეის ფეიქართა გაფიცვაში მონაწილეობდა 200.000 მუშა, 1920 წ. საგაფიცვო მოძრაობა მოედო 2 მილიონამდე კაცს, 1921 წ. 1.800.000-ს. გაფიცვების ტალღა ამის შემდეგ არ დამცხრალა. ბოლო ხანებში ჩვენ მოწმენი ვიყავით ფეიქართა და რკინისგზელთა გრანდიოზული ხანგრძლივი გაფიცვების. ამჟამად კი ინდოეთის მუშათა კლასი მთელ რიგ რაიონებში აჯანყების ხელმძღვანელად გამოდის.

* *

ეკონომიურად დამონებული ინდოეთი, რა თქმა უნდა, პოლიტიკურადაც უფლებაყრილია. ინდოეთი ინგლისის ყურ-მოჭრილ კოლონიას წარმოადგენს. მას განაგებს ინგლისელი გენერალ-გუბერნატორი (მეფის მოადგილე), რომელიც თავის მოქმედებისათვის პასუხისმგებელია მხოლოდ ინგლისის მთავრობის წინაშე. მართალია, ინდოეთში არსებობს „პარლამენტი", შემდგარი ორი პალატისაგან (სახელმწიფო საბჭო და საკანონმდებლო კრება), მაგრამ ის სრულ არარაობას წარმოადგენს. ჯერ ერთი, მისი წევრების საგრძნობი ნაწილი ინიშნება ინგლისის მთავრობის მიერ (სახელმწიფო საბჭოში 27 კაცი—60-დან, საკანონმდებლო კრებაში—40 კაცი 144-დან). მაგრამ ეს არაფერი. საკანონმდებლო დაწესებულებათა არჩევნებში მონაწილეობას იღებს ინდოეთის მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტი. გლეხობა, პროლეტარიატი და მათთან დაკავშირებული სოციალური ფენები მოკლებულნი არიან საარჩევნო უფლებას, რომლისათვის დაწესებულია დიდი ქონებრივი ცენზი. ამნაირად შემდგარ „სახალხო წარმომადგენლობის" ფუნქციებიც უკიდურესად შეზღუდულია. მას არა აქვს უფლება დამოუკიდებლად გამოიტანოს დადგენილება სამხედრო და საგარეო საკითხებზე, აგრეთვე ისეთ საკითხებზე, რომელნიც ეხებიან ქვეყნის შემოსავალს, რელიგიას და სხვ. შემდეგ: მეფის მოადგილეს მინიჭებული აქვს უფლება ვეტო დაადოს „პარლამენტის" ყოველგვარ გადაწყვეტილებას, თუ ის მიუღებლად მიაჩნია, და გაატაროს ამ „პარლამენტის" მიერ უკუგდებული წინადადებანი.

ასეთია მდგომარეობა ბრიტანეთის ინდოეთში, მაგრამ მეტი უფლებებით არ სარგებლობენ არც ადგილობრივი „სახელმწიფოებიც" (რომელთა რიცხვი რამოდენიმე ასეულს უდრის). მათ მმართველებთან (პრინცებთან) მიმაგრებულნი არიან ინგლისის მთავრობის რეზიდენტები, რომლებიც მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონები არიან.

* *

ინგლისის იმპერიალიზმის ასეთი განუსაზღვრელი ბატონობა, ერთი მხრით, განმტკიცებულია ეკონომიურ-ფინანსიურ ღონისძიებებით (ბრძოლა ადგილობრივ მრეწველობასთან კონკურენციის გზით, ვაჭრობის დაუფლება, მთელი საბანკო საქმის კონტროლი და სხვ.), მეორე მხრით—ძლიერი სამხედრო სისტემით (დიდი ფლოტი ინდოეთის ოკეანეში, ასეთივე საჰაერო ფლოტი ამ ქვეყანაში, მრავალ-რიცხოვანი ჯარი, სტრატეგიული სამხედრო გზები და სხვ.) მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ იქნებოდა საკმაო სამასი მილიონიანი ხალხის დასამორჩილებლად. ინგლისის იმპერიალიზმს მოკავშირეები ყავს თვით ინდოეთში. ვინ არიან ისინი?

პირველ ყოვლისა ის ურიცხვი პრინცები (მათი მომხრეებით), რომელნიც ადგილობრივი „დამოუკიდებელ" სახელმწიფოებს განაგებენ: ისინი თავიანთი არსებობის შესანარჩუნებლად დაინტერესებული არიან ინგლისის ბატონობის გაგრძელებით ინდოეთში. არა ნაკლებ უმაგრებენ ზურგს ინგლისელ იმპერიალისტებს ინდოეთის მსხვილი მემამულე-მოიჯარადრენი, რომელნიც ინგლისის ძალმომრეობის აპარატის საშუალებით ეწევიან მშრომელ გლეხთა და მოჯამაგირეთა ექსპლოატაციას. შემდეგ აღსანიშნავია რელიგიათა ხელმძღვანელი წრეები, რომელთაც უცხოელი და ადგილობრივი მოძალადენი მოხერხებულად იყენებენ მასების დასამორჩილებლად.

მაგრამ ამ აშკარად რეაქციონური ელემენტებით როდი ამოიწურება ინგლისის იმპერიალიზმის აგენტების ნუსხა, ინგლისის მთავარ დასაყრდენს ინდოეთის ბურჟუაზია წარმოადგენს. საქმე ის არის, რომ ამ ბურჟუაზიას ინდოეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლად მოაქვს თავი და ამით აბნევს მასების კლასობრივ შეგნებას და მათ თავის გავლენას უმორჩილებს. მართალია, ნაციონალური ბურჟუაზია უკმაყოფილოა ინგლისის პოლიტიკით, რომელიც მას მეტად ვიწრო სამოქმედო ასპარეზს ანიჭებს; ის მოითხოვს მეტ პოლიტიკურ და ეკონომიურ უფლებებს, მაგრამ, ცხადია, მხოლოდ თავისთვის და არა მშრომელთა სასარგებლოდ.

ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მოძრაობის ცენტრს წარმოადგენს ინდოეთის ნაციონალური კონგრესი, რომელიც აერთიანებს ყველა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ დაჯგუფებას. 1926 წლისათვის კონგრესს შემდეგი მთავარი პარტიები შეადგენდენ: ლიბერალები,—მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომელნიც იდგნენ ინგლისთან თანამშრომლობის საფუძველზე; ისინი გამოხატავდნენ იმ წრეების ინტერესებს, რომელნიც დაკავშირებული არიან ინგლისის კაპიტალთან. მათი პოლიტიკური იდეალია კონსტიტუციური გზით ინდოეთისათვის დომინიონის უფლების მოპოვება. დამოუკიდებელი ნაციონალური პარტია—თავისი პროგრამით ლიბერალების რადიკალური ფრთა, გამოხატავდა ბურჟუაზიის იმ ნაწილის ინტერესებს, რომელმაც რამდენიმედ თავი დაალწია ინგლისის კაპიტალის გავლენას, აგრეთვე შეძლებულ ხელოსნების ინტერესებს. მათი პროგრამა იყო—ადგილობრივ ბურჟუაზიის ხვედრითი წონის გადიდება ქვეყნის სიმდიდრისა და მშრომელთა ექსპლოატაციაში და „კანონიერი" საშუალებებით თვითმმართველობის შემოღება ინდოეთისათვის. სვარაჯისტები უმეტესად ბურჟუაზიის საშუალო ფენების წარმომადგენელნია. მათი პროგრამაა: თვითმმართველობა ინგლისის ფარგლებში, კონსტიტუციურ რეფორმების გაფართოება, პროვინციების თვითმმართველობა, მთავრობის მეტი პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე. ამ მიზნების მისაღწევად „ბრძოლის" მეთოდათ მათ აღიარეს საპარლამენტო ობსტრუქციების მოწყობა.

ეს პარტიები ამჟამად უკვე არ არსებობენ თავიანთი წინანდელი სახით. 1926 წ. (საარჩევნო კამპანიის წინ) დაარსდა ორი „ახალი" მთავარი პარტია. პირველი—კონგრესის პარტია, მეტ ნაწილად შესდგება ყოფ. სვარაჯისტებისაგან, რომელთაც სახელი გამოიცვალეს, რადგან თავის უმოქმედობით და ინგლისის იმპერიალიზმის წინაშე თანდათანი კაპიტულაციით გავლენა დაკარგეს ფართო წრეებში. სახე გამოცვლილი პარტია ფაქტიურად წინანდელ პოზიციაზე სდგას. მის მიერ მიღებული უკიდურესად შეკვეცილი „მემარცხენე" ბურჟუაზიული პროგრამა ქაღალდზე დარჩა და ის სულ უფრო ადგება ინგლისის მთავრობასთან თანამშრომლობის გზას (მაგ., მისი ლოიალური დამოკიდებულება საიმონის კომისიასთან, რომელსაც ინგლისის მთავრობისაგან დაკისრებული აქვს მასების მოტყუება რეფორმის შეპირებით). მეორე — ნაციონალური პარტია, შესდგა ლიბერალების და დამოუკიდებელთა ნამსხვრევებისა და სვარაჯისტების მემარჯვენე ნაწილისაგან. ეს პარტია აშკარად ქედს იხრის ინგლისის იმპერიალიზმის წინაშე.

მემარჯვენე ნაციონალისტების პოლიტიკამ და პრაქტიკამ, ერთი მხრით, ხოლო მეორეთი მასების რევოლიუციონური მოძრაობის ზრდამ კონგრესის შიგნით ბოლო დროს წარმოშვა „მემარცხენე" ფრთა, რომელიც უმთავრესად შესდგება წვრილ ბურჟუაზიისა და უმუშევარი ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან. მაგრამ თუ რამდენად მემარცხენეა ნამდვილად ამ ჯგუფის პროგრამა, ეს, სხვათა შორის, იქიდან სჩანს, რომ ის არ სცნობს საჭიროდ სამრეწველო და სოფლის პროლეტარიატის შეკავშირებას,—„მუშები და გლეხები ნაციონალურ მოძრაობაში თავიანთ კლასიურ ინტერესებს შეიტანენ"-ო.

ჩვენ ზევით მოკლეთ აღვნიშნეთ, რომ პროლეტარიატის და გლეხობის ბრძოლა ინდოეთში მწვავე ხასიათს ღებულობს. რაც უფრო ძლიერდება ეს ბრძოლა, მით უფრო ფრთხება ბურჟუაზია და აშკარად გადადის იმპერიალიზმის მხარეზე, რომ მასთან ერთად შესძლოს რევოლიუციონური მოძრაობის ალაგმვა. ნაციონალისტების აქტიური მონაწილეობით იქნა მიღებული სპეციალური კანონი რევოლიუციონური ორგანიზაციების წინააღმდეგ, რაც არსებითად მათი მუშაობის აკრძალვას მოასწავებს. ცნობილმა განდიმ (რომელსაც კონგრესში და ნაციონალურ მოძრაობაში შუათანა ადგილი უკავია მემარჯვენე და „მემარცხენე" ნაციონალისტებს შორის) 1928 წ. პროფკავშირების ერთ-ერთ კონფერენციაზე განაცხადა: „მე მასების უფრო მეშინია, ვიდრე მთავრობის"-ო. და თუ ინდოეთის ბურჟუაზიის ნაწილი ჯერ კიდევ გამოდის ქვეყნის დამოუკიდებლობის და სხვა რადიკალური ლოზუნგებით, ამას ის სჩადის მასების მისამხრობად, და ამ მასების გამოსაყენებლად თავის მიზნებისათვის და მუშათა და გლეხთა მოძრაობის ასაცდენად კლასიური ბრძოლის სწორ გზიდან.

* *

ინდოეთის ბურჟუაზიამ დაამტკიცა, რომ მას არ შეუძლია იყოს ქვეყნის განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური. ამ როლში უკვე გამოდიან მუშათა და გლეხთა მასები, რომელნიც იმპერიალიზმის მონობის დამსხვრევას უკავშირებენ თავიანთ კლასიური მიზნებისათვის ბრძოლას. სწრაფად იქმნება მუშათა და გლეხთა ორგანიზაციები. აქ პირველ ყოვლისა აღვნიშნავთ პროფკავშირებს. მათი წევრთა რიცხვი ინდოეთში 1929 წ. აღწევდა 300.000-მდე, ხოლო ერთი წლის განმავლობაში ის 60 ათასამდე გაიზარდა. ეს რიცხვი თავის თავად დიდი არ არის, მაგრამ მარტო რიცხვს არა აქვს მნიშვნელობა. პროფკავშირები ფართო გავლენით სარგებლობენ მათ გარეშე დარჩენილ მასებში, მაგ., ბომბეიში შეკავშირებულია მხოლოდ 65 ათ. მუშა, რომელთა მოწოდებას 700 ათასი მუშა აქტიურად ეხმაურება და გაფიცვებში ღებულობს მონაწილეობას პროფკავშირთა მეთაურობით. ასეთი სურათია მრავალ ადგილას. მაგრამ ამასთან არის ბევრი შემთხვევები, როცა პროფორგანიზაციები ნაციონალისტების და რეფორმისტების გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ბოლო ხანებში რევოლიუციონური პროფმოძრაობა ძლიერდება, რამაც, სხვათა შორის, გამოხატულება ჰპოვა ინდოეთის პროფკავშირების გ. წ. შემდგარ კონგრესზე; უკანასკნელის მიმართვაში მუშებისადმი ვკითხულობთ: „თქვენს წინაშე სდგას ძალაუფლების დაპყრობის ამოცანა. სანამ ძალაუფლება თქვენს ხელთ არ იქნება, თქვენ ვერ შესძლებთ თქვენი მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესებას", რა თქმა უნდა, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ კონგრესი მთლიანად დაადგა რევოლიუციონურ ბრძოლის გზას. ნაციონალისტური და რეფორმისტული გავლენა პროფკავშირებში ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია. მაგრამ მუშათა მასების გამემარცხენება, რაც ჩქარი ტემპით ხდება, აუცილებლად გამოიწვევს პროფკავშირების ნამდვილად მებრძოლ ორგანოებად გადაქცევას.

შემდეგ საჭიროა შევეხოთ მუშურ-გლეხურ პარტიას, რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინად იქნა ოფიციალურად დაარსებული. 1927 წ. გამოქვეყნებულ პროგრამაში ის აკრიტიკებს ნაციონალურ კონგრესს, რომელიც, მისი სიტყვებით, მოსწყდა მასებს და ემსახურება მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის ინტერესებს. პარტია აყენებს ლოზუნგებს არსებული მთავრობის დამხობის, ნაციონალური დამოუკიდებლობის მოპოვების და ძალაუფლების მუშებისა და გლეხებისათვის გადაცემის შესახებ. მუშურ-გლეხურ პარტიას აქვს პროვინციებში ადგილობრივი განყოფილებები., მის წევრებად, მუშებსა და გლეხებთან ერთად, არიან წვრილბურჟუაზიული და ინტელიგენტური ფენებიც (პარტიის კლასობრივი პროგრამა არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი). კერძოდ, გლეხებისათვის მიწის გადაცემის საკითხი მის მიერ ბუნდოვანათაა გაშუქებული. ალაგ-ალაგ ამ პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებში შემჩნეულია ნაციონალისტებთან დაახლოვება. ყოველივე ამის გამო მან ვერ შესძლო დღემდე გლეხობის აქტიური რევოლიუციონური დარაზმვა.

თავის თავად ცხადია, რომ ინდოეთის მშრომელთა განთავისუფლება გარეშე და შინაურ ექსპლოატატორებისაგან შესაძლებელია მხოლოდ კომპარტიის ხელმძღვანელობით. ინდოეთის კომპარტია დაარსდა საზღვარგარეთ (ინდოეთში მძვინვარე თეთრი ტერორის გამო) 1921 წ. პირველ წლებში ის იძულებული იყო თავისი მუშაობა უმთავრესად ლიტერატურულ პროპაგანდით შემოეფარგლა. ამავე დროს ინდოეთში ეწყობოდნენ არალეგალური კომუჯრედები. 1925 წ. შესდგა ინდოეთის კომუნისტების პირველი ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ 7 ათ. წევრის დელეგატები. ამის შემდეგ პარტია გაიზარდა, მაგრამ ის ჯერ კიდევ მცირერიცხოვანია. ინდოეთის კომუნისტებს უმძიმეს პირობებში უხდებათ მუშაობა. მიუხედავად ამისა კომპარტიის პოლიტიკური გავლენა დიდია. მთელ რიგ გაფიცვებში ის ხელმძღვანელ როლს თამაშობდა. ორგანიზაციულად კომპარტია, გარდა თავის უჯრედებისა, ემყარება, ერთი მხრით, მუშურ-გლეხურ პარტიას, მეორე მხრით—პროფკავშირებს, რათა მათ პროგრამას და მუშაობას უფრო მკაფიო კლასობრივი ხასიათი მისცეს. მისი მთავარი გეზი, რა თქმა უნდა, აღებულია საკუთარი რიგების გაძლიერებისაკენ, რომ დამოუკიდებელი ხელმძღვანელი როლი შეასრულოს ინდოეთის მასების ბრძოლაში. ინდოეთის მშრომელ მასების მდგომარეობა იმდენად აუტანელია, რომ კომპარტია რა მძიმეც არ უნდა იყონ მის წინაშე მდგარი დაბრკოლებანი, შეძლებს თავის გარშემო ამ მასების დარაზმვას და მათ წაყვანას გადამწყვეტ ბრძოლებისაკენ.

ზ. კ—ლი.

ქრონიკა

რიონჰესს ეწოდა ამხ. სტალინის სახელი

საკავშირო ს. მ. უ. საბჭომ დააკმაყოფილა რიონჰესის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრების თხოვნა რიონჰესისათვის ამხ. სტალინის სახელის მიკუთვნების შესახებ და დაადგინა რიონჰესს ეწოდოს: „ამხ. სტალინის სახელობის რიონჰეს-მშენებლობა“.

საზაფხულო პრაქტიკა

საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის დადგენილებით 1 ივნისიდან საზაფხულო პრაქტიკაზე იგზავნებიან ამიერ-კავკ. კომუნივერსიტეტის 1, 2 და 3 კურსის სტუდენტები. საზაფხულო პრაქტიკა გაგრძელდება 1 აგვისტომდე, ადგილებს დაეგზავნება დირექტივები, რათა პრაქტიკანტებს აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება. პრაქტიკანტები იმუშავებენ პარტიულ, კომკავშირულ, საბჭოთა და კულტურული ხაზით. საქართველოში იგზავნება 71 კაცი, სომხეთში—30, აზერბეიჯანში—49 კაცი.

ქალები საპასუხისმგებლო თანამდებობებზე საბჭოებში

ა.-კავკასიის ცაკი მანგლისში ხსნის სპეციალურ კურსებს, რომლებზედაც იმეცადინებენ ქალები. კურსდამთავრებულნი გაიგზავნებიან რაიონული აღმასკომების თავმჯდომარეებათ, ინსტრუქტორებად და სხვ.

სამუს. სასწ. მოწაფეთა ყრილობა

განსახკომის ხელოვნების და ლიტერატურის განყოფილების სამუსიკო სექტორის მიერ 23 მაისს, საღამოს 6 საათზე, სახ. კონსერვატორიის დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 8) მოწვეულია სრ. საქართველოს საშუალო და დაბალ საფეხურების სამუსიკო სასწავლებლების მოწაფეთა პირველი ყრილობა.

340.000 მანეთი საექიმო დახმარების გასაუმჯობესებლად

სამრეწველო რაიონებში მუშებისათვის საექიმო დახმარების გასაუმჯობესებლად, ჯანმრთელობის კომისარიატმა საკავშირო ფონდიდან დამატებით მიიღო 340.000 მანეთი.

ეს თანხა ჯანმრთელობის კომისარიატმა გაანაწილა შემდეგ სამრეწველო რაიონებს შორის: ჭიათურისათვის გადადებულია 90.000 მანეთი, აფხაზეთს მიეცა — 20.000 მ., ტყიბულს 150.000 მ. და თბილისს—70.000 მ.

ფიზკულტურის სტადიონი ვაკეზე

საქ. ცაკმა, პროფსაბჭომ და ა.-კ. ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრეს საკავშირო ცაკთან არსებულ ფიზკულტურის ცენტრალური საბჭოს წინაშე, რათა გადადებული იქნეს შესაფერი თანხა ვაკეზე დაწყებული ფიზკულტურის სტადიონის დასამთავრებლად.

სტადიონის დამთავრება გადაწყვეტილია 1930-31 წლის განმავლობაში.

მუშათა საბინაო პირობების გაუმჯობესება

საქართველოს ოლქებსა და მაზრებში მუშათა საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად შრომის სახ. კომისარიატმა გადასდო 493.795 მანეთი. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი აღმასკომები სრულ უმოქმედობას იჩენენ მუშათა საბინაო მშენებლობის ფონდის გასაძლიერებლად დაწესებულ ანარიცხების აკრების საქმეში, რაც აფერხებს მუშათა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის დასახულ ღონისძიებების გატარებას.

ბრძოლა ტეხნიკურ უშიშროებისათვის

წარმოებებში ტეხნიკურ უშიშროების დასაცავად და უბედურ შემთხვევებთან ბრძოლის გასაძლიერებლად, შრომის კომისარიატმა გადასწყვიტა წარმოებებთან მოაწყოს ტეხნიკურ უშიშროების ბიუროები. გარდა ამისა წარმოებებში ჩატარებული იქნება შესაფერი მოხსენებები უბედურ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

რადიოფიკაცია

გადაწყდა წელს რამდენიმე რაიონი გადაყვანილ იქნას მთლიან რადიოფიკაციაზე. პირველ რიგში მთლიანი რადიოფიკაცია გატარდება სამტრედიის რაიონში, სადაც უკვე მოწყობილია 120 სატრანსლაციო პუნქტი. გარდა ამისა ასეთივე პუნქტები წელს სოფლად მოეწყობა 3000 ალაგას. აგრეთვე სხვადასხვა რაიონებში დაიდგმება 30 მიმღები სადგური.

ჯანმრთელობის კომისარიატში

წარმოებებთან პირველ საექიმო დახმარების პუნქტების მოსაწყობად ჯანმრთ. კომისარიატმა გადასდო 28.000 მ.

შირაქის ნავთის მუშებისათვის ადგილობრივ გაიხსნა 5 საწოლიანი საავადმყოფო.

ახალი კადრები

◆ მოსკოვში არსებულ უმ. პროფსკოლაში საქ. პროფსაბჭო აგზავნის 20 კაცს.

◆ **კოოპერატიული კურსები.** თბილისში იხსნება უმაღლესი კოოპერატიული კურსები.

◆ **პიონერ-ინსტრუქტორთა** მოსამზადებლად მანგლისში მიმდინარე ზაფხულში გაიხსნება სპეციალური კურსები.

◆ **ფიზკულტურის დარგში** სპეციალისტების ახალი კადრების შესაქმნელად ამ.-კავკ. პროფსაბჭომ გადასწყვიტა თბილისში გახსნას სკოლა.

სხვადასხვა

◆ **ოთხშაბათს,** 21 მაისს, საღამოს 8 საათზე, სახ. უნივერსიტეტის სტომატოლოგიური კლინიკის ბინაზე შესდგება საქართველოს ექიმთა საზოგადოების ოდონტოლოგიური სექციის მორიგი კრება, რომელზედაც პროფ. მუხაძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „კანის გადანერგვა“ და ექ. ედიბერიძე—„ექსტრამანდიბულური ანესტეზია“.

ინტერნაციონალური კავშირის დამყარება

კაპიტალის ტყვეებთან

გუშინწინ საქ. რემედასის ცენტრალურ კომიტეტთან შესდგა რემედასის რაიკომების მდივნების თათბირი, რომლის დღის წესრიგში სხვა საკითხებს შორის, დასმული იყო საკითხი კაპიტალისტურ ქვეყნების ციხეებში გამომწყვდეულ რევოლიუციონურ პატიმრებთან ინტერნაციონალურ კავშირის დამყარების შესახებ.

აღნიშნული საკითხის შესახებ გამოსულმა მომხსენებელმა ამხანაგ **დ. ნახარიძემ** აღნიშნა, რომ სხვადასხვა ბურჟუაზიული ქვეყნების ციხეებიდან რემედასის ცეკას საშუალებით, რემედასის ცალკე ორგანიზაციები ღებულობენ დიდძალ წერილებს, რომლებშიაც უცხოელი რევოლიუციონური პატიმრები თხოულობენ, რომ შეატყობინონ მათ, როგორ სწარმოებს საბჭოთა კავშირში და მის სხვადასხვა კუთხეებში სოციალისტური მშენებლობა, რა მდგომარეობაშია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმე, რა უშლის ხელს სამრეწველო მშენებლობის ფართოდ განვითარებას, ასრულებენ თუ არა ფაბრიკა-ქარხნები საწარმოო გეგმებს და სხ.

უცხოელი პოლიტპატიმრები იუწყებიან, რომ მათთვის მატერიალურ დახმარებაზე უფრო ძვირფასია სრული ინფორმაციის მიწოდება საბჭოთა კავშირის მშრომელთა ახალი ყოფა - ცხოვრებისა და მთლიანად სოციალისტური მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ, რადგან მათთვის საჭიროა მეტი პრაქტიკული გამოცდილების და ცოდნის შეძენა.

მომხსენებელმა ამასთანავე განმარტა, რომ უცხოელი პოლიტპატიმრების ასეთი მასიური თხოვნა ჯერ-ჯერობით არ კმაყოფილდება და როდესაც რემედასის აქაური საშეფო უჯრედები უგზავნიან წერილებს შეფობის ქვეშ აყვანილ ციხეების პოლიტპატიმრებს, არ სწერენ თუ კონკრეტულათ რა მიღწევებს აქვს ადგილი, რა ხასიათის დაბრკოლებათა გადალახვა უხდება ჩვენ მუშათა კლასს ახალი ცხოვრების დასამყარებლათ დაწყებულ ბრძოლაში, როგორ სწარმოებს სოციალისტური მეჯიბრება, რა გარდატეხას აქვს ადგილი მშრომელთა ყოფა - ცხოვრებაში და სხვა.

თათბირზე გადაწყდა ჩატარებულ იქნას ახსნა-განმარტებითი კამპანია რემედასის უჯრედებში და მიეცეს მათ დავალება, რომ უცხოეთის პოლიტპატიმრებისათვის გაგზავნილი წერილები იწერებოდეს კონკრეტიული ფაქტების ჩამოთვლით და შეცდომათა თუ მიღწევათა დაუფარავათ.

საქ. სახკინმრეწვის ფაბრიკის გასაფართოებლად შენდება ახალი შენობა

ხელოვნება

სომხური სახ. დრამის სეზონის შედეგები

სომხური სახ. დრამის წარმოდგენები თბილისში დამთავრდა 14 მაისს, სეზონის დახურვისათვის დადგმულ იქნა ბაღათუროვის პიესა „სასამართლო“.

გასულ სეზონს შეიძლება გაუკეთოთ ზოგიერთი შედეგები. სეზონის დამახასიათებელი (და ამავე დროს ნაკლიც) ის იყო, რომ პიესების რიცხვი მეტად მცირე იყო. სულ რუსთაველის თეატრში გაიმართა 27 წარმოდგენა. დადგმულ პიესებს შორის ყველაზე მეტი წარმატება ხვდა მარგარიანის პიესას „საათ-ნოვა“-ს (დაიდგა 5 ჯერ), შემდეგ მოდის ბაღათუროვის „სასამართლო, ნიკიფოროვის „ფანართან“ (დაიდგა 4-4 ჯერ), „ახრაკუმა“ (დაიდგა 3-ჯერ). დანარჩენი პიესები დაიდგა თითო ორ-ორ ჯერ.

სულ დაიდგა 11 პიესა. 6 თვისათვის, რომლის განმავლობაშიაც გაგრძელდა სეზონი, პიესების ეს რიცხვი უეჭველად უმნიშვნელოა, ახალი პიესა დაიდგა სამი „ახრა-კუმა“, „სასამართლო“. ორივე ეს პიესა იდეოლოგიურად მისაღებია და „შულერი“—ძალზე გაშარჟებული ფარსი-სატირა. ამავე დროს მიმდინარე სეზონის დრამატიულ ლიტერატურაში შეიძლებოდა გვეპოვა მთელი რიგი პიესები, რომელთა გაცხობა ადგილობრივი სომხური მოსახლეობისათვის დიდად სასურველი იყო.

სარეჟისორო ნაწილი გამოცდილ და მცოდნე რეჟისორ ბურჯალიანის ხელში იყო და სათანადო სიმაღლეზე იდგა. დასი სანახევროდ შესდგებოდა ძველი გამოცდილი მსახიობებისაგან. მათ შორის იყვნენ სახ. მსახიობი ალიხანიანი, დამს. მსახ, არმენიანი, ცოლქმარი ბეროიანები, გალუსტიანი, დურიანი მამიკონიანი. ხოლო მეორე ნახევარი შესდგებოდა ახალგაზრდა მსახიობებისაგან, რომელთა შორის იყვნენ: არამ ხოსროევი, გუკასიანი, ლუსინიანი, მოჩორიანი, სებარი და სხვ. ახალგაზრდა მსახიობებს აქვთ თავიანთი კარგი მხარეები, მაგრამ განსაკუთრებული ნიჭის პატრონი მათ შორის ჯერ-ჯერობით არ აღმოჩენილა. შეიძლება უსაყვედუროთ თეატრის ხელმძღვანელებს იმაში, რომ მათ სათანადოთ ვერ გამოიყენეს ზოგიერთი უფრო ნიჭიერი მსახიობი, კერძოდ შეგვიძლიან მიუთითოთ იმაზე, რომ ასეთი გამოცდილი მსახიობი, როგორიც არმენიანია, მთელი სეზონის განმავლობაში თითქმის უსაქმოდ იყო.

რუსთაველის თეატრის გარდა თეატრი წარმოდგენებს მართავდა მუშათა კლუბებშიაც და 20-ზე წარმოდგენა დადგა მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

სომხურმა დრამამ უნდა შესძლოს მომავალ სეზონისათვის თანამედროვეობისათვის უფრო მისაღებ და მხატვრულადაც მაღალი ღირსების პიესების შერჩევა და მსახიობთა უფრო მიზანშეწონილი გამოყენება.

ა. დ.

ხელოვნების ქრონიკა

ბაქოს თურქული დრამის გასტროლები თბილისში

23 მაისს, თბილისში საგასტროლოდ ჩამოვა ბაქოს თურქული მუშათა თეატრი, რომელიც წარმოდგენებს გამართავს რუსთაველის თეატრში. პირველი წარმოდგენა გაიმართება 26 მაისს. წარმოდგენილი იქნება აბდულჰაკ-ჰამიდის პიესა „ინდოეთის ასული“.

— **სიმფონიური კონცერტი.** დღეს, 21 მაისს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება სიმფონიური კონცერტი ახალგაზრდა კომპოზიტორ **გ. კილაძის** ნაწარმოებთაგან. კონცერტში მონაწილეობენ სახ. ოპერისა და რუსთაველის თეატრის ორკესტრები და სახ. კონსერვატორიის საუკეთესო ძალები.

„ავტოგზა“-ს მეორე ლატარია

საკავშირო სახკომსაბჭომ ნება დართო საზოგადოება „ავტოგზა“-ს მიმდინარე წლის განმავლობაში მოაწყოს მეორე ლატარია. „ავტოგზის“ მეორე ლატარიაში გამოშვებული იქნება სულ 6.000.000 ბილეთი, თითო 50 კაპ. ღირებულებით. ლატარიის ბილეთები დაყოფილი იქნება 4 თანრიგად. თვითეული თანრიგის მოგებანი გათამაშებული იქნება ცალ-ცალკე ტირაჟში. ტირაჟები ჩატარდება ლენინგრადში, ხარკოვში, ნიჟნი ნოვგოროდში და მოსკოვში. სულ გათამაშებული იქნება 10.030 მოგება 430.600 მანეთის რაოდენობით. სხვათა შორის, გათამაშებული იქნება 50 ცალი ფორდის სისტემის ავტომობილი, 50 ცალი მოტოციკლეტი, 16 ცალი მოტორიანი ნავი, 1.500 ველოსიპედი, 2 გლისერი, ჰაერომარხილი და სხვ.

„ავტოგზის“ მეორე ლატარიის ბილეთების გასაღება დავალებული აქვს სახ. ბანკს, შემნახველ სალაროებს და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს.

მოგებების ნაცვლად მომგებს შეუძლია მიიღოს ფული ან იმავე ღირებულების სას.-სამ. მანქანა-იარაღები.

ბინების გამცვლელ საშუამავლო ბიუროში

თბილისის აღმასკომთან არსებულ საშუამავლო ბიუროში, რომელიც ბინების გაცვლის საქმეს აწარმოებს, მარტისა და აპრილის განმავლობაში ბინების გაცვლის შესახებ შემოვიდა 1315 განცხადება. აქედან 85 მოქალაქე ბინის გადაცვლას თხოულობდა სამსახურის გამოცვლის გამო, 196—სამსახურის ადგილთან დაახლოებისათვის; 595 კაცი საცხოვრებელ ფართობის შემცირებისა და სივიწროვის გამო. 15—ქორწინების გამო, 36 მდგმურებთან უკმაყოფილებისათვის და სხვ.

შემოსულ განცხადებებიდან ბიურომ დააკმაყოფილა მხოლოდ 215 მთხოვნელი. აღსანიშნავია, რომ ბიუროს მუშაობას ხელს უშლიან სახლთმფლობელნი, რომელნიც დროზე არ იძლევიან განმარტებებს, ან სრულებით უარს აცხადებენ ბინის გაცვლაზე.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა გაითვალისწინა ეს გარემოება და ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებულ კანონის თანახმად დაადგინა პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი ის სახლთმფლობელნი, რომელნიც უსაფუძვლოდ შეაჩერებენ საშუამავლო ბიუროს მიერ აღრიცხულ ბინების გადაცვლის საქმეს.

სასამართლო

თანაბრად სჭამდენ, თანაბრადვე მიეზღოთ

ყველაფერი რიგზე იყო ამიერ - კავკასიის სატრანსპორტო - სამომხმარებლო საზოგადოების № 7 მაღაზიაში, მაგრამ საქმე აიწეწ-დაიწეწა მას შემდეგ, რაც ამ მაღაზიის გამგედ დანიშნეს ივანე სარქისოვი.

რა აუცილებლობას წარმოადგენდა მაინცა და მაინც ყოფილი ვაჭრის დანიშვნა მაღაზიის გამგედ, ჩვენ არ ვიცით. რატომღაც გამგეობამ უკეთესი კანდიდატი ვერ მოძებნა კოოპერატივის გამგის თანამდებობაზე. ალბად, „ბებიამ“ ითამაშა გადამწყვეტი როლი.

ასე იყო თუ ისე, სარქისოვმა ჩაიბარა № 7 მაღაზია. გაქექილმა ვაჭრმა მაშინვე აიღო კურსი „გამოსადეგ“ ნოქრის მომადლიერებაზე.

ასეთი კი აღმოჩნდა **დიმიტრი მაქსიმეს ძე** ლოლუა. ლოლუა, ცხადია, ყოველმხრივ ცდილობდა ახალი გამგის მომადლიერებას. ასე რომ ერთმანეთისადმი ასეთმა ლტოლვამ გასდო მეგობრობის ხიდი მათ შორის.

ლოლუა დააწინაურა სარქისოვმა. უწოდა მას გამგის თანაშემწე, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი თანამდებობა წესდებით არ იყო გათვალისწინებული.

გამგეს და თანაშემწეს გაუჩნდათ საიდუმლო სალაპარაკო. ნამუსი ინახებოდა მტკიცედ.

შეთანხმება იყო მიღწეული იმ მხრივ, რომ ორთავეს ყოველივე ზომები უნდა მიეღო არევ-დარევის შესატანად, როგორც ანგარიშწარმოებაში, ისე ვაჭრობის საქმეში. საერთო არევ - დარევა მათ საშუალებას მისცემდა გაუმჟღავნებლად ეკეთებიათ კომბინაციები.

ისინი მტკიცედ ინახავდნენ ნამუსს, ანიავებდნენ კოოპერატივის ქონებას, ადგენდნენ ყალბ საბუთებს და „გამორჩენას“ თანაბრად ინაწილებდნენ.

ასე გრძელდებოდა გასული წლის ბოლომდე. არ უშველა საქმეს ხელოვნურად გამოფხებულმა ქაოსმა. მართალია, ბევრი რამ გაურკვეველი და აღმოუჩენელი დარჩა რევიზიისათვის, მაგრამ ის, რაც აღმოჩნდა, საკმარისი საბაბი იყო გამგისა და თანაშემწის გამ[illegible]. ყალბი საბუთებისა და სხვადასხვა კომბინაციების საშუალებით მათ აღმოაჩნდათ გაფლანგული ექვსი ათას მანეთამდე.

გამფლანგველები გაასამართლა თბილისის გაერთიანებულმა სასამართლომ ამხ. ცერცვაძის თავმჯდომარეობით.

სარქისოვს და ლოლუას მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ექვს-ექვსი წლით სასტიკი იზოლაციით. მათვე დაეკისრათ გაფლანგული თანხის ანაზღაურება.

გერ.

ტრამვაის კატასტროფა

ავჭალის მოედნის და საბჭოთა ქუჩის კუთხეში მოხდა ტრამვაის კატასტროფა: ვაგონი გადაბრუნდა და დაიმტვრა. — გარდაიცვალა ერთი მგზავრი, მძიმედ დაშავდა 6

კატასტროფის ადგილზე

როგორ მოხდა კატასტროფა

გუშინ, დაახლოებით დილის 11 საათზე ავჭალის მოედნის და საბჭოთა ქუჩის კუთხეში დაიმტვრა ტრამვაის ვაგონი მარშრუტი № 17.

ვაგონი, რომელიც ბრუნდებოდა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტიდან, მოდიოდა ნორმალური სისწრაფით, მაგრამ როცა ყოფ. თამბაქოს ფაბრიკას მიუახლოვდა, ვატმანმა ერთბაშად გააძლიერა სისწრაფე.

ყოფ. თამბაქოს ფაბრიკიდან გზა ძალზე დაქანებულია, ასე რომ ვაგონის სისწრაფე ბუნებრივად გაორკეცდა, რის გამო ვაგონმა ისეთი ქანაობა დაიწყო, რომ მგზავრები სკამებიდან გადმოცვივდნენ.

შეშინებულმა მგზავრებმა ასტეხეს კივილი, მაგრამ ვატმანმა ველარ შესძლო ვაგონის შეჩერება. ვაგონიდან გადახტა ორი სტუდენტი, რომლებიც უვნებლად გადარჩნენ.

არაჩვეულებრივი სისწრაფით დაქანებული ვაგონი ავჭალის მოედნის და საბჭოთა ქუჩის კუთხესთან, სადაც გზა ერთბაშად უხვევს, აცდა ლიანდაგს და ულიანდაგოთ პირდაპირ გადასრა საბჭოთა ქუჩა.

ვაგონმა ულიანდაგოთ გაიარა 41 ნაბიჯის მანძილზე და ქუჩის იქითა მხარეს მდებარე აფთიაქის წინ, ფილაქანთან გადაბრუნდა.

ვაგონი დავარდა მარცხენა გვერდზე და სრულებით დაიმსხვრა.

კატასტროფის დროს სასიკვდილოთ დაშავდნენ **ტასო მჭედლიშვილი, მარიამ ბექურაშვილი, მაშო მძინარაშვილი, ივანე და მარიამ მეხაშიშვილები და არშაკ მანუკოვი.**

ერთი მგზავრი ახალგაზრდა ქალი **ალექსანდრა ვაშაყმაძე** სრულიად დაჩეჩქვილი ამოიყვანეს ვაგონის ნამსხვრევებიდან, რის შემდეგ იქვე გარდაიცვალა.

დაშავებულთა შორის მძიმე მდგომარეობაშია ტასო მჭედლიშვილი, რომელიც სისხლს ანთხევს.

ყველა დაშავებულნი მოთავსებულნი არიან რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში, კამოს სახ. საავადმყოფოში და ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოში. ამ უკანასკნელში გადაიგზავნა ვაშაყმაძის გვამიც. ვაშაყმაძე სოფლიდან იყო ჩამოსული საექიმოდ.

კატასტროფის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ მილიციის უფროსი ამხ. **ხმალაძე**, პროკურორი ამხ. **თენეიშვილი** და ხელისუფლების სხვა წარმომადგენელნი.

რამ გამოიწვია კატასტროფა

მეორე უბნის გამომძიებელმა **ი. ადამიძემ** რომელმაც მაშინვე დაჰკითხა მგზავრების გადარჩენილ ნაწილს და ვატმანს, კატასტროფის გამომწვევ მიზეზების შესახებ განაცხადა შემდეგი:

სწორედ იმ ადგილიდან, საიდანაც ვატმანმა გააძლიერა სისწრაფე, გზა ძალზე დაქანებულია, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო სისწრაფის განვითარებას.

ვატმანი რომ გამოცდილი ყოფილიყო, ის არა თუ განავითარებდა სისწრაფეს ასეთ გზაზე, არამედ შეანელებდა ვაგონის მსვლელობას და მუხრუჭსაც დროზე გამოიყენებდა, მაგრამ ვატმანი ასე არ მოიქცა.

როგორც ვატმანის დაკითხვიდან ირკვევა, მას უნდოდა ვაგონის მსვლელობა საბჭოთა ქუჩაზე ჩამოსვლისას ელექტრონის გამთვისებლის დაკეტვით შეენელებია, მაგრამ მთელი სისწრაფით დაქანებული ვაგონი ამ საშუალებამ ველარ შეაკავა და მოსახვევთან ვაგონი ლიანდაგს ასცდა.

ვატმანს საკმაო დრო ჰქონდა იმისათვის, რომ მოსახვევამდე ვაგონი დაემუხრუჭებია, მაგრამ ეს საშუალება მან ვერ გამოიყენა, რაც უნდა მიეწეროს მის დაბნევას და გამოუცდელობას.

კომისიის დასკვნა

კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად დაუყოვნებლივ შესდგა კომისია, რომელშიაც შედიოდა შრ. კომისარიატის შრომის დაცვის ტეხნიკურ სექციის გამგე ინჟ. **ზანევსკი**, ტრამვაის ორი ინჟენერი, ტრამვაის სპეციალისტი მუშები და გამომძიებელი **ი. ადამიძე.**

კომისიის დასკვნით, ვაგონის მუხრუჭები და სხვა ტეხნიკური მოწყობილობა არ ყოფილა დაზიანებული.

კატასტროფა გამოწვეულია ვატმანის გამოუცდელობით და დაუდევრობით.

ვატმანის ვინაობა

ვატმანი **პავლე ბალახაშვილი** მიმდინარე წლამდე 5 წლის განმავლობაში ტრამვაის დარაჯათ მსახურობდა.

ის ვატმანათ გადაყვანილ იქნა 1930 წლის იანვრიდან.

მიუხედავად ასეთი მცირე სტაჟისა, დირექცია მას ხშირად აგზავნიდა ისეთ სახიფათო გზებზე სამუშაოდ, როგორიცაა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში მისასვლელი გზა.

საერთოდ ასეთ გზებზე უნდა მუშაობდნენ გამოცდილი და დიდი ხნის სტაჟიანი ვატმანები.

პავლე ბალახაშვილი 46 წლისაა. მისივე განცხადებით, თავისუფალ დროს უყვარს ღვინის სმა.

ბალახაშვილი არც ფსიქიურად ყოფილა შემოწმებული, რაც აგრეთვე დაუშვებელია. ბალახაშვილი დაპატიმრებულია.

სწარმოებს კატასტროფის გამომწვევ მიზეზების დაწვრილებით გამოძიება.

თადარიგის მეთაურთა საყურადღებოთ

თადარიგის უფროსშემადგენლობის პირნი, რომლებიც გამოწვეულნი არიან გადასამზადებლად, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ სამხედრო კომისარიატში შესამოწმებლად ქვემოაღნიშნულ დროს. მორიდებულნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

23 მაისს დილის 9 საათზე: გ. აროშანოვი, დ. გულუა, ტ. ლუთიძე, გ. ისაევი, ე. მაქსიმოვი, გ. სუზანჯიანი, პ. ჯვარელიშვილი, გ. ნაფარიძე, ა. აგაზეკოვი, ვ. კუბანცევი, მ. ყიფშიძე, ლ. სვანიძე, პ. წიწუაია, ს. ბადინოვი, ვ. ცხირავაშვილი, ვ. ნოვოსელსკი, მ. ვოლოშანოვიჩი, შ. ვაჩნაძე, პ. ჩხიკვაძე, ა. ჯაბადარი, ა. კალანდაძე, ნ. ნამიჩეიშვილი, დ. სტეფანიშვილი, დ. ანტონი, ი. მახარაძე, ნ. ზარამიძე, ვ. ფირალოვი, გ. ალხაზიძე, ძ. ვაისერმანი, ლ. მანუჩაროვი, ვ. ყანჩაველი. პ. ჩირქეზოვი, რ. პაშაევი, ა. აგაჯანოვი, ძ. კუპლორია, ი. კუშიტაშვილი, კ. მაჭავარიანი და ი. მიქელაძე,

24 მაისს, დილის 9 საათზე: ა. შეწველია, ი. დოლიძე, ნ. კომოსნიძე, ა. ვაჩნაძე, ხ. ლაშხია, ა. ადეიშვილი, ს. სტეფანიანცი, ს, ურუშაძე, შ. პაპავა, პ. იოსელიანი, გ. სახოკია, ა. გრიგოლია, კ. რუხაძე, ა. დათიკაშვილი, ნ, ლუკაშვილი, გ. ალშიბაია, ს. ფირცხელაური, ი. ლუზინი, კ. შუბლაძე, ძ. დუბენკო, ს. სტანიშევსკი, ე. კოჩინევი, გ. სარქისიანი, ბ. ეომილაევი, ა. ჯანიაშვილი, ა. კაკაბაძე, ძ ღლონტი, მ. დადიანი, ი. აბზიანიძე, ვ. სხულუხია, გ. ჩხეიძე, დ. იოსელიანი, ი, სადამონ-ერისთავი, ა. სანიკიძე, დ. ჩუბარია, ა. ტატულოვი, გ. ბაბანასოვი და კ. მელენინ-უხუცესი.

შემთხვევები

ტრამვაის მსხვერპლი

ბრძოლის ქუჩაზე, მაუდის ფაბრიკის მახლობლად ტრამვაის ვაგონმა (მარშრუტი № 13), რომელსაც მართავდა ვატმანი გორელაშვილი, გაიტანა ჰასან კიროპჩან-ოღლი. ტრამვაიმ მას გადასჭრა ორივე ფეხი. ვატმანი შეიპყრეს,

დაშავება

ხილიანის ქუჩაზე ცხენს მიაჭენებდა მიხეილ მახარაშვილი. ცხენი დაეტაკა 3 წლის ბავშვს მიშა არტემის ძე მაჭავარიანს და სასიკვდილოთ დაშავა. მახარაშვილი დაპატიმრებულია.

უპატრონო ბავში

[illegible] ქუჩაზე № 1 სახლის [illegible] იპოვეს ახლად დაბადებული ბავში, რომელიც გადაიგზავნა უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში.

ვისია ნივთები?

შეიპყრეს ქურდი-რეციდივისტი ივანე ივანეს ძე ლეოპარდი. მას თან აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთები: კაცის და ქალის პალტოები, სხვადასხვა ტანისამოსი, ხორცის საკეპი მანქანა და სხ. პატრონმა უნდა მიმართოს სისხლის სამართლის პოლიციაში ამხ. გვენცაძეს (ოთახი № 7).

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის და მაესტრო ნენაროკოვის მატჩი

მეშვიდე პარტია

მატჩის მეშვიდე პარტიაში მეფის პაიკის დებიუტის წინააღმდეგ გოგლიძე შავებით ირჩევს სიცილიურ პარტიის ერთ-ერთ გაგრძელებას, სახელდობრ, შვენინგენის სისტემას. ეს დაცვა, მეფის პაიკის დებიუტის წინააღმდეგ საუკეთესოთ ითვლება, განსაკუთრებით მაშინ, თუ შავებს არ სურთ თამაში ყაიმზე. ამ დებიუტით გათამაშებულ პარტიების 90 პროც, მაინც, ყველა შედეგიანია. ჩვეულებრივად ამ დაცვის დროს თეთრები თამაშის მთელ გეგმას მოწინააღმდეგის მეფეზე იერიშის მიტანაზე აგებენ, იმ დროს, როდესაც შავები თამაშს აწარმოებენ ლაზიერის ფრთაზე და ცენტრში, სადაც მათ აშკარა უპირატესობა აქვთ.

ამ პარტიაში ნენაროკოვი ირჩევს სულ სხვა გეგმას, იგი უარს ამბობს მეფეზე იერიშის მიტანაზე და თვითონაც თამაშობს ცენტრში, რომლის შედეგათ გოგლიძე დებიუტშივე ღებულობს რამოდენიმეთ უკეთეს მდგომარეობას. თამაშის შემდეგ პროცესში ნენაროკოვი უბრუნდება ამ დებიუტის ძირითად იდეას და ცდილობს იერიში განავითაროს მეფის ფრთაზე, რისთვისაც სწევს წინ ერთ-ერთ პაიკს. მაგრამ, როგორც ეს გოგლიძის შემდეგ თამაშიდან ირკვევა, ეს სვლა არ იყო კარგი. გოგლიძე მთელ რიგ ძლიერ და ზუსტ სვლებით ხელთ იგდებს ინიციატივას და ჩქარა ღებულობს დიდ უპირატესობას ფიგურების განწყობაში, რის შემდეგაც პარტიის მოგება მხოლოდ დროის საკითხი იყო.

მაგრამ ამ დროს გოგლიძე მოულოდნელად იწყებს ძალზე სუსტ თამაშს. ხანგრძლივ მოფიქრების შემდეგ (1 საათი) იგი მიდის ლაზიერის გაცვლაზე, რაც შეცდომა იყო. ამის შემდეგ მოგების შანსები მას მეტად უმცირდება. შემდეგში სრულიად უხალისო თამაშით ის უფრო და უფრო იუარესებს მდგომარეობას და ბოლოს არც კი ირჩევს პარტიის გადამრჩენ ვარიანტს (მხედრის შეწირვა 3 პაიკში) და მალე პარტიას სთმობს. მატჩის მდგომარეობა მეშვიდე პარტიის შემდეგ ასეთია: +3—3=1,

დღეს, 21 მაისს, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში საღამოს ზუსტ 6 საათიდან გათამაშდება მატჩის მერვე პარტია. გოგლიძე თამაშობს თეთრებით.

ფ—ლი.

რკინის გზეზე

სასოფ.-სამ. პროდუქტების გადაზიდვის გასაადვილებლად

ჩვენი გაზეთის 16 მაისის ნომერში მოთავსებული იყო ამიერ - კავკასიის და საქართველოს სახ. კომისართა საბჭოების დადგენილება გლეხობისათვის თავიანთი მეურნეობის პროდუქტების გასაღების გაადვილების შესახებ.

ამ.-კავკასიის რკინის გზაზე უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები ხსენებულ დადგენილების განსახორციელებლად.

დირექციის მიერ გზის ადგილობრივ ორგანოებს მიცემული აქვთ წინადადება, რომ არ შეუშალონ ხელი გლეხებს სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების გადაზიდვაში.

ნებადართულია სახალხო მატარებლებში ხელით წაღება სასოფლო მეურნეობის ყოველგვარი ნაწარმოების, როგორიცაა: პური (ხორბალი, ფქვილი, გამომცხვარი), ყველი, კარაქი, ერბო, კვერცხი, თაფლი, რძე, ფრინველები, ხორცი, თევზეული, ბოსტნეული, ღვინო, ხილი, ბრინჯი და სხვა.

ყველა ამ პროდუქტების წაღება შეიძლება 35 კილოგრამის (2 ფ. 7 ნახევარი გირვანქა) რაოდენობით თითეულ მგზავრზე, გარდა ბრინჯისა; უკანასკნელის წაღება ნებადართულია მგზავრზე ათი კილოგრამის (25 გირვანქა) რაოდენობით.

მეცნიერება და ტეხნიკა

ახალი კაუჩუკოვანი მცენარე

სამხრეთ-კალიფორნიაში და ფლორიდაში (ამერიკა) წარსულ წელს მოაწყვეს კაუჩუკოვან მცენარის—ინტიზის პლანტაციები (ინტიზი—კუნძულ მადაგასკარიდან გადმოიტანეს). ეს მოკლებულია ფოთლებს და ძლიერ განვითარებული ფესვების სისტემა აქვს, რის გამო ძლიერ მშრალ ადგილებშიც კი იზრდება. ინტიზი დიდძალ კაუჩუკს იძლევა, რის გამო ინტიზის ბუჩქნარის ტყეები მადაგასკარზე მტაცებლურად გაანადგურეს. კაუჩუკის ექსპორტი მადაგასკარიდან 50.000 გრ. (1091 წ.) უკანასკნელ წლებში 1 მილიონ გირვანქამდე გაიზარდა.

სანთელი მცენარეებიდან

ე. წ. თაფლის სანთლის მოხმარება სამრეწველო მიზნებისათვის ყოველწლიურად იზრდება. მას ხმარობენ გრამოფონის ფირფიტების, ლაქების, ლინოლეუმის და სხვ. დასამზადებლად. თაფლის სანთლის სიძვირემ და საერთოდ მისმა ნაკლებობამ საჭირო გახადა ნედლეულის სხვა წყაროების გამოძებნა. ჩრდ. ამერიკაში შეუდგნენ თაფლის სანთლის დამზადებას მცენარე „კანდელილიადან“, რომელიც მრავლად იზრდება ტეხასის მთებში. სანთელს მცენარიდან იღებენ შინამრეწველური წესით და მიღებულ ნედლეულის გადასამუშავებლად აგზავნიან ფაბრიკებში. მცენარის სანთელი ხარისხით არ ჩამოუვარდება საუკეთესო ღირსების თაფლის სანთელს.

ალიუმინი ლეიციტიდან

ამჟამად ალიუმინს თითქმის ყველგან ამზადებენ ე. წ. ბოქსიტიდან (თიხის ერთ-ერთი სახე). მაგრამ ბოქსიტის ბუდობები უმთავრეს ქვეყნებში არც ისე დიდია და, გარდა ამისა, ჩქარა იწურება. ასე მაგალითად, შეერთ. შტატები, რომელსაც 1928 წ. ეკუთვნოდა ალიუმინის მსოფლიო წარმოებები 50 პროც., (110 ათასი ტონა 227 ათას ტონიდან), იძულებული გახდა უცხოეთში შეეძინა 400.000 ტონა ბოქსიტი. გერმანიაც უცხოეთში ყოველწლიურად იძენს 500.000 ტ. ბოქსიტს.

იტალიაში ამჟამად შენდება დიდი ალიუმინის ქარხანა, რომლის აგება განზრახულია მიმ. წლ. დამლევისათვის. ეს ქარხანა ალიუმინის მისაღებათ გადაამუშავებს არა ბოქსიტს, არამედ ლეიციტს (თიხის ერთ-ერთი სახე), რომელიც მრავლად მოიპოვება ვულკანურ ფენებში. ლეიციტის გადამუშავება მით უფრო ხელსაყრელია, რომ მისგან ალიუმინთან ერთად კალიუმიც მიიღეს.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 21 მაისი

დილით 8 ს. 30 წ.—9ს. 30 წუთამდე ქალაქის სატრანსლაციო ქსელით გადაცემული იქნება. მუშათა შუადღე, რომელსაც აწყობს ს.კ.ა.ს. კულტგანყოფილება. ახალი ამბები და კონცერტი.

საღამო 10 კილოვატიანი რადიო-სადგურის საშუალებით 18 ს.—18 ს. 40 წ. ნაშუადღევის მუსიკალური დასვენება. 18—40—19—20 პიონერისა და მოწაფის საათი „როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ ჩვენი ძმები პიონერები მთელს მსოფლიოში“ ქართულ და რუსულ ენებზე. 19—20—20 რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე. 20—20-25 დაუსწრებელ კომუნივერსიტეტის ლექცია რადიოთი „თვითგანვითარების ტეხნიკა“ ქართულ ენაზე, დროს შემოწმება. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები. რეკლამა. 20-25—21—5 რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე. 21—10—23—40 კონცერტი ისტორიული ციკლიდან „ბოროდინი, როგორც საოპერო და სიმფონიური კომპოზიტორი“. ანტრაქტებში რეკლამა. 23—40—42 უკანასკნელი ცნობები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომუნარის სახ. რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 21 მაისს, დღის 4 საათზე, რაიკომის შენობაში (კახეთის ქ. № 1, 3 სართული) მოწვეულია **26 კომუნარის სახ. რაიონის უჯრედების მდივნების თათბირი.**

დღის წესრიგშია—ფაბქარხკომების გადარჩევის შესახებ.

ყველა მდივნების დასწრება აუცილებელია.

—:—

დღეს, 21 მაისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა სასახლის შენობაში (ოთახი № 17) შესდგება თათბირი ს.ს.პ.ი.-ს გარეშე მუშაობის შესახებ. დასწრება პროფკომების ინსტიტუტს გარეშე მომუშავეთათვის, საბჭ. სავაჭ, მუშაკთა სექციების მუშაკებისათვის, ქარხნებში წრეების ორგანიზატორებისათვის სავალდებულოა.

საქართველოს ცაკის სამდივნო სთხოვს მ. პაპულაშვილს უახლოეს დროში გამოცხადდეს ცაკში მეტად საჭირო საქმეების გამო.

—:—

დღეს, საღამოს 8 საათზე ს.ს.პ.ი. აუდ. № 13 მოწვეულია კომკავშირის მე-5 უჯრედის საერთო კრება. დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახ. უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის საზოგადო კრება შესდგება დღეს, 21 მაისს, სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12),

—:—

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. მიხეილ თედორეს ძე ტუღაბელიძეს, თუ თბილისშია, შემოიაროს ცენტრალურ კომიტეტში (ოთახი № 22) ამხ. ელიგულაშვილთან, თუ თბილისში არ არის, გვაცნობოს მისამართი.

აპოლო — 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. — კონრად ვეიდტი და ელისაბედ ბერნგერი მხატვრულ სურათში მეჭიანური ფლორენციიდან
სპარტაკი — უოფ. არფანტო — მხატვრული ფილმი ლტოლვილი კუნძული
სოლეი — 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. — პოლა ნეგრი პარამუნტ-ფილმის სურათში ეკლიანი მავთული
პალასი — 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ. — უცხოეთის მხატვრული ფილმი მსჯავრდადებულნი
რ. ლიუქსემბურგის სახ. (უოფ. მინიონი) — სეზონის საუკეთესო ფილმი ერთა დროშა
დარბაზი — 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ. — საუკეთესო ფილმი ხვალამდე. პროგრ. გარეშე ცნობილი მომღერლის სერაფიმა შუვალოვას გასტროლები ახალი პროგრამა.
მალე: „მოპირდაპირე ქარი“, „ცხენოსანი ლაშქარი“.

კინო სპარტაკი
(უ. არფასტო)
დღეიდან, 21 მაისიდან
ვს. ივანოვის მოთხრობის მიხედვით
ლტოლვილი კუნძული
რეჟისორი ა. რაზუმნი.
მთავარ როლში დამსახურებული მსახიობი ი. ვასილიევა.

საქ. სოც. უზრუნ. სახალხო კომისარიატთან არსებული
უსინათლოთა სრულიად საქართველოს
საზოგადოება
გამგეობა: პუშკინის ქ. № 2.
საწარმოო პუნქტები:
ჩოთქების სახელ.—კახეთის ქ. № 39.
ჩოთქების და კალათების სახელოსნო—ბაზრის ქ. № 16.
ტეხნო-ქიმიური ლაბორატორია—რუსის ქ. № 3.
საშაქარლამოს სახელოსნო—ოქრომჭედლების ქ. № 56.
სავაჭრო პუნქტები:
ჩოთქების მაღაზია—რუსის ქ. № 3.
კაფე-საშაქარლამო—პუშკინის ქ. № 25
კაფე-საშაქარლამო—თათრ. მოედ. № 1
ხილის საკომისიო მაღაზია—მჭედლების ქ. № 1.
ხილის საწყობი—რუსის ქ. № 5.
გამგეობის თავმჯდომარე ა. ციხიშვილი.
პ-მგ. მდივანი ო. კიკალიშვილი.
ნ. 772 სავაჭრო-საწარმოო გან-ბის გამგე ა. ბახკაკოვი.

დაიკარგა ძაღლი
თეთრი, დაბალი, უკუდო, სახეზე შავი ლაქები.
მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს, მიიღებს ჯილდოს.
ფასანაურის შეს. № 2.
2697

სულ მოკლე ხანში
ვასწორებ
ხელს წერაში
რუსულ და ქართულ ენებზე
პროფ. კოსოდოს მეთოდით.
ტურგენევის ქუჩა № 4 (მე-9 კომისარიატი). კბილის ექიმის ფონ-ბრენერის ბინა, შესავალი ეზოდან.

ქუთაისის
ხელისმომწერთა საყურადღებოთ
„კომუნისტი“-ს, „ზარია ვოსტოკა“-ს, „მუშა“-ს, „რაბოჩაია პრავდა“-ს და სხვა გაზეთების
გავრცელების მონოპოლიური უფლება
ქუთაისში და მის ოლქში
გადავიდა ქუთაისის ფოსტის საგაზეთო განყოფილების ხელში.
ბეჭდვითი სიტყვის საკონტრაგენტოსა კიოსკებ და რწმუნებულებს არა აქვთ უფლება აწარმოონ ხელისმოწერა დასახელებულ გამოცემებზე.

ცეკავშირის
აპარატის გამწმენდი კომისია იუწყება, რომ წმენდას შეუდგება ახლო მომავალში.
ყველა ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა, რომელთაც აქვთ დამახასიათებელი მასალები როგორც ცეკავშირის აპარატისა მთლიანად, ისე მისი ცალკე
თანამშრომლებისა,
და მამხილებელი მასალები თანამშრომლებზე, ასეთები უნდა გამოგზავნონ ცეკავშირის აპარატის გამწმენდ კომისიის თავმჯდომარის სახელზე შემდეგი მისამართით: საქ. კ.პ. (ბ) ა.კ. საოლქო კომიტეტი ან ცეკავშირი, შტაბის ქ. № 4, ამხ ე. გალუსტოვს,
ნ. 774

თანახმად საერთო კრების დადგენილებისა
ა. წ. 18 მაისის თარიღით
არტელი „წითელი კულინარი“ ლიკვიდაცია-ქნილია.
ყველა, ვისაც რაიმე პრეტენზია აქვს ხსენებულ არტელის მიმართ, ვალდებულია მიმართოს სალიკვიდაციო კომისიას ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, რის შემდეგაც არავითარი პრეტენზიები მიღებული არ იქნება. მისამართი კლარა ცეტკინის ქუჩა № 99.
2693 სალიკვიდაციო კომისია.

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი
მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ., № 49).
მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონალური
მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ყველა სახეები: ელექტრომკურნალობა, ნახშირ-მჟავას აბაზანები, სინათლით მკურნალობა მექანოთერაპია, რენტგენო-რადიო-თერაპია, ინჰალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა
შინაგან სნეულებათა მკურნალობა (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა გაცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, რევმატიული დაავადებანი და სხვ.)
ნერვიული და ქალის სნეულებანი.
კონსულტაცია ქალის სნეულებაზე დღის 12—1 საათამდე. პროფ. ლამბარაშვილი—სამშ. და პარასკ., შინაგან სნეულებებზე—12 საათ. ექ. ი კონიაშვილი—სამშ. და პარასკ., ნერვიულ ავადმყ.—11—12 ს. ექ. გ. პონდოევი—ყოველდღე.
ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე
ავადმყოფთა ჩაწერა დილის 9-დან 11 საათამდე.
საღამოს ავადმყოფთა მიღება 5-დან 8 საათამდე, კვირას გარდა. ავადმყოფთა ჩაწერა 4-დან 7-ნახ. საათამდე, კვირას გარდა.
ნერვიულ ავადმყ.—7—8 საათ. პროფ. ს. ყიფშიძე—ყოველდღე.
შინაგან სნეულ.—5 6 საათ. ექიმი ნ. ყიფშიძე—ყოველდღე.
ქალის სნეულ. და სამეანო—5—6 საათ. ექ. ხებასტიანსკი—ყოველდღე.
ყური, ყელი, ცხვირი 7—8 საათ. პროფ. ნ. ახპახოვი—სამშ., ხუთშ. და შაბ. 7—8 საათ. ექიმი დ. თევზაძე ორშ., ოთხშ. და პარასკ.
უროლოგია და ქირურგია 7—8 საათ. დოც. ა. წულუკიძე ყოველდღე.
ბავშთა ავადმყ.—5—6 საათ. ექიმი ი. ლორთქიფანიძე—ყოველდღე.
ქირა ავადმყოფთა გასინჯვისათვის პოლიკლინიკაში: პროფკავშირის წევრებისათვის 1 მან., სხვებისათვის—2 მანეთი.
ყოველგვარი კლინიკურ-დიაგნოსტიური ანალიზების მიღება.
მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87.
25—5 ნ. 733.

გულ-მოკლულნი პლატონ, თეკლე და ოთარ ანთიძეები მწუხარებით ვაუწყებთ ამხანაგებს და მეგობრებს საყვარელი ძმისშვილის
პატარა ანზორის
უდროოთ დაკარგვას. 2689

სამუდამოთ გულ დამწვარი მშობლები ანტონ (აფთონი) და ჟენია, ბაბუა კოწია, ბებია მარინე, ოიძა გარსევან ანთიძეები, ბაბუა სიმონ და ბებია მარიამ ქარელი დასტირიან თავის საყვარელ, უდროოთ დაკარგულ
პატარა ანზორს
გამოსვენება ხუთშაბათს 22 მაისს, დღის 5 საათზე. დოესის ქ. № 30 პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 2688

სოფიო ვასილის ასული ვახვახიშვილისა შვილებით და სიძით აუწყებს ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 22 მაისს, საღ. 6 საათზე, ვეროს ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ნიკოლოზ გიორგის ძე ვახვახიშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად. 2684

გაუბედურებული მშობლები თამარა და პავლე გუგუშვილები ქალიშვილებით: ქეთო, ვარა და ნადიკოთი ღრმის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ დაუვიწყარ ქალიშვილის
ელენე (ელიჩკა) პავლეს ასული გუგუშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად დღეს, 21 მაისს, საღ. 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2679

ღრმა მწუხარებაში მყოფნი შვილები: ივანე, პეტრე, სტეფანე და ვასო წულაიები თავიანთ ცოლშვილით, ძმა ფარნა წულაია ცოლშვილით, რძალი მაია გვასალია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
მიხეილ პეტრეს ძე წულაია
დაკრძალვა ს. ნაქალაქევში, სენაკის მაზრა. 2680

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ლოლია სოლომონ სვანიძის ასული შვილებით: ტოტო და ნონოთი, და ოლია ფიჩხაიაი შვილი ბუცათი, ძმისშვილები იულია და ტუკუჩი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ 27 მაისს, 3 საათზე სოფ. შამგონაში (ზუგდ. მაზრა) გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ
ელიზბარ მიხეილის-ძე ჩიქავას
ხსოვნის აღსანიშნავად. 2698

ქმარი სარდიონ გურგენიძე, შვილი გიორგი გურგენიძე და ძმის შვილი მარიამ ჯორბენაძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ
სოფიო პავლეს ას. გურგენიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დაბა ჩოხატაურში, ხუთშაბათს, 22 მაისს. ნ. 776

დამწუხრებული მეუღლე გრიშა შვილებით კლარა და ოთარით, მაზლი სპირიდონ ქანტურიები, დედა ანა, ძმები სანდრო, ბიქტორი, სევე ალანიები, და მაზო, სიძე თედორე, დისშვილი შოთა დოლბაიები, რძლები საშა, კატო, ლიუბა ალანიები იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 19 მაისს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
ნიკოშა ივანეს ას. ქანტურია
გამოსვენება ხუთშაბათს, 22 მაისს, საღამოს 5 საათზე, ქალ. ფოთი, ცხაკაიას ქ. № 29. ნ. 775

ზესტაფონელ სტუდენტთა ერთი ჯგუფი: გ. კაპანაძე, დ. კუხიანიძე, მ. ჯანაშია, ლ. ცერცვაძე, ს. ჩხეიძე, ზ. ჯაფარიძე, შ. ცერცვაძე, პ. ჯაფარიძე, ლ. საყვარელიძე, ბ. გაჩეჩილაძე და ვ. ფერაძე დასტირით ძვირფას ამხანაგის, სოც. ეკ. ფაკულტეტის მე-IV კურსის სტუდენტის
სერგოშა ზურაბიშვილის
უდროოდ დაკარგვას. (ს)

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები
პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილისა და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—1ე
ქ. ქუთაისი თ. ვ. აკუფაშვილი შინაგანი სნეულება—სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7, (მეხამე ხაბჭოთა აფთიაქის გვერდით). 13—1
ლოგოპედი ა. ა. კაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებული ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებ და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—
ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1
პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1
ი. ვ. ხანდამოვი იღებს სპეციალურად სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: 8—11 საათამდე დილით და 6—8 საათამდე საღამოს, ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. საპიორის). 25—1
ი. ი. გერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1
დ. ს. რიქინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ. კუთხე. ტელ. 25—68. 25—2
დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1
გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1
ნინო მირიანაშვილი ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს - ტრიპერი, სიფილისი, შესხმა „914“ (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე. ოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.
— პურ. წიგნ. № 46836—ივანე ლუტიძის სახელზე. 2681
— ტრამვაის უსახელო ბილეთი № 1208. 2686
— პურის წიგნ. № 15283—თამარ თამარაშვილის სახელზე. 2685
— კავშ. წიგნ. № 00153667—ჯვინჩიძის სახელზე. 2683
— პირად. მოწმ., გაცემ. ოზურგ. სამაზრო აღმასკ. მიერ—ნესტორ აპოლონის-ძე ქიქოძის სახელზე. უფ.
— პურის წიგნ. № 9178—ვარლამ ქარსელაძის სახელზე. 2687
— პასპ. № 714 - იზრაილ ხაიმის-ძე იაკობაშვილის სახელზე. 2691
— რკ. გზელთა კავშ. წიგნ. № 13959, პირად. მოწმ. ბ/37, უნივერ. მიღებ. პირად. მოწმ. № 1430 და რკ. გზ. წლიური ბილეთი—სალომე ბუზარიშვილის სახელზე. 2691
— კავშ. წიგნ. № 5105—გიორგი კაიშაურის სახელზე. 2684
— რძის აბონემ.—მიგრან გევორკიანის სახელზე.
— აღმასრ. ფურცელი და პასპ.—ლიუბა დაფქვიაშვილის სახელზე. 2692
— კავშ. წიგნ. № 13257—დავით კორძაიას სახელზე. 2696
— პურ. წიგნ. ლიტ. „ბ“— ვალერიან ილიას-ძე მგალობლიშვილის სახ. 2695
— კავშ. წიგნ. № 186433/1433—იოსებ ნეფარიძის სახელზე. 2694
— 7-წლ. დამთავრ. მოწმ. № 89—ვანო მერკვილაძის სახელზე. 2694
— სამხ. წიგნ. № 73 - ალექსანდრე პატიეშვილის სახელზე. 2694
— კავშ. წიგნ. № 10982—ნუშა გურასპაშვილის სახელზე 2706
— კავშ. წიგნ. № 497—ალექსი ბერეკაშვილის სახელზე. 2706

ტირაჟი—55.135
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904